საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№08 (290)
4 - 10 მარტი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ახალი ამბები კეთდება აქ» 6

## «ფონიჭალაში ვაკაბიტების დაჯგუფებაა»



მამუკა არეშიძე: 5

«ქვემო ქართლში ჭიდაობს ოთხი ძალა — არაბეთი, ირანი, აზერბაიჯანი და თურქეთი. ვიდრე ისინი ერთმანეთს ებრძვიან, არა გვიშავს, დაამთავრებენ ბრძოლას და მერე ცუდად ვიქნებით»

## რა იგეგმება თრუსოს ხეობაში?

6



## კალსტუხი შოკოლადში

## ღია წერილი უკრაინელ ხალხს



ნუ გაიმეორებთ ჩვენს შეცდომებს და ნუ გვისაყვედურებთ, რომ არ გაფრთხილებდით! 4



## «მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება გარდაუვალი გახდება» 8

## «დღეს ქრისტიანული მორალი უკვე აღარ არის ევროპული ფასეულობა» 9

ავთანდილ უნგიაძე მთავარი პროკურატურისგან პატრიარქისა და მართლმადიდებლების შეურაცხმყოფელი ვიდეოკლიპის ავტორის დადგენას და პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

ვიქტორ ორბანი: 12

ჩვენ შევადგინეთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ევროპულ მოდას ეწინააღმდეგება და ეროვნულ, ქრისტიანულ საფუძვლებს ეყრდნობა

პოლ კრეიგ რობერტსი: 14

სომხეთში იგეგმება ისეთივე გადატრიალება, როგორიც უკრაინაში განხორციელდა

## როგორ ებრძვის აშშ თავის მაიდნებს? 15

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ყაზტრანსგაზ-თბილისი»: იურიდიულ პირებს ბუნებრივი გაზი არ გაუძვირდებათ

**კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ განცხადებით, იურიდიული პირებისთვის ძალაში რჩება ტარიფი, რომელიც 1 მარტამდე მოქმედებდა.**

„შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის (იურიდიული პირები) მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასი არ იცვლება და ძალაში რჩება 2015 წლის 1 მარტამდე მოქმედი ტარიფი. კომპანია განაგრძობს კონსულტაციებს. შედეგები გეცნობებათ დამატებით“, — ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.



## საქართველოს პატრიარქმა ნათლულებსა და მათ ოჯახებს ორი დავალება მისცა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 1 მარტს საკვირაო ქადაგებისას თავის ნათლულებსა და მათ ოჯახებს ორი დავალება მისცა. უწმინდესმა მათ დაავალა, მოძებნონ გაჭირვებული ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ მომვლელები და მოუარონ, ასევე, დარგონ 7 მარადმწვანე ხის — კედრის ან ნაძვის ნერგი.** „ჩემს ნათლულებს და მათ მშობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ გამონახონ გაჭირვებული ადამიანები. მრავალი ადამიანია მწოლიარე, მრავალ ადამიანს არ ჰყავს მომვლელი, წყლის მიმწოდებელიც კი. გამონახეთ ასეთი ადამიანები და კვირაში ერთხელ მაინც მიდით და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ; ეს იქნება საკვებით, ჩასაცმელით თუ თბილი სიტყვით. მეორე დავალება არის ის, რომ ჩემი ნათლულების ყველა ოჯახმა დარგოს მათი შვილების საკეთილდღეოდ ხეები. 7 მარადმწვანე ნერგი — კედრისა და ნაძვის. ეს ორი დავალება უნდა შეასრულოთ და მადლი ღვთისა და წყალობა ღვთისა უხვად გადმოვა თქვენზე“, — ბრძანა პატრიარქმა.



## სერგეი ლავროვი: უკრაინაში ქრისტიანებს დევნიან

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჟენევაში ქრისტიანთა პრობლემატიკისადმი მიძღვნილ მაღალი დონის შეხვედრაზე განაცხადა, რომ უკრაინაში ქრისტიანებს დევნიან.**

„ქრისტიანებს დევნიან არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში. უკრაინაში, სადაც ანტიკონსტიტუციური გადატრიალების შემდეგ ძმათამკვლელი ომი იქნა გაჩაღებული, ნაციონალისტ-რადიკალებმა რელიგიათაშორისი შუღლის გაღვივებაზე აიღეს კურსი. ნადგურდება მართლმადიდებლური ტაძრები და მონასტრები, მღვდლები და მორწმუნეები დაშინებისა და დაცინვის ობიექტები ხდებიან. მხოლოდ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში 10 ტაძარი დაინგრა, 70 კი — დაზიანდა, სამი მღვდელმსახური მოკლეს. ბევრი რუსეთში გაიქცა, რათა საფრთხისთვის თავი აერიდებინათ“, — განაცხადა ლავროვმა და დასძინა, რომ დასავლეთის ქვეყნებში აგრესიული სეკულარიზმი იკრებს ძალას.

„შეუძლებელია, არ ვახსენო იმ პრობლემების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან ქრისტიანები დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, სადაც არაპოლიტკორექტულად ითვლება ქრისტიანული რელიგიისადმი მიკუთვნება და რცხვენიათ კიდეც ქრისტიანული ფასეულობების, რაზეც დაფუძნებულია ევროპული ცივილიზაცია“, — აღნიშნა ლავროვმა.

## ნოდარ ჯავახიშვილი: გიორგი ქადაგიძე ზურაბ ადეიშვილის დავალებით მოქმედებს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არიან მოსყიდულნი, ხოლო გიორგი ქადაგიძე ზურაბ ადეიშვილის დავალებით მოქმედებს.**



„საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი „ნაციონალების“ მოსყიდულია... ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ პანიკა ჩაცხრა, ხალხი დამშვიდდა და კურსმა გამყარება დაიწყო. ბიძინამ ის თქვა, რაც რეალობაა. ლარის კურსის გაუფასურება ნოემბრიდან დაიწყო. იცი, რა გააკეთა ქადაგიძემ მაგ დროს? მიმოქცევაში ისედაც ჭარბი რაოდენობის ლარი იყო, ადგა და კომერციული ბანკების დაკრედიტება 350 მილიონიდან, 700 მილიონ დოლარამდე გაზარდა. იმის ნაცვლად, რომ ფულის გაძვირება დაეწყო, რათა ფულზე წვდომა ადვილი არ ყოფილიყო და ლარი გაემყარებინა, პირიქით გააკეთა — მიმოქცევაში ფულის მასა გააორმაგა. ლარის დევალვაცია ნოემბრის დასაწყისში დაიწყო, ქადაგიძემ კი პირველი ინტერვენცია თვის ბოლოს განახორციელა. 40 მილიონი დოლარი გაყიდა, კიდევ 40 მილიონი დეკემბერში გამოიტანა და, მიუხედავად იმისა, რომ იანვარში ლარი გაუფასურებას განაგრძობდა, მესამედ 40 მილიონი დოლარი თებერვლის დასაწყისში გაყიდა. ამას უწოდებ სწორ ნაბიჯს? **სადეპოზიტო სერტიფიკატებში მილიარდ 140 მილიონზე იყო მოთხოვნა, ქადაგიძემ კი მხოლოდ 400 მილიონი დოლარი, ანუ 40% დააკმაყოფილა, რატომ? ხომ ხედავ, რომ ლარის სიჭარბეა და ისედაც საშიშროება იქმნება? წლის ბოლოს კომერციულ ბანკებს დამატებით აკრედიტებ, თანაც რეფინანსირების განაკვეთსაც უზრდი?** ეს საბოტაჟია, აბა, რა ჯანდაბაა. დახუჭეთ ყველაფერზე თვალი და გააგრძელეთ ქადაგიძის დაცვა. როგორ არ გესმით: თუ ასე გაგრძელდა და კურსი არ დავიჭირეთ, აპრილში მართლა ყველაფერი გაძვირდება. ხალხში სერიოზული პანიკა შეიქმნება. გამოჩნდა, რომ ქადაგიძე ზურაბ ადეიშვილის დავალებით მოქმედებს. მხოლოდ ის რად ღირს, რაც ეროვნულმა ბანკმა „ქართუში“ ჩაიდინა, როდესაც ბანკი გააკოტრა“, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

**სადეპოზიტო სერტიფიკატებში მილიარდ 140 მილიონზე იყო მოთხოვნა, ქადაგიძემ კი მხოლოდ 400 მილიონი დოლარი, ანუ 40% დააკმაყოფილა, რატომ? ხომ ხედავ, რომ ლარის სიჭარბეა და ისედაც საშიშროება იქმნება? წლის ბოლოს კომერციულ ბანკებს დამატებით აკრედიტებ, თანაც რეფინანსირების განაკვეთსაც უზრდი?**

## იურიდიულ პირებს ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნა აეკრძალებათ

**საქართველოში მხოლოდ ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებით მომსახურება იქნება დასაშვები. იურიდიულ პირს, როგორც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს, ფულადი გზავნილის მიღება და გაგზავნა ეკრძალება.**



„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონს ახალი ნორმა ემატება. პროექტის ავტორი საქართველოს ეროვნული ბანკია, ინიციატორი — მთავრობა. კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

პროექტის თანახმად, იცვლება ფულადი გზავნილის დეფინიცია. არსებული პრაქტიკით, ხშირად უცხო ქვეყნიდან გზავნილების გამოგზავნა იურიდიული პირის მიერ ხდება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ, კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული განმარტების მიხედვით, ფულადი გზავნილი არის საგადახდო მომსახურება, რომლის დროსაც გადამხდელი და მიმღები შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს, ვერ ხერხდება მათთვის ფულადი გზავნილის სტატუსის მინიჭება და მისი ერთიან სტატისტიკაში ასახვა. ცვლილება კი საშუალებას იძლევა, ასეთი ტიპის გზავნილი ფულადი გზავნილის განმარტების ქვეშ მოექცეს და ერთიან სტატისტიკაში ასახვას დაექვემდებაროს. პარალელურად კონკრეტდება, რომ საქართველოში დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური პირების მომსახურება ფულადი გზავნილებით. იურიდიულ პირს, როგორც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს, ეკრძალება ფულადი გზავნილის მიღება ან გაგზავნა“, — ნათქვამია პროექტის თანდართულ განმარტებით ბარათში.

გარდა ამისა, პროექტით კანონს ახალი მუხლი ემატება, რომელშიც საგადახდო სისტემაზე წვდომის კრიტერიუმი გაიწერა — კერძოდ, სისტემის ოპერატორი არ არის უფლებამოსილი, სისტემის მონაწილეებს ისეთი მოთხოვნები დაუდგინოს, რომლებიც მათ არათანაბარ და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენებს.



## ფრანსუა ოლანდი: იმ ქვეყნების სურვილი, რომლებსაც ნატოში გაწევრება სურთ, არ უნდა დაკმაყოფილდეს

**საფრანგეთის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის განცხადებით, საფრანგეთი მხარს უჭერს ნატოს გაფართოების პროცესის დროებით შეჩერებას და იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება სურთ, უარი უნდა ეთქვათ. ამის შესახებ ოლანდმა პარიზში ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.** იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩრდილოატალანტიკური ალიანსი თავისი ძალების ყველაზე მნიშვნელოვან გაფართოებას ახორციელებს და საფრანგეთი ამ პროცესში საკვანძო ლიდერის როლს ასრულებს.



## გლდანის ციხე მსოფლიოში ყველაზე საშინელი საპყრობილეების სიაში მოხვდა

**საინფორმაციო პორტალ The Richest-ის ვერსიით, მსოფლიოში 10 ყველაზე საშინელ და სახიფათო ციხეს შორის გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაც მოხვდა.** „ტექნოლოგიურმა განვითარებამ ამ ქართულ ციხეს მოუტანა საშინელი შედეგები. გამოიძიეს ციხეში გაუპატიურების კადრები, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ჩანაწერებში ნაჩვენებია ბადრაგები, რომლებიც სისტემატიურად ამცირებენ და ცემენ პატიმრებს“, — აღნიშნულია პორტალ The Richest-ის ინფორმაციაში. ყველაზე საშინელი პირობები მსოფლიოს მასშტაბით შემდეგ ციხეებშია: ნიუ-იორკი, რივერ აილენდის ციხე; პარიზი, ლა სანტეს ციხე; რუსეთი, პიატაკის კუნძულის ციხე; ტაილანდი, ბანგკოკის ციხე; ვენესუელა, ლა საბანეტას ციხე; თურქეთი, დიარბაკირის ციხე ;საქართველო, გლდანის ციხე; ბენინი, ქონტონოუს ციხე; სირია, ტადმორის ციხე; რუანდა, გიტარამას ციხე.



## ევროპა ზარალს ითვლის

**ევროპელი ბიზნესმენები და ფერმერები ანტირუსული სანქციებით გამოწვეულ ზარალს ითვლიან და ხელისუფლებას აკრიტიკებენ.** საფრანგეთის უდიდესი ოპოზიციური პარტიის — „სახალხო მოძრაობის მხარდამჭერთა კავშირის“ წარმომადგენლის, საფრანგეთის ნაციონალური საკრებულოს დეპუტატმა სებასტიან იუიგმა განაცხადა, რომ 2014 წელს ევროკავშირის მიერ ევროპის ქვეყნებიდან სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა და სურსათის იმპორტზე რუსეთისთვის დაწესებულმა ემბარგომ გამოიწვია კატასტროფა, რომელიც 1 მილიარდი ევროთი გამოიხატება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სანქციების გაგრძელების შემთხვევაში ავსტრია 3 მილიარდ ევროს იზარალებს, ანალოგიური რამ გერმანიასაც ემუქრება.

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიტვა: ევროპული ზღაპრის დასასრული

**ევროკავშირი სჭირდებოდა ამერიკელებს იმიტომ, რომ ევროპაში უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც დაურეკავდნენ და შესრულებას მოსთხოვდნენ.**



16 თებერვალს ლიტვამ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა, რომელიც 1918 წელს მოიპოვა. ჟურნალისტმა რონალდას პაულაუსკასმა (1990 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერმა) ევროკავშირის შემადგენლობაში ლიტვის ცხოვრების არცთუ სასიხარულო შედეგები შეაჯამა.

რონალდას პაულაუსკასმა თავის თვალსაზრისს გადახედა — „საიუდისის“ (ლიტვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1988-1990 წლებში სსრკ-დან ლიტვის გამოყოფას ხელმძღვანელობდა. — რედ.) ყოფილი აქტივისტი ახლა თვლის, რომ 25 წლის წინათ ილუზიების ტყვეობაში იმყოფებოდა.

როლანდას პაულაუსკასი არ მისტირის სსრკ-ის პერიოდს, ის დღეს თავის ახალ „სამშობლო“ ევროპაზე ლაპარაკობს და მისი გულწრფელი აღიარება ბევრს აუხელს თვალს იმ ილუზიებზე, რომელთაც დასავლეთის ნაწილად ქცევა, დასავლური ფასეულობების გათვალისწინება ჰქვია.

აი, რონალდას პაულაუსკასის დასკვნებიც:

### ლიტვის დამოუკიდებლობაზე

*დამოუკიდებლობა — ეს არ არის მხოლოდ დროშა და ჰიმნი, ეს შენი კანონები, საფინანსო სისტემა და საბაჟო მოსაკრებლებია; მაგრამ კანონებს ჩვენ არ ვიღებთ, რადგან ჩვენთან ევროკავშირის კანონები უპირატესია. მთავარ გადასახედებს არეგულირებს ბრიუსელი. საბაჟო მოსაკრებლებს ჩვენ ვერ ვიღებთ. დაარჩა მხოლოდ დროშა და ჰიმნი.

*საკავშირო ბაზარი დაიკარგა, შედეგად — ლიტვის წარმოებაც დაიკარგა. ანალოგიური რამ ხდება, მაგალითად, მოლდოვაში, აგრეთვე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში — რუმინეთსა და ბულგარეთში.

*ლიტველები, როგორც ერი, ვქრებით. ასეთივე ტენდენციაა ესტონეთსა და ლატვიაში. ლატვია ისეა დაცარიელებული, თითქოს ომმა გადაუარა. რატომ უნდა იცხოვროს ახალგაზრდამ ასლებში, როცა შეუძლია წავიდეს ორიგინალში?

### ევროკავშირზე

*ვინ გვმართავს ჩვენ? ევროკავშირის პრეზიდენტს ხალხი არ ირჩევს — მას ნიშნავენ, ევროკომისრებსაც. ევროპარლამენტს არ აქვს კანონშემოქმედებითი ინიციატივები, ანუ ევროკავშირი არადემოკრატიულად იმართება.

*ევროკავშირი სჭირდებოდა ამერიკელებს იმიტომ, რომ ევროპაში უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც დაურეკავდნენ და განკარგულების შესრულებას მოსთხოვდნენ.

### იუვენალურ იუსტიციაზე

*დასავლეთში, უკვე ათწლეულებია, მიმდინარეობს რღვევა ტრადიციული კავშირებისა — ოჯახის წევრებს, მამებსა და შვილებს, ქალებსა და კაცებს შორის. ჩვენს ხალხს ამის დაჯერება არ სურს და ფიქრობს, რომ ეს მას არ შეეხება, ან ლაპარაკია მარგინალებზე. ლიტვაში სკანდალი სკანდალს მოჰყვება: ბავშვებს ართმევენ იმ ოჯახებს, რომლებიც ნორვეგიაში მუშაობენ. მათ სახელმწიფო ვერ ეხმარება, ხალხი კი იუვენალურ იუსტიციას უბედურებად ჯერჯერობით ვერ აღიქვამს.

*იუვენალური იუსტიციის სისტემაში ბავშვს ბევრი უფლება აქვს, ვალდებულება — არანაირი. მშობლები, უბრალოდ, არიან ადამიანები, რომლებიც მათ კვებავენ. დასავლეთში იზრდება თაობა, რომელიც ეჩვევა ვალდებულებების უქონლობას.

*საბავშვო ბაღებში განზრახ შლიან გენდერულ ზღვარს. ლიტვამ პირველი მცდელობა აღკვეთა, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, რადგან ჩვენ ვერ გავთავისუფლდით ილუზიისგან — არ გვჯერა, რომ ეს სერიოზულია. სასკოლო პროგრამები სულ უფრო პრიმიტიული ხდება იმიტომ, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები არ სჭირდებათ.

*რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ შექმნან ადამიანები, რომელთა მართვაც ადვილია, აგრეთვე, — იმიტომ, რომ შეამცირონ მოსახლეობა.

### გაფრთხილება

*უკრაინა თავის სახელმწიფოებრიობას ანგრევს. ასეთივე ზღაპრის გამო ევროკავშირში უკრაინის მიღება ხომ არავის სურს! მე ველაპარაკე უკრაინელებს — მათ ჩემი არ სჯერათ. მათ თავიანთი ზღაპრის სჯერათ.

*რუსეთშიც ბევრს სჯერა დასავლური ზღაპრის.

*ზოგმა ადამიანმა უკვე შეძლო, დაენახა, რაც ხდება თვით ლონდონშიც კი, გერმანიაშიც და საფრანგეთშიც. დაიწყო ამ სომნაბულური მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესი. ან გაიღვიძებს კრიტიკული მასა და შეაჩერებს ამ სიგიჟეს, ან ძალიან მძიმე პერიოდი დაგვიდგება.

Politikus.ru



# რას ამბობდა ვლადიმერ პუტინი ნემცოვის მკვლელობამდე ზუსტად 3 წლით ადრე

**„მოძებნიან საკრალურ მსხვერპლს ცნობილთა რიგებიდან, მოკლავენ და შემდეგ ხელისუფლებას დააბრალებენ!“**

**27 თებერვალს, საღამოს, მოსკოვის ცენტრში ბოლო წლებში ყველაზე გახმაურებული მკვლელობა მოხდა. კილერმა ცნობილი რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი მოკლა, რომელიც რესტორანში ვახშმობის შემდეგ თანმხლებ ქალ ანა დურიცკაიასთან ერთად მდინარე მოსკოვის ერთ-ერთ ხიდზე სეირნობდა. ამ მომენტში მათთან მიირბინა მამაკაცმა და ნემცოვს ზურგში რამდენიმე ტყვია დაახალა, შემდეგ კი ჩაჯდა ავტომობილში და მიიმალა.**

დანაშაულის მთავარმა მოწმემ — ანა დურიცკაიამ გამომძიებლებს ვერაფერი აუხსნა, რაც მეხსიერების დაკარგვითა და შოკში ყოფნით ახსნა.

ამ გახმაურებულ მკვლელობაზე რამდენიმე ვერსია ვრცელდება:

**პირველი. ნემცოვი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს.** ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ანა დურიცკაია უკრაინელი ფოტომოდელია, თუმცა გაირკვა, რომ მან ფოტომოდელობას, კარგა ხანია, თავი დაანება; სამაგიეროდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მამაკაცთა შორის. ბოლო ინფორმაციით, ანა დურიცკაია უკრაინის რადას დეპუტატის, უკრაინის ნაციონალური გვარდიის პოლკ „დნეპრ-1“-ის ხელმძღვანელის — იური ბერეზას საყვარელია და ნემცოვი მისი შეკვეთით მოკლეს.

**მეორე ვერსიით, ნემცოვის მკვლელობა უკრაინელმა ოლიგარქებმა შეუკვეთეს.** უკრაინელი ოლიგარქების მიზანი რუსეთის საზოგადოების გახლეჩა და ქუჩაში რაც შეიძლება ბევრი ხალხის გამოყვანა იყო და ამის ორგანიზება ნემცოვს დაავალეს, მაგრამ ნემცოვმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ფული აიღო, ანტიპუტინური ტალღის აგორება ვერ შეძლო.

**მესამე ვერსიით, ნემცოვის მკვლელობა დასავლეთის სპეცსამსახურების მოწყობილია.** მიზანი იგივეა — რუსეთში დესტაბილიზაციის გამოწვევა, ანტიპუტინური ტალღის აგორება, ქაოსის შექმნა და ხელისუფლების დამხობა.

აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ პუტინმა 2012 წლის თებერვალში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის პრეზიდენტად არჩეული და პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეკვეთით, შეიძლებოდა, მოეკლათ რომელიმე ცნობილი პიროვნება და ეს დანაშაული რუსეთის ხელისუფლებისთვის დაებრალებინათ.

**„ეს მეთოდიკა ძალიან კარგად ვიცი. უკვე ათი წელია, ამის გამოყენებას ცდილობენ, უწინარესად ისინი, ვინც უცხოეთში სხედან. მოძებნიან ე. წ. საკრალურ მსხვერპლს ცნობილი ადამიანების რიგებიდან, მოკლავენ და შემდეგ ხელისუფლებას დააბრალებენ!“** — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2012 წლის 29 თებერვალს თავის მხარდამჭერებთან შეხვედრაზე.

**P.S. რუსული მედიის კიდევ ერთი ვერსიით, ბორის ნემცოვის მკვლელობის ორგანიზატორი, შესაძლოა, ჩეჩენი ასლან ალხანოვი იყოს. ალხანოვის ცხედარი 28 თებერვალს, ნემცოვის მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ, მოსკოვში, მის სახლში იპოვეს. ალხანოვს ტყვიით სახე ჰქონდა გახვრეტილი.**

# Forbes: აშშ-მა, სადაც კი ჩაერია, ყველგან კატასტროფა გამოიწვია!

**„აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ინიციატივები ბოლო ოცი წლის განმავლობაში აუცილებლად იწვევდა კატასტროფას, — წერს კატონის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ყოფილი ასისტენტი, ანალიტიკოსი დაგ ბენდოუ „ფორბსში“.**

„ამერიკის საგარეო პოლიტიკას ბრიყვები აკონტროლებენ. რა დასკვნა შეიძლება გამოიტანო იმ ფაქტიდან, რომ ორივე პარტია ითხოვს აშშ-ის ჩარევას ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ნებისმიერ დროს, შედეგების გაუთვალისწინებლად? ამასთანავე, იმის მიუხედავად, როგორი კატასტროფულიც შეიძლება იყოს ინტერვენციის შედეგები, ომის ლობისტები მაინც დაიჟინებენ, რომ ეს განზრახვა დასაბუთებული იყო. ორპარტიული კონსენსუსი — ეს არის გამუდმებული ინტერვენცია. ორივე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ცდილობენ, ერთმანეთს შეეჯიბრონ უგუნური გადაწყვეტილებების მიღებაში. **ვაშინგტონის ელიტის აზრით, ამერიკელები უნდა ჩაერიონ ნებისმიერ კონფლიქტში, გადააკეთონ თითოეული საზოგადოება, გაიმარჯვონ ყველა მოწინააღმდეგეზე და არად ჩააგდონ ნებისმიერი კრიტიკა. არადა, აშშ-ის ჩარევა მხოლოდ ართულებს და აუარესებს ვითარებას, თითოეული ინტერვენცია მხოლოდ ახალ პრობლემებს, კრიზისებსა და კატასტროფას იწვევს, რაც, თავის მხრივ, გადაიზრდება ახალ ომში, ოკუპაციაში, დაბომბვაში, ჰუმანიტარული დახმარების გაცემაში, დიპლომატიურ ზემოქმედებასა და ჩარევის სხვა ფორმებში“.**

ძია სემმა დაგვანახვა, რომ მას აქვს უკუძალა იმის ძალისა, როგორიც ჰქონდა მეფე მიდასს (ძველბერძნული მითის მიხედვით, ფრიგიის მეფე, რომელიც, რასაც კი ხელს შეახებდა, ოქროდ გადაიქცეოდა. — რედ) — რასაც კი შეეხება, ქაოსში იძირება. ყოველთვის, როცა ვაშინგტონი სადღაც ერევა, ვითარება უარესდება. აშშ-ის ბოლო ოცი წლის პოლიტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი მიდგომა საშინელ კატასტროფას იწვევს.




პრეზიდენტმა ობამამ თეთრ სახლში შესვლისას განაცხადა, „თავი უნდა დავანებოთ სისულელეების კეთებას“-ო, სამწუხაროა, რომ მას არ შესწევს ძალა, თავისი პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით იმოქმედოს“, — წერს ჟურნალ „ფორბსის“ კოლუმნისტი დაგ ბენდოუ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახლახან კიევში, ცენტრალური ბანკის შენობის წინ, მიტინგის დარბევის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელად თქვენმა შს მინისტრმა საკუთარი მოადგილე ეკა ზღულაძე დანიშნა. საქართველოში მინისტრის მოადგილედ მისი მუშაობისას, 2011 წლის 26 მაისს, პოლიციამ სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, ასეულობით ადამიანი დააპატიმრა, ცემა და აწამა, ხოლო ორი გარდაცვლილის ცხედარი მაღაზიის სახურავზე შემოაწყო და ურცხვად ამტკიცებდა, რომ ხელფეხშეკრულებმა სახურავზე ასვლა მოახერხეს, იქ კი დენმა დაარტყათ და დაიღუპნენ!**

# ღია წერილი უკრაინელ ხალხს

**უკრაინა დღეს იმავე შეცდომას იმეორებს, რომელიც წლების წინათ საქართველომ დაუშვა. მთავარი პრობლემა, რომელსაც „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“ უწოდებენ, გაცილებით ღრმაა, ვიდრე ამ სიტყვებში ასახული ვითარება. ყოველთვის, როცა საერთაშორისო არენაზე ამ სიტყვებს წარმოთქვამენ, ეს კიდევ ერთხელ არწმუნებს აფხაზებსა და ოსებს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტისა და მისი უცხოელი მეგობრებისთვის სწორედ ტერიტორიაა მთავარი და არა მისი მოსახლეობა.**



საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ დღენიადაგ გვიდასტურებენ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის“ აღიარებას და მადლობა ამისთვის, მაგრამ ეს **სიტყვიერი მხარდაჭერა არანაირად გვაახლოებს იმასთან, რომ აფხაზებმა და ოსებმა ქართველებთან ერთ სახელმწიფოში მოინდომონ ცხოვრება. ეს გასაგებიცაა – ჩვენ შორის ერთმანეთის დაღვრილი სისხლია, რომლის დავიწყება ძალიან ძნელია.**

**23 წლის შემდეგ უკრაინაც ამ გზით წავიდა. მეტიც, ისევე, როგორც საქართველოში, იარაღით დააპირეს დაუმორჩილებელი რეგიონების მოთვინიერება. რაც გამოვიდა, ყველა ვხედავთ.** ომის თემას ოდნავ მოგვიანებით მივუბრუნდეთ, ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ „უზიარებენ“ გამოცდილებას უკრაინის მთავრობას ის პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველომ ცხრაწლიანი ბრძოლის შემდეგ ძლივს მოიშორა ხელისუფლებიდან.

45-მილიონიან ქვეყანაში 4-მილიონიანი საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დანიშვნამ აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. თქვენი ელჩის განცხადება კი ასეთი იყო: „როცა პოროშენკომ, ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, სააკაშვილი დანიშნა თავის უშტატო მრჩევლად, გაითვალისწინა დიდი გამოცდილება და რეფორმების გატარების უნარი, ჯარის მოდერნიზაცია. უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო დარწმუნებულია, რომ მისი გადაწყვეტილება არ არის საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ის არ გახდება დაბრკოლება ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში, რომლის საფუძველი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა და დროით გამოცდილი მეგობრობაა“.

**უკრაინაშიც, როგორც სხვა ქვეყნებში, სააკაშვილის „რეფორმატორობა“ იმ უკიდეგანო პიარით არის დამკვიდრებული, რომელიც ღატაკ საქართველოს ასეულობით მილიონი დოლარი დაუჯდა. ვიზიარებ თქვენი ელჩისა და ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტის მოსაზრებას საქართველოსა და უკრაინის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შესახებ, მაგრამ ვერ ვეთანხმები მათ ოპტიმიზმს, რომ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების დაწინაურება უკრაინის მთავრობაში ამ ურთიერთობებს არ დააზარალებს.** წლების შემდეგ რომ არ გვისაყვედუროთ, თუ რატომ არ გაგაფრთხილეთ, ვეცდები, მოკლედ გადმოგცეთ, რა დაუჯდა საქართველოს სააკაშვილის „რეფორმები“.

***„პოლიციის წარმატებული რეფორმა“:** სააკაშვილის მმართველობის 9 წლის განმავლობაში საქართველო ევროპის ჩემპიონი გახდა ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით. **პატიმართა რაოდენობა 6 ათასიდან 26 ათასამდე გაიზარდა.** პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი, რომელსაც ამა თუ იმ სახით არ შეეხო სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა. სხვადასხვა მონაცემით, სახელმწიფოს რეპრესიულ მანქანაში 250-დან 300 ათასამდე ადამიანმა გაიარა.

**„ნულოვანი ტოლერანტობის“ გამოცხადებისა და პოლიციისთვის ხელ-ფეხის გახსნის წყალობით ქუჩაში ლიკვიდირებულია დაახლოებით 120 ადამიანი და ეს მხოლოდ გახმაურებული საქმეებია, როცა მსხვერპლის ოჯახის წევრების დაშინება და გაჩუმება ვერ მოახერხეს.** ამავე „წარმატების“ განსამტკიცებლად დემონსტრაციულად ტარდებოდა ე. წ. დაპატიმრებები პირდაპირ ეთერში, როდესაც ტელეკამერების ობიექტივში ხდებოდა მძინარე ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრების, ხშირად მცირეწლოვანი ბავშვების საცვლების ამარა გამოყრა ლოგინებიდან.

***ერთი ტელედაპატიმრება სრულიად კურიოზული იყო, როცა „კორუფციასთან ბრძოლის“ სახელით ქუთაისის საკრებულოდან ბორკილდადებული ადამიანები გამოიყვანეს. საზოგადოება გაკვირვებული დარჩა იმით, რომ დაპატიმრებულებს ეღიმებოდათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ადამიანები ორი დღით ადრე დაუკავებიათ, მაგრამ ისევ პიარისთვის მიიყვანეს საკრებულოში, გამოიძახეს ტელეკამერები და ხელმეორედ დააპატიმრეს!** კონტროლის პალატის ერთ-ერთი თანამშრომლის ძმა — ტყუპისცალი შეცდომით დააპატიმრეს, მაგრამ არ დაიბნენ და განუცხადეს, რომ მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლებდნენ, როცა მისი ძმა სამართალდამცველებს ჩაბარდებოდა. სხვა რა არის მძევლის აყვანა?

***„სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება და ბიუჯეტის მრავალჯერადად გაზრდა“:** აშშ-ის კანონმდებლობის გავლენით დაინერგა საპროცესო შეთანხმება, რომელიც გამოიყენებოდა პრაქტიკულად ყველა კატეგორიის დანაშაულზე, ისე, რომ დაზარალებულს საერთოდ აღარ ეკითხებოდნენ, სურდა თუ არა სისხლის სამართლის საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულება. **2010 წელს საპროცესო შეთანხმებების, გირაოსა და ქონების კონფისკაციების წყალობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 86 მილიონ ლარზე მეტი, 2011 წელს —180 მილიონი ლარზე მეტი. სულ, ქონების კონფისკაციით, საპროცესო შეთანხმებებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2004-2011 წლებში ერთ მილიარდ ლარზე მეტი თანხა შევიდა.**

საპროცესო გარიგებისთვის თანხის სწრაფად ამოსაღებად პროკურატურა თვითონ უკავშირდებოდა ბანკებს და დაკავებულთა ოჯახის წევრებს აიძულებდა, საცხოვრებელი ბინაც კი ჩაედო კრედიტის მისაღებად. წლების განმავლობაში ამ კრედიტებს პროცენტები ერიცხებოდა და საბოლოოდ ოჯახები ღია ცის ქვეშ რჩებოდნენ. დღეს საქართველოში ასიათასობით ოჯახია ამ მდგომარეობაში.

***„ბიზნესის კეთების სიიოლე“:** ეს მხოლოდ სამეწარმეო სუბიექტის ადვილად დარეგისტრირებას გულისხმობდა, ანუ **ბიზნესის წამოწყება იოლი იყო, მაგრამ მისი რეალურად განხორციელება — შეუძლებელი.** მანამდე არსებული არაერთი წარმატებული ბიზნესი ხშირად საკანონმდებლო უზრუნველყოფის გზით ან პირდაპირი ძალადობით ან „ნაციონალებთან“ დაახლოებულ პირებს გადაეცემოდა, ან სახელმწიფოს. კურიოზულია ფაქტები, როდესაც **დაკავებული ან დაპატიმრებული ბიზნესმენები ღამის საათებში ერთსა და იმავე ნოტარიუსთან „ნებაყოფლობით“ უფორმებდნენ საკუთარ ქონებას და კომპანიებს „დემოკრატიის შუქურის“ მშენებლებს.** სამწუხაროდ, 2003-2012 წლებში დაზარალებულ ბიზნესმენებს, ისევე, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნილებს, ჯერჯერობით არც საკუთარი ქონება დაბრუნებიათ და არც რაიმე სახის კომპენსაცია მიუღიათ.

***„ჯანდაცვის წარმატებული რეფორმა“:**

საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ტოტალური პრივატიზაციის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ძვირად ღირებული, მრავალათასიანი მომსახურება ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. **ადამიანები ხშირად ნებაყოფლობით ამბობდნენ უარს სამედიცინო მომსახურებაზე, ოჯახს სარჩოსაბადებელი რომ არ გაეყიდა და ღია ცის ქვეშ არ დარჩენილიყო.** სახელმწიფომ საერთოდ დაიბანა ხელი საკუთარ ხალხზე და მოქმედებდა პრინციპით – გადარჩება ის, ვინც ძლიერია, სუსტები დაიღუპებიან!

ეს პრინციპი ნებისმიერ სფეროზე ვრცელდებოდა. თქვენი მთავრობის კიდევ ერთი ქართველი მრჩეველი, აწ გარდაცვლილი კახა ბენდუქიძე დაუფარავად ამბობდა: **„საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხზე დავიკიდოთ; თუ გადარჩენა უწერია, თავისით გადარჩეს, თუ არადა, დაიღუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი — მეძავებად. ეს არაა ჩემი პრობლემა... მეჩაიეობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად „გაიბერა“. ჩვენ 700 ათასი გლეხური მეურნეობა გვაქვს. ყველას სესხი მივცეთ? რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით ნაკლები თავის ტკივილი გვექნება“.**

***ასეთივე ცინიკურია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებები **„კორუფციის დამარცხების“** თაობაზე; შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ ისეთ თანხებზე, რომელთა მითვისებაც სულ მოკლე ხანში სხვადასხვა გზით შეძლო „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მეორედ მოსულმა შევარდნაძის პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ. **ანტიმონოპოლიური და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი (მათ შორის, ქვეყანაში იმპორტირებული კვების პროდუქტების უსაფრთხოების მაკონტროლებელი) ორგანოების გაუქმება, რომელიც თითქოს კორუფციის აღმოფხვრით იყო მოტივირებული, სინამდვილეში იმპორტის მონოპოლიზებას ემსახურებოდა, ხოლო არალეგალური თანხები, რომლებიც ბიუჯეტის გვერდის ავლით ნაწილდებოდა, ლეგალურ ზემოგებად იქცა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ეს საკითხი კვლავ აქტუალური ხდება; პროდუქციის ხარისხის კონტროლის გარეშე ევროპულ ბაზარზე ქართული საქონელი ვერ შევა. სააკაშვილის „რეფორმები“ ძალიან ხშირად ასეთ პარადოქსებს ეყრდნობოდა და არა საღ აზრს.**

*მოქალაქეები ბიუჯეტში დღეს გაცილებით მეტს იხდიან სახელმწიფო სერვისების შესაძენად, ვიდრე „რევოლუციამდე“. **ყბადაღებული სინათლე (ელექტროენერგია), რომელიც „მიშამ მოიტანა“, ასევე არაადეკვატურად ძვირია მოსახლეობის უმრავლესობისთვის. სახელმწიფო მოხელეები საშუალო პენსიაზე 20-ჯერ მეტ ხელფასებს და ამავე რაოდენობის პრემიებს იღებენ.**

ის, რაც „ნაციონალებმა“ 9 წლის განმავლობაში დააშავეს სააკაშვილის თამადობით, შეუძლებელია, ჩატიო ერთ წერილში — **უნივერსიტეტებიდან ღვაწლმოსილი პროფესორების გაყრა და რევოლუციის მხარდამჭერი „კმარას“ აქტივისტებით გავსება, ელიტური კორუფციის აყვავება, პატიმრების სასტიკი წამება ციხეებში (600-ზე მეტი პატიმარი ერთობ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა), გამოუძიებელი მკვლელობები, ტოტალური თვალთვალი და მიყურადება და ამის პარალელურად — წრეგადასული პიარი და ლხინი ჟამიანობის დროს.**

***2008 წლის სამარცხვინო ავანტიურა:** ცხინვალისკენ დაძრული ავტობუსები ტრიბუნებითა და ათასობით დროშით იყო სავსე, ისე დარწმუნებული იყო „დიადი სტრატეგი“ ელვისებური გამარჯვების მოპოვებაში. **დღე-ნახევარში წაგებულ ომს სააკაშვილმა რუსთაველის პროსპექტზე კონცერტით უპასუხა. რა ზღაპრებსაც უნდა ყვებოდეს დღეს სხვადასხვა ტელეეთერებში, მან, მაინც ჰალსტუხის ღეჭვითა და გორში თვითმფრინავის ხმაზე დამფრთხალმა, მიწაზე ფორთხვით დაამახსოვრა ხალხს თავი.**

სააკაშვილის რჩევებით აპირებთ უკრაინის „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“? მილიარდობით დოლარის ღირებულების იარაღი მან ბრძოლის ველზე დატოვა ისევე, როგორც დახოცილი მეომრები. ახლა თქვენ გპირდებათ, რომ მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღს გადმოაცემინებს დასავლეთს. **გჯერათ, რომ სააკაშვილი თქვენს სამშობლოს უკეთესს დამართებს, ვიდრე ქვეყანას, რომლის პრეზიდენტიც იყო? ნუ იტყვით წლების შემდეგ, რომ არ გაფრთხილებდით!**

თქვენთან უკვე დაიწყო ტელედაპატიმრებები. საოპერაციოდან ქირურგის ტელეკამერების წინაშე გამოყვანა და დაკავება მხოლოდ ჟურნალია, კინო მერე და მერე იქნება!

ახლახან კიევში, ცენტრალური ბანკის შენობის წინ, მიტინგის დარბევის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელად თქვენმა შს მინისტრმა საკუთარი მოადგილე ეკა ზღულაძე დანიშნა. საქართველოში მინისტრის მოადგილედ მისი მუშაობისას, 2011 წლის 26 მაისს, პოლიციამ სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, ასეულობით ადამიანი დააპატიმრა, ცემა და აწამა, ხოლო ორი გარდაცვლილის ცხედარი მაღაზიის სახურავზე შემოაწყო და ურცხვად ამტკიცებდა, რომ ხელფეხშეკრულებმა სახურავზე ასვლა მოახერხეს, იქ კი დენმა დაარტყათ და დაიღუპნენ!

სისასტიკე მხოლოდ მოიმატებს, „მაიდნის“ მსგავსის მოწყობის საშუალებას არ მოგცემენ, ოღონდ ამას „წარმატებულ რეფორმას“ დაარქმევენ და **მერე არ გვისაყვედუროთ, რომ არ გაფრთხილებდით!**

არც ის დაიჯეროთ, რომ ჩვენი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დანიშვნა პოროშენკომ მოიფიქრა – მასაც და სააკაშვილსაც ერთი პატრონი ჰყავთ და, უკრაინაში საშინელებას რომ დაატრიალებენ, ამასაც ისევე „ვერ დაინახავენ“, როგორც 10 წლის განმავლობაში საქართველოში ვერ ხედავდნენ.

იცოდეთ, ისინი ფუნთუშების დარიგებით, სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერით, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სახელით მოჰყავთ, მაგრამ, როცა ყველაფერს საკუთარი თვალით დაინახავთ, აღმოაჩენთ, რომ მათი მოშორება უკიდურესად ძნელია. **ისინი ვერც საქართველომ მოიშორა ბოლომდე – ამერიკელების მხარდაჭერით საპარლამენტო მანდატების 40% შეინარჩუნეს და ახლა უკრაინა მათთვის მხოლოდ პლაცდარმია საქართველოს ხელისუფლებაში რევანშით დასაბრუნებლად!**

პოლიტიკანები, რომელთათვისაც საკუთარი მოქალაქეების სისხლი არაფერს ნიშნავს, უკრაინელების სისხლზე არ იდარდებენ. ისინი გულწრფელად მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებები მხოლოდ მათ აქვთ, დანარჩენები მათი პოლიტიკური ინტერესების განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენენ. მათი პოლიტიკური ინტერესი კი ახლოსაც არ არის არც ქართველი, არც უკრაინელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ და საქართველოს დღესაც არ აქვს ჭრილობები მოშუშებული. **ნუ გაიმეორებთ ჩვენს შეცდომებს და ნუ გვისაყვედურებთ, რომ არ გაფრთხილებდით!**

**„ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გარყვნილია. ისინი იღებენ თამაშის იმ წესებს, რომელსაც მსხვილი მოთამაშეები აწესებენ, უპირობოდ ატარებენ მათ პოლიტიკას, არ აინტერესებთ ქვეყნის ინტერესები. მე-5 კოლონა მყისიერ ღალატს არ გულისხმობს, ხშირად ეს არის იდეოლოგიური ღალატი — ისინი ქვეყნის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ... ხდება გარკვეული „ფასეულობების“ იმპლემენტაცია ჩვენს ქვეყანაში, ვილაცისთვის მნიშვნელოვანია ეს „ფასეულობა“, მაგრამ ჩვენთვის — არა. ესეც არის მე-5 კოლონის დამახასიათებელი ნიშანი. ასეთები არიან ჩვენს ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური ჯგუფები და ჟურნალისტებიც. მათ საქმიანობას ერთი პრინციპი აქვს — საზოგადოებრივი ცნობიერების გარყვნა, რათა შემდეგ იოლად მართონ.“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლის დეკემბრის ბოლოს ცნობილი შეიქნა, რომ აშშ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას დამატებით 10 მილიონს გამოუყოფს, რათა გააქტიურდეს „რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ მაუწყებლობა რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ. სად და ვისთან მიდის ამერიკული მილიონები რეალურად და რისთვის იხარჯება — ხმარდება თუ არა ქვეყნის წინსვლას? გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:**

# მამუკა არეშიძე: ფონიჭალაში ვაჰაბიტების დაჯგუფებაა

**— ბატონო მამუკა, ანტირუსული პროპაგანდისთვის ამერიკიდან წამოსული მილიონები სად და ვისთან მიდის ან რაში გამოიხატება რუსული აგრესია? მინდა, გავიხსენოთ პაატა ზაქარეიშვილის სიტყვები: „პუტინი, როგორც ჩანს, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს“. ზაქარეიშვილს უკვირს, რომ ვიღაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს... სწორია თუ არა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა, როდესაც ანტირუსული პროპაგანდისთვის ამერიკისგან ფულს იღებს?**

— ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში ადეკვატური მოქმედება ძალიან გაუჭირდება ისეთ ვითარებაში, როგორშიც ჩვენ ვართ. კარგი ხელისუფლების მიზანი არის ის, რომ მაქსიმალურად მოქნილად და მეტი სარგებლის მოსატანად იმოქმედოს. პოლიტიკა ვაჭრობის ხელოვნებაა, ამათ ვაჭრობა არ შეუძლიათ იმიტომ, რომ საკადრო დეფიციტი აქვთ, არ აქვთ ნება და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს კონცეფცია იმისა, მოცემულ სიტუაციაში რა უნდა გააკეთონ. **დღეს საქართველოს პოლიტიკა უინიციატივოა.**

ფული, რომელიც თქვენ ახსენეთ, არ ვიცი, ვის ხელში მოხვდა და არც ის ვიცი, კონკრეტულად რა თანხაზეა ლაპარაკი, მაგრამ ნათელია, რომ **ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გარყვნილია. ისინი იღებენ თამაშის იმ წესებს, რომელთაც მსხვილი მოთამაშეები აწესებენ, უპირობოდ ატარებენ მათ პოლიტიკას, არ აინტერესებთ ქვეყნის ინტერესები.** ხშირად ვახსენებთ მე-5 კოლონას. **მე-5 კოლონა მყისიერ ღალატს არ გულისხმობს, ხშირად ეს არის იდეოლოგიური ღალატი — ისინი ქვეყნის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. აცნობიერებენ ამ ყველაფერს თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ხდება გარკვეული „ფასეულობების“ იმპლემენტაცია ჩვენს ქვეყანაში, ვიღაცისთვის მნიშვნელოვანია ეს „ფასეულობა“, მაგრამ ჩვენთვის — არა. ესეც არის მე-5 კოლონის დამახასიათებელი ნიშანი. ასეთები არიან ჩვენს ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური ჯგუფები და ჟურნალისტებიც. მათ საქმიანობას ერთი პრინციპი აქვს — საზოგადოებრივი ცნობიერების გარყვნა, რათა შემდეგ იოლად მართონ.**

თვალი გადავავლოთ ტელევიზიებს, პრაქტიკულად, არც ერთი გადაცემა, რომლებიც ტელეეთერში გადის, პატრიოტულ მოტივებზე არ არის. საზოგადოებრივი მაუწყებელიც კი, რომელიც ვალდებულია, დააკმაყოფილოს ნებისმიერი ადამიანის ინტერესი, არ ზრუნავს სათანადო გადაცემების მომზადებაზე. **ყველა ტელევიზია და გადაცემა მუშაობს სქესთა შორის დაპირისპირებაზე, ერთსქესიანებზე, ფსევდობომონდის ცხოვრებაზე და ა. შ. ეს არის მცდელობა საზოგადოებრივი გემოვნების ჩამოყალიბებისა და, რაც მთავარია, საზოგადოების დისტანცირებისა იმ პრობლემებისგან, რომლებიც რეალურად არსებობს და საბოლოოდ, საზოგადოებას გარყვნის.**

**— ვინ გვიკეთებს ამას?**

— ასეთი ჯგუფები არიან ყველგან — დასავლეთშიც, ამერიკაშიც და, თუ გნებავთ, ჩრდილოეთშიც. ჩვენ თავს გვახვევენ დასავლეთიდან შემოსულ ფსევდოფასეულობებს. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვამ მახინჯი ფორმა მიიღო. „ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში“ ძალიან ბევრი რამ საერთოდ არ წერია, რის დასაცავადაც აქური არასამთავრობოები თავს იკლავენ. შესაბამისად, დასავლეთში არიან ჯგუფები, რომლებიც არამთავრობოების ხელით ცდილობენ, დანერგონ ის იდეოლოგია, რომელიც მათ სჭირდებათ.

**— ამ საქმეში მიდის ის ფული, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით?**

— დიახ, სწორედ ამ საქმისთვის იხარჯება ის ფული, რომელიც შემოდის.

ჩვენ რელიგიის პრობლემაც გვაქვს — ცდილობენ, რელიგიური იდეოლოგია შეცვალონ. ამაზეც მუშაობს არა ერთი მუსლიმანური ქვეყანა და ევროპაში არსებული რელიგიური ჯგუფი. **ეს პატარა საქართველო ძალიან ბევრს უძლებს.**

**საქართველოში ტრადიციული ფასეულობების რღვევა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენ კი ამ ყველაფერს ვხედავთ და ვცდილობთ, ზვავი თითებით შევაკავოთ, მაგრამ, თუ კონსოლიდაცია არ მოხდა, ვერაფერს ვუშველით. ყველას ვალია და მათ შორის, წესიერი ჟურნალისტებისაც, რომ ამ კუთხით საზოგადოება მუდმივად განგაშის რეჟიმში ამყოფონ.**

**— რა შეუძლია ხალხს?**

— **დღეს ხალხი სოციალურ ქსელში ღიად საუბრობს დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების მუშაობის შედეგების სიმახინჯეზე. რამდენიმე წლის წინათ ასე არ ხდებოდა: გახსოვთ, იელოველებს რამხელა ხელშეწყობა ჰქონდათ? ხალხი მიხვდა, რომ ეს კარგი არ არის.**

ყოველთვის ვლაპარაკობ ისალამისტურ საფრთხეზე, მხარს მიჭერს ბევრი და, პირველ რიგში, საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, ხალხი საზოგადოებად არ ჩამოყალიბებულიყო, მაინც ვახერხებთ კონსოლიდაციას.

დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ ბენჟამენ კონსტანმა თქვა: „როდესაც ხალხი ცდება, მაინც ხელისუფლებაა დამნაშავე“. ხელისუფლებას დიდი წვლილი მიუძღვის არსებული ვითარების შექმნაში.

**ჩვენი ხელისუფლებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ხალხისგან ბრბო ჩამოეყალიბებინათ, შეძლეს თუ არა ეს, სხვა საკითხია, მაგრამ ცდილობენ. ყველა ხელისუფლების წარმომადგენელს ვეუბნებოდი — არ დაევიწყებინათ საშუალო ფენის ჩამოყალიბება. მაგრამ ამის სურვილი არავის ჰქონდა. სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, მე რომ საშუალო ფენა ჩამოვაყალიბო, მერე ვინღა ამირჩევსო...**



**— სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის განთავსება „ისლამური სახელმწიფოს“ სამიზნედ გვაქცევს...**

— თქვენ, ალბათ, ვერ წარმოგიდგენიათ, რა ტიპის დაძაბულობა და საფრთხე არსებობს უკვე. როდესაც ნატოს საწვრთნელი ცენტრის განთავსებაზე დაიწყო საუბარი, ვისთანაც ხმა და ხელი მიმიწვდებოდა, ყველას ვკითხე, ეს გაზრდის თუ არა ჩვენს უსაფრთხოებას-მეთქი? ყველაზე მეტად ერთი პასუხი „მომეწონა“: — „არა, მაგრამ ეს არის უსაფრთხოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი“... ახლა ვეკითხები ყველას: **კიდევ რამდენი ნაბიჯი უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ ჩვენი უსაფრთხოება გაიზარდოს ასეთი რისკების ხარჯზე?**

## «ზუსტად ვიცი, აპრილში რა იგეგმება თრუსოს ხეობაში...»

საქართველოში ნატოს ცენტრის განთავსების აუცილებლობას ვერ ვხედავ.

**ზუსტად ვიცი, აპრილში რა იგეგმება თრუსოს ხეობაში... არსებობს ორგანიზაცია, რომელიც დაკომპლექტებულია იმ ხალხით, რომელიც კობის მონაკვეთსა და თრუსოს ხეობაში ცხოვრობს და თავისი ნებით წავიდა აქედან.**

**ორგანიზაციის სახელწოდებაა „დარიალი“. როდესაც სავიზო რეჟიმი მოიხსნა, ყაზბეგიდან აპირებდნენ შემოსვლას და მანიფესტაციის მოწყობას ლოზუნგით — დაგვაბრუნეთ სახლებში. მაშინ ეს ჩაიშალა, რადგან ზომები მიიღეს. ახლა ახალგორიდან აპირებენ შემოსვლას. 25-კილომეტრიანი ტერიტორია, რომელიც მანამდე 8 სოფელს ეკავა, სრულიად მოშიშვლებულია.** იქ არ არის არც ქართველი, არც ოსი, არც სამართალდამცავი და არც არასამთავრობო. ტერიტორიას დასავლეთიდან აკრავს ქედი, რომლის გადმოლახვაც აპრილში პრობლემა არ იქნება. **წარმოიდგინეთ, გადმოვიდეს 60-70 ადამიანი და იქ, რამე რომ არ მოხდეს და, უბრალოდ, დასახლდნენ, რამხელა პრობლემის წინაშე დავდგებით! გაიხსენეთ, ედუარდ კოკოითის ნათქვამი — თრიალეთის ოსეთი უნდა დაუბრუნდეს სამხრეთ ოსეთსო. ეს მან 2008 წელს თქვა. თრიალეთის გარდა, ოსეთის პროექტში შედის თრუსოც, კობიც, გომიც და ბორჯომიც...**

**— ეს სერიოზული ინფორმაციაა. საიდან გაქვთ?**

— ერთ-ერთი მონაწილისგან, რომელიც საქართველოს მოქალაქეა (იქ ძალიან ბევრია საქართველოს მოქალაქე და ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის). იურიდიულად მათ ყაზბეგიდან შემოსვლის საშუალება და უფლება აქვთ, ხმას ვერ გასცემ, ჩვენი კოზირი არის ის, რომ ახალგორიდან შემოდიან. საქმე ის არის, რომ ჩვენ მორალური უფლება არ გვაქვს, ამ ხალხს რამე დავუშავოთ. ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. ვფიქრობ, საჭირო ღონისძიებებს გაატარებენ, დელიკატურად უნდა მიუდგნენ, მაგრამ მაინც მეშინია — ვაითუ, სწორი ნაბიჯი ვერ გადადგან, თუმცა, ვიცი, კონსულტაციებს გადიან და შესაბამისად მოიქცევიან.

არის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც ძალიან დიდი საფრთხის მქონეა.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, ის, რომ **ფონიჭალაში ვაჰაბიტების სერიოზული დაჯგუფებაა.**

**— რა იცით? ახლა ძალიან გვაშინებთ...**

— ყველაფერი ვიცი, რაც საქართველოს უსაფრთხოების სისტემას ეხება. 25 წელია, ამ საქმეებზე ვმუშაობ, ვიცნობ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, მათ შორის, ვაჰაბიტებსაც.

**ქვემო ქართლში ჭიდაობს ოთხი ძალა — არაბეთი, ირანი, აზერბაიჯანი და თურქეთი. ვიდრე ისინი ერთმანეთს ებრძვიან, არა გვიშავს, დაამთავრებენ ბრძოლას და მერე ცუდად ვიქნებით.**

**— ყველგან დაძაბული ვითარებაა, უახლოეს სამეზობლოშიც და შორეულშიც. როგორი იქნება საქართველოსთვის 2015 წელი?**

— ძალიან რთული, მძიმე. „ნაცების“ მიერ დაგეგმილი 21 მარტის აქცია არის ძალიან მცირე ნაწილი იმ სიტუაციისა, რომელიც სააკაშვილის თანაგუნდელებმა შექმნეს. „ოცნებამ“ უმძიმესი შეცდომები დაუშვა საკადრო პოლიტიკაში, რომელიც „ნაციონალებმა“ კარგად გამოიყენეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, მიუხედავად საწინააღმდეგო ინფორმაციისა, ლარის კურსის დაცემა ხელოვნურად არის გამოწვეული. პრობლემები ხელოვნურად არის შექმნილი ბევრ სფეროსა და სტრუქტურაში.

ფული, რომელზეც ვსაუბრობდით, „ნაციონალურ მოძრაობას“ შემოაქვს, „ქართული ოცნება“ ამას ვერ ახერხებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «ქვემო ქართლში ჭიდაობს ოთხი ძალა — არაბეთი, ირანი, აზერბაიჯანი და თურქეთი. ვიდრე ისინი ერთმანეთს ებრძვიან, არა გვიშავს, დაამთავრებენ ბრძოლას და მერე ცუდად ვიქნებით»

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა შეუძლია, ურჩიოს სააკაშვილმა თავის „სისხლსა და ხორცს“ — პოროშენკოს: როგორ უჩქმიტოს ას მილიონ დოლარად დაზღვეულ ლოპესის უკანალს ან როგორ მოაჭამოს მკერდი საყვარელს? მუქთად როგორ მიირთვას ფეშენებელურ რესტორანში „სუში“? ან როგორ აწამოს, ცოცხით გააუპატიუროს პატიმრები და შემდეგ ამ ძალადობის ვიდეოკადრებით დატკბეს? თუ როგორ უსაძაგლოს საკუთარ ქვეყანას და დააკარგვინოს ტერიტორიები?**




# 2015 წლის თებერვალში საქართველოს 290 929 ადამიანი ეწვია

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა თებერვალში საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. შსს-ს ინფორმაციით, 2015 წლის თებერვალში ვიზიტორთა რაოდენობა 290 929-ით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 1 %-ით ნაკლებია.**

რაც შეეხება იანვარ-თებერვლის ინტერვალს, ქვეყანაში 600 396 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ამასთანავე, პირობითი დაყოფის მიხედვით, საზღვარზე გადაადგილების ხვედრითი წილი ასეთია: **ტურისტი** — 212 668 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 35,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,8%-ით); **ტრანზიტი** — 115 653 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19,3%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 14,6%-ით); **სხვა** — 272 075 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45,3%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3,5%-ით).

2015 წლის თებერვალში ყველაზე მეტი ვიზიტორი კვლავ **თურქეთიდან** (-10%), **აზერბაიჯანიდან** (+8,5%), **სომხეთიდან** (+8,8%), **რუსეთიდან** (-7,3%) და **უკრაინიდან** (-14%) შემოვიდა.

„პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლის რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-თებერვალში გამოირჩნენ ლიტვა, გერმანია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია (შესაბამისად, 126%, 12%, 12%, 11%, და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან — უზბეკეთი (67%) და ყაზახეთი (20%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელარუსისა და მოლდოვას მოქალაქეები 43% და 21%-იანი მატებით“, — განაცხადეს შსს-ში.

# ჰალსტუხი შოკოლადში

**საქართველოში ძებნილი მოქალაქე სააკაშვილი ამა წლის 11 თებერვალს სათავეში ჩაუდგა უკრაინის პრეზიდენტთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს საერთაშორისო საკითხებში. მანამდე კი ამ ქვეყნის „უცხოური ლეგიონი“ შეივსო იუსტიციის მინისტრის მოადგილით — გია გეწაძით.**



შეგახსენებთ სხვა გადამთიელთა ვინაობას, მეტასტაზებივით რომ გავრცელდნენ უკრაინული ხელისუფლების თითქმის ყველა შტოში. მინისტრები: ქართველი **კვიტაშვილი**, ლიტველი **აბრომავიჩუსი**, აშშ-ის მოქალაქე — **იარესკო,** ბაქოელი სომეხი **ავაქოვი,** უმაღლესი რადის სპიკერი — ებრაელი **გროისმანი**; სოლიდურ თანამდებობებზე მოკალათდნენ ჩვენი ყოფილი თანამემამულეები: **ებანოიძე, შელია, ზღულაძე** და სხვები. არადა, **„მაიდნის“ ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო: „უცხოელო, გახსოვდეს, აქ ბატონ-პატრონი უკრაინელია!“.**

ვფიქრობ, ასეთ „საკადრო“ პოლიტიკას შორს მიმავალი გეგმები აქვს. ადგილობრივი არაკორუფცირებული კადრების უკმარისობის მიზეზით, აშშ ჯერ ე. წ. მეგობრული ქვეყნებიდან გაძევებული პოლიტიკური და ფინანსური კრიმინალებით შეუვსებს უკრაინას მოხელეთა „დეფიციტს“, შემდეგ კი საბაბით, რომ ესენიც „ღმერთს არ უქნია“, „იძულებული“ გახდება, თავისი ამერიკელი ჩინოსნებით „დაეხმაროს“ უკრაინას „დემოკრატიული ქვეყნის“ აღმშენებლობაში. სამწუხაროდ, ასეთი ვარაუდი არ არის ჩემს ტვინში ნარკოტიკული ნივთიერების ან ალკოჰოლის ზემოქმედებით შობილი ფანტაზია. ამ საფრთხეზე ქართველ საზოგადოებას „საქართველო და მსოფლიო“ ერთი წლის წინათ აფრთხილებდა წერილში „განორლანდებული საქართველო“. მასში მოყვანილი ფაქტები აშშ-ის ოფიციალურ დოკუმენტებს ეყრდნობოდა.

ისე, როცა ყურადღებით აკვირდები უკრაინული პოლიტიკის პერიპეტიებს, ცირკში წასვლის სურვილი გაგიქრება. ამ „არენაზე“ მთელი სეზონი კლოუნებია!.. და მართლაც — რა შეუძლია, ურჩიოს სააკაშვილმა თავის „სისხლსა და ხორცს“ — პოროშენკოს: როგორ უჩქმიტოს ას მილიონ დოლარად დაზღვეულ ლოპესის უკანალს ან როგორ მოაჭამოს მკერდი საყვარელს? მუქთად როგორ მიირთვას ფეშენებელურ რესტორანში „სუში“? ან როგორ აწამოს, ცოცხით გააუპატიუროს პატიმრები და შემდეგ ამ ძალადობის ვიდეოკადრებით დატკბეს? თუ როგორ უსაძაგლოს საკუთარ ქვეყანას და დააკარგვინოს ტერიტორიები?

მოკლედ, სააკაშვილმა არაფერი იცის, გარდა იმისა, კვლავ როგორ გამოიყენოს თავისი გამოცდილება სახელმწიფო სტრუქტურების განადგურებასა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, ოღონდ უკვე — საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სააკაშვილი ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულია ძებნილად, ხოლო აშშ-მა მას არ მისცა სამუშაო ვიზა, მხოლოდ ტურისტული უზოძა; და მხოლოდ უკრაინაში, იმავე აშშ-ის რეკომენდაციით, უამრავ ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილმა იშოვა სამუშაო! **კითხვა ბატონ ნორლანდს — იქნებ იკადროთ და აუხსნათ ქართველ საზოგადოებას, რატომ ელოლიავება თქვენი ქვეყანა ძებნილ სააკაშვილს**? და ვიდრე ბატონი ნორლანდი გაგვცემს პასუხს, მინდა, მარკეტინგული „აღმოჩენა“ გავუზიარო ბატონ პოროშენკოს — გაეცით განკარგულება, ფაბრიკა „როშენმა“ გამოუშვას კანფეტების ნაკრები — „ჰალსტუხი შოკოლადში“. ხოლო, როგორი ჰალსტუხი გამოდგება დასაღეჭად, რჩევისთვის სააკაშვილს მიმართეთ.

მას ხომ რჩევისთვის უხდით ჯამაგირს.

**გიორგი კორძაძე**

# «ახალი ამბები კეთდება აქ»






**ამას წინათ „რუსთავი 2“-მა გული აგვიჩუყა, — რუსეთის ხელისუფლება ანა დურიცკაიას ქვეყნიდან არ უშვებსო, 23 წლის ქალს, რომელიც ბორის ნემცოვის მკვლელობის მთავარი მოწმეა... „კურიერის“ ტელეწამყვანმა, ასევე, მოგვახსენა, — მოსკოვის ცენტრში ვიღაც მამაკაცი დადგა და „პრორუსი სეპარატისტების“ მხარდასაჭერად ფულს აგროვებსო. „კურიერმა“ მოსკოვის ცენტრში მისვლა და მასთან გასაუბრება „არ დაიზარა“...**

მაგრამ „თავისუფალ“ და „ობიექტურ“ „რუსთავი 2“-ს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ლოს ანჯელესის ქუჩაში დახვრეტილ უსახლკაროზე, რომელიც პოლიციელებმა ჯერ ასფალტზე დააგდეს, ხელჯოხი ურტყეს, შემდეგ კი ხუთი(!) ტყვია დაახალეს...

არ უთქვამს, რადგან ეს ლოს ანჯელესში მოხდა, აშშ-ში...

წარმოვიდგინოთ, ეს ამბავი მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში ან რუსეთის თუნდაც რომელიმე პატარა ქალაქში რომ მომხდარიყო.

„კურიერის“ წამყვანის ტექსტი წინასწარ ცნობილია:

**„დღეს რუსმა პოლიციელებმა მორიგი სასტიკი დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. რამდენიმე პოლიციელმა ჯერ მიწაზე დააგდო შიმშილით ძალამიხდილი, უსახლკარო ადამიანი, სასტიკად სცემა ხელჯოხით, შემდეგ კი ერთ-ერთმა სამართალდამცველმა ხუთი ტყვია დაახალა.**

**პუტინის რეჟიმი უფრო და უფრო სასტიკი ხდება საკუთარი ხალხის მიმართ და ტერორში ამყოფებს მოსახლეობას. ისმის კითხვა — რა საჭირო იყო იარაღის გამოყენება და თუნდაც ერთი ტყვიის სროლა, როცა ძირს დაგდებულ მშიერ და მისავათებულ ადამიანს წინააღმდეგობის გაწევის თავი ისედაც არ ჰქონდა, და მით უმეტეს, ხუთი ტყვიის სროლა?“**

აქვე — „ნაციონალების“ ლიდერებისა და მათი „ექსპერტების“ კომენტარები:

**„ესაა პუტინის რეჟიმის ნამდვილი სახე — ქუჩაში ხვრეტს ადამიანებს!“**

შესაბამისი ტექსტია ხომ? ახლა სიტყვები „რუსეთი“ და „პუტინი“ შევცვალოთ „აშშ“-თი და „ობამა“-თი და მივიღებთ „რუსთავი 2“-ისეულ ინფორმაციას, რომელიც ნამდვილად მოხდა და რომელიც არ გავიდა იმიტომ, რომ...

დასკვნა თქვენთვის მომინდია.

**ლევან ზანგურაშვილი**

მოკლედ

# სახელმწიფო ენის ნორმების დარღვევისთვის ადმინისტრაციული ჯარიმები აღარ დაწესდება

**სახელმწიფო ენის ნორმებისა და შესაბამისი კანონის დარღვევისთვის ადმინისტრაციული ჯარიმები გათვალისწინებული არ იქნება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილი იქნება, სახელმწიფო ორგანოებს მხოლოდ სათანადო რეკომენდაციებით მიმართოს.**

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს ჯერ კიდევ გასულ წელს წარედგინა, გადამუშავდა და პირვანდელ ვარიანტში ასახულ არაერთ სიახლეზე უარი ითქვა.

კანონპროექტში ძირითადი აქცენტი ენის დაცვაზეა გაკეთებული. ამ მიმართულებით ჩადებული იყო მუხლები, რომლებიც, კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, გარკვეულ ადმინისტრაციულ სანქციებს ითვალისწინებდა. სანქციების ნაწილი პროექტის გადამუშავებული ვარიანტიდან ამოღებულია.

შეიცჰვალა მუხლები სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების შესახებაც. თუკი პირვანდელი ვარიანტით, მოქალაქეობის მიღებისას გამოცდის ჩაბარება აუცილებელი იყო, ახლა ეს დღის წესრიგიდან მოიხსნა — **ენის გამოცდა ნებაყოფლობითი იქნება და მას პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩააბარებს, თუ ზოგადი განათლება საქართველოში ან უმაღლესი განათლება სახელმწიფო ენაზე არ აქვს მიღებული.**

გარდა ამისა, იცვლება ისიც, რომ სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია ცალკე ორგანო აღარ იქნება და ის ენის დეპარტამენტის ფარგლებში იმუშავებს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილმა არ (თუ ვერ) შეასრულა საზოგადოების მთავარი მოთხოვნა და არ (თუ ვერ) დაამკვიდრა ქვეყანაში სამართლიანობა. მისმა უგერგილო მართლმსაჯულებამ ვერ გაასამართლა „ნაცრეჟიმის" სულის ჩამდგმელები: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და კიდევ ბევრი სხვა დამნაშავე, რომელთა ხილვასაც საბრალდებო სკამზე ქართველი ხალხი მოუთმენლად ელოდა; მეტიც, პროკურატურამ იმასაც ვერ მიაღწია, რომ ზემოაღნიშნულ პიროვნებებზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადებულიყო და რამდენჯერაც მიმართა ინტერპოლს დახმარებისთვის, იმდენჯერვე „გაბანძდა".**

# ივანიშვილის 7 საბედისწერო შეცდომა, რომლებმაც სახელმწიფო შეარყია

**წინა კვირას აჭარის უმაღლეს საბჭოში განვითარებული მოვლენების ფონზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ მეტად საგულისხმო რამ განაცხადა: საპარლამენტო სიის შედგენის დროს ბევრი შეცდომა მოგვივიდა — ის ადამიანები, რომლებიც „ოცნების" პრინციპით შევიდნენ პარლამენტში, დღეს „ოცნების" პირველი მოწინააღმდეგეები არიანო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების შეცვლიდან ორი წლის თავზე მსგავსი სიმართლე არც ერთ „მეოცნებეს" არ უთქვამს, მაგრამ ბატონ საგანელიძეს შეეძლო, მადლზე მარილი მოეყარა და სხვა შეცდომებზეც ესაუბრა. რა გაეწყობა, როგორც ჩანს, უმრავლესობის თავკაცს ამისთვის ჯერ არ სცალია ან გამბედაობა არ ჰყოფნის და ისღა დამრჩენია, დანარჩენი შეცდომები თვითონ შევახსენო „ნეტარ ქოცნებისტებს".**



მაშ ასე, **პირველი და მიუტევებელი შეცდომა**, რომელიც კოალიციის მესვეურმა, ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკაში მოსვლისთანავე დაუშვა, იყო ის, რომ გვერდით **სამპროცენტიანი რესპუბლიკელები** დაიყენა. მან ამ პოლიტიკური იმპოტენტების პარტიას ძალაუფლებისკენ გზა გაუხსნა და ამით წინდაწინვე დანაღმა მომავალი სახელისუფლო გუნდი. მარტივად რომ ვთქვათ, კოალიცია მედროვეებით გაივსო და ახლა ეს ნელი მოქმედების ნაღმები სად, როდის ამოქმედდება, კაცმა არ იცის;

**შეცდომა მე-2:** ივანიშვილმა თავის დროზე **სრული ნდობა გამოუცხადა ირაკლი ალასანიას, გიორგი მარგველაშვილს** და იმ იმედით, რომ ორივე ყურმოჭრილ მონებად ეყოლებოდა, ერთს თავდაცვის მინისტრის პოსტი ჩააბარა, მეორეს — უმაღლესი მთავარსარდლის სკიპტრა. ოლიგარქი მწარედ შეცდა, მალე ორივემ გაუტია: ალასანიას ქვეყნის პირველკაცობა მოუნდა, ხოლო მარგველაშვილს — რეალური პრეზიდენტობა. დღეს უკვე „თავისუფალი დემოკრატები" კოალიციის ნომერი პირველი კრიტიკოსები არიან, მარგველაშვილი კი, თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე, — „ნაცებისა" და, საზოგადოდ, ნეოლიბერალური იდეოლოგიის ძალების პოტენციური მოკავშირე. მოკლედ, ფაქტია, რომ ივანიშვილმა ვერ გათვალა;

**შედომა მე-3:** ივანიშვილი იმთავითვე აღიარებდა, რომ პოლიტიკაში გამოუცდელია და ერთ წელიწადში გადავდგები, ქვეყნის სადავეს კი საზოგადოების ყველაზე ღირსეულ ნაწილს ჩავაბარებო (ამ ღირსეულ ნაწილში რესპუბლიკელებს გულისხმობდა და, ეს რომ მისი საბედისწერო შეცდომა იყო, უკვე მოგახსენეთ). მოკლედ, ოლიგარქი **ფიქრობდა, რომ პროცესებს კულისებიდან გაუძღვებოდა**, მაგრამ აქაც მწარედ შეცდა: „მარიონეტებში" პოლიტიკურმა ამბიციებმა იმძლავრა და ივანიშვილი გარიყეს, მოაშორეს ასპარეზიდან (მოვლენათა ამგვარ განვითარებას ის აშკარად არ ელოდა).

**შეცდომა მე-4:** ივანიშვილი ჯერ კიდევ პოლიტიკაში მოსვლამდე აცხადებდა, რომ **2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნებოდა გარდატეხა, რომლის შემდეგაც შეიქმნებოდა თავისუფალი საარჩევნო გარემო.** ეს მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა, ამიტომ პირველი მოთხოვნა, რომელიც მას საზოგადოებამ წაუყენა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იყო. საუბედუროდ, ამ მოთხოვნაზე ოლიგარქს ერთადერთი პასუხი ჰქონდა: პატივი ვცეთ კონსტიტუციას. დღეს კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების არჩატარება საბედისწერო შეცდომა იყო**, რადგან ეს არჩევნები საკანონმდებლო ორგანოს უსათუოდ გაცხრილავდა რესპუბლიკელების, „თავისუფალი დემოკრატების," „ნაციონალებისა" და კიდევ სხვა ბევრი პოლიტიკური პარაზიტისგან, რომლებიც ახლა, კაცმა არ იცის, რა მზაკვრობას უნასკვავენ ქართულ სახელმწიფოს.

**შეცდომა მე-5:** 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილს თავისუფლად **შეეძლო, ხელისუფლების სამივე შტო სრულად გაეწმინდა „ნაციონალური" ნარჩენებისგან, მაგრამ ეს არ გააკეთა.** პირიქით, ერთ-ერთ კონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა, „ნაციონალურ მოძრაობაშიც" არის ღირსეული ხალხი და მათ შანსი უნდა მივცეთო. ალბათ, **ეგონა, მისი ავტორიტეტი გაჭრიდა და სააკაშვილის წვრილფეხოსან დამქაშებს თავის მსახურებად აქცევდა**, მაგრამ, საუბედუროდ, მხედველობიდან გამორჩა ძველი შეგონება: „კუზიანს სამარე თუ გაასწორებსო". აგერ, აჭარის უზენაეს საბჭოში განვითარებული მოვლენებიც იმის დასტურია, რომ ოლიგარქი შეცდა. მისი საბედისწერო შეცდომების შედეგებს კი ახლა სრულიად საქართველო და ქართველი ხალხი იმკის...

**შეცდომა მე-6:** ივანიშვილმა **„ნაცმოძრაობა" მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოაცხადა და „თეთრი სახლის" საამებლად სასათბურე პირობები შეუქმნა.** „ნაცებმაც" კარგად ისარგებლეს ამ მდგომარეობით და აგერ უკვე რა ხდება: რამდენიმე დღეში რუსთაველზე ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით აპირებენ აქციის გამართვას. აშკარაა, რომ „ქოცნებისტების" შეცდომის წყალობით რეჟიმი ფერფლიდან აღდგა და სადაცაა, ქვეყანაში არეულობის ცეცხლსაც ააგიზგიზებს...

**შეცდომა მე-7 (უმთავრესი):** ივანიშვილმა **არ (თუ ვერ) შეასრულა საზოგადოების მთავარი მოთხოვნა და არ (თუ ვერ) დაამკვიდრა ქვეყანაში სამართლიანობა.** მისმა უგერგილო მართლმსაჯულებამ ვერ გაასამართლა „ნაცრეჟიმის" სულის ჩამდგმელები: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და კიდევ ბევრი სხვა დამნაშავე, რომელთა ხილვასაც საბრალდებო სკამზე ქართველი ხალხი მოუთმენლად ელოდა; მეტიც, პროკურატურამ იმასაც ვერ მიაღწია, რომ ზემოაღნიშნულ პიროვნებებზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადებულიყო და რამდენჯერაც მიმართა ინტერპოლს დახმარებისთვის, იმდენჯერვე „გაბანძდა". ბოლოს ეს ყველაფერი ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის" — ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის — მაიკლ ტერნერის განცხადებამ დააგვირგვინა, რომელმაც ინტერპოლს მენტორული ტონით მოუწოდა, — არ გაბედოთ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებაო.

**პირველი და მიუტევებელი შეცდომა, რომელიც კოალიციის მესვეურმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე დაუშვა, იყო ის, რომ გვერდით სამპროცენტიანი რესპუბლიკელები დაიყენა. მან ამ პოლიტიკური იმპოტენტების პარტიას ძალაუფლებისკენ გზა გაუხსნა და ამით წინდაწინვე დანაღმა მომავალი სახელისუფლო გუნდი. მარტივად რომ ვთქვათ, კოალიცია მედროვეებით გაივსო და ახლა ეს ნელი მოქმედების ნაღმები სად როდის ამოქმედდება, კაცმა არ იცის**

მოკლედ, ოლიგარქის შეცდომებმა და პოლიტიკურმა უვიცობამ ლამის მსოფლიო გააოცოს, მაგრამ ეს ვის ადარდებს?! ამ შეცდომების შედეგები ისევ ხალხის ზურგზე გადადის, თვითონ კი ვერც ხვდება, რა უბედურება დამართა ქვეყანას უცოდინარობით. კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ შეცდომას დაუშვებს არშემდგარი „კარდინალი", თუმცა საკითხავია, ეს ყველაფერი შეცდომა იყო თუ მიზანმიმართული პოლიტიკა?!

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. წერილი უკვე დასრულებული მქონდა, როცა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება გააკეთა: მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ძალიან ბევრი დეპუტატი, მათ შორის მე და ზაქარია ქუცნაშვილიც, „ქართული ოცების" სიაში აღარ ვიქნებითო. რა არის ამაში გასაკვირი?! ათადან და ბაბადან ასე იყო — გემი როცა იძირება, ვიღაც-ვიღაცები გარბიან. უბრალოდ, გასაკვირი ისაა, რომ 7 მილიარდის პატრონმა ვერ გათვალა ეს მარტივი ჭეშმარიტება და, პროცესების კულისებიდან მართვის იმედით, ძალაუფლება ნომრიან ვირთხებს გადააბარა.**



## დავით უსუფაშვილი: ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის მართალი არ არის

**პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში (აშშ) სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის მართალი არ არის, როცა კომენტარს აკეთებს. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოში ბიძინა ივანიშვილის კომენტარები და აზრი მხოლოდ ერთი რიგითი მოქალაქის პოზიცია არ არის, რადგან ის დიდ გავლენას ინარჩუნებს.**

„ივანიშვილს არასდროს უთქვამს, რომ „ქვეყნიდან გაქრებოდა". მან თქვა, რომ პოლიტიკიდან აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადავიდოდა. მან დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე" და სურს, აქტიური იყოს. მისი კომენტარები და აზრი არ არის მხოლოდ ერთი რიგითი მოქალაქის პოზიცია საქართველოში, რადგან ის ინარჩუნებს დიდ გავლენას, პატივისცემას და ნდობას საზოგადოებისგან და იმ პოლიტიკური ძალისგან, რომელიც დააარსა. მისი ზეგავლენა რჩება და ამას არც უარვყოფ. არის თუ არა ის ყოველთვის სწორი, როცა აკეთებს კომენტარს?! — არა, ისევე, როგორც მე არ ვარ ყოველთვის მართალი. ის ადამიანია, ხოლო მიზეზი, რატომ წავიდა პოლიტიკიდან, იყო ის, რომ საქართველოში მესიის ტრადიციის გაგრძელება არ სურდა, რაც აქამდე ხდებოდა. მე ვურჩევდი ბატონ ივანიშვილს, რომ არ წასულიყო ასე ადრე და პოლიტიკური ძალის შექმნის პროცესი დაესრულებინა. სამწუხაროდ, ის წავიდა, თუმცა მისი გავლენა არ გამქრალა", — განაცხადა უსუფაშვილმა.

## ჯეიმს აპატურაი: არ ვიცი, როდის დასრულდება გზა, რომელსაც საქართველოს ნატოში გაწევრება ჰქვია

**სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის — ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ნატოსა და საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი ალიანსის ინფრასტრუქტურა არ არის.**

„ეს არ არის ნატოს ბაზა. ეს არის საქართველოს ბაზა, საქართველოს სუვერენული ტერიტორია. ერთობლივი იქნება წვრთნების კალენდარი, რომელსაც საქართველო და ნატო ერთად შეადგენენ. წვრთნები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს პროფესიონალიზმის ამაღლებაში დაეხმარება. საქართველოში წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი გაიხსნება — ეს გადაწყვეტილება ნატომ და საქართველომ უკვე მიიღეს. ორგანზაციის წევრები ბუქარესტის გადაწყვეტილების ერთგული რჩებიან — საქართველო ნატოს წევრი გახდება. მე არ ვიცი, ეს გზა როდის დასრულდება, მაგრამ საქართველოს მოქალაქეები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა", — განაცხადა აპატურაიმ.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძალიან კარგად იციან, საქართველოში ნატოს ბაზების განთავსებას „ისლამური სახელმწიფოდან“ რა საფრთხე მოჰყვება. თვითონ გაიქცევიან და ჩვენ აქ უნდა ვიყოთ. არაფერი გვიშველის, ხალხი დაიღუპება!“**



# ტრისტან წითელაშვილი: რუსეთი სიტყვებს ჰაერში არ ისვრის. ჯერ გვაფრთხილებენ და, თუ არ შევისმენთ, მაშინ იმოქმედებენ

„თუ ნატო საქართველოს ალიანსში „ჩათრევის“ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს“, — გააფრთხილა ნატოცა და საქართველოც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

„საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ მას აქვს სრული უფლება, ითანამშრომლოს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის, ნატოსთან. ეს თანამშრომლობა არანაირად არის მიმართული იმ მიზნისკენ, რომ საქართველოში განთავსდეს ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა, ასეთი გეგმები ბუნებაში არ არსებობს. საქართველო არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ზიანს მიაყენებს რეგიონულ უსაფრთხოებას,“ — უპასუხა ლავროვს პრემიერის რწმუნებულმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძის პასუხმა „ნაცები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები ძალიან შეაშფოთა, მათ დასაშოშმინებლად კი თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გამოვიდა და განმარტა: „ნატოს საწვრთნელი ცენტრი აშენდება და ეს იქნება დაკომპლექტებული ნატოელი მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეებითა და ექსპერტებით“.

რა ზომების მიღება შეუძლია რუსეთს ნატოს საწვრთნელი ბაზების წინააღმდეგ? რას მოიმოქმედებს ნატო რუსეთის წინააღმდეგ და შეძლებს თუ არა ჩვენი ქვეყნის დაცვას იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გაბრაზდება? დაცულია თუ არა ჩვენი ქვეყნის საზღვრები და საჰაერო სივრცე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გენერალი **ტრისტან წითელაშვილი** გვესაუბრება.

**— ბატონო ტრისტან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, უფრო ზუსტად, გაგვაფრთხილა, რომ, თუ ნატო საქართველოს ალიანსში „ჩათრევის“ პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს“. რა ზომები შეიძლება მიიღოს რუსეთმა?**

— გადავხედოთ უახლოეს წარსულს და გავიხსენოთ, რა დაგვემართა 2008 წლის აგვისტოში წინა ხელისუფლების სიჯიუტის გამო. **რიტორიკა არ შეცვლილა. „ნაცებიც“ ასე საუბრობდნენ და ნატოსკენ ზუსტად ასე მიისწრაფვოდნენ, შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა.** ძალიან მიკვირს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების — ვერც ერთი დამისახელებს ქვეყანას, სადაც ნატოს ბაზებია განთავსებული და იქ მშვიდად ცხოვრობენ. სადაც ნატოს ბაზებია, ყველგან ომი და ტერორია, ეს ბაზები მიმზიდველია ტერორისტებისთვის. არ სჭირდება ჩვენ ქვეყანას ახალი თავსატეხი. უმჯობესი იქნებოდა, რუსეთთან დაეწყოთ მოლაპარაკებები და ურთიერთობა დაერეგულირებინათ, რაც ტერიტორიების დაბრუნების გარანტი იქნებოდა.

**— ბატონო ტრისტან, იქნებ ლავროვი გვაშინებს და რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ არაფერსაც არ მოიმოქმედებს?**

— არა, რუსეთი სიტყვებს ჰაერში არ ისვრის. ისინი ჯერ გვაფრთხილებენ და, თუ არ შევისმენთ, მაშინ იმოქმედებენ...

**— ჩვენ კარგი ჯარი გვყავს და საზღვრებიც დაცული გვაქვსო, ამბობენ...**

— რუსეთი გააკეთებს იმას, რაც 2008-ში გააკეთა და იმაზე უარესსაც. რაც შეეხება საზღვარს, **სად აქვს საქართველოს საზღვრები? რუსეთს საქართველოში შემოსვლა ყველა მხრიდან შეუძლია, შეტევას განახორციელებს სამი მხრიდან — აფხაზეთიდან, ცხინვალიდან, გიუმრიდან და მას წინ ვერაფერი დაუდგება.**

გგონიათ, ნატოს ცენტრის განთავსება რამეს მოგვიტანს? უკრაინასაც ჰპირდებოდნენ ბევრ რამეს, მაგრამ რა გაუკეთეს?

**თუ საქართველომ მართლაც გადადგა ეს ნაბიჯი და აქ ნატოს ცენტრი განათავსა, როგორი მომზადებული სამხედროებიც უნდა ჩამოიყვანონ და საიდანაც, ვერაფერს გვიშველიან, რადგან რუსეთის წინააღმდეგ ვერაფერს მოიმოქმედებენ. რუსეთს ომში ვერავინ აჯობებს.**

**ამერიკელებს რუსეთთან გამკლავება რომ შეეძლოთ, ბარაკ ობამა არ განაცხადებდა, უკრაინაში სამხედრო ჩარევას არ ვაპირებთო. ეს, იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ უპირატესობა რუსეთს აქვს.** თუ საქართველოში მართლაც გამოჩნდება ამერიკული ქვედანაყოფები, ამერიკას, შესაძლოა, ისე დაარტყან, რომ ფეხზე წამოდგომა გაუჭირდეს.

**— როგორც გამოცდილი სამხედრო, რას ურჩევთ საქართველოს ხელისუფლებას?**

— ვურჩევ, გადადგან რეალური ნაბიჯები რუსეთისკენ, დაანებონ თავი ნატოს ძახილს, რადგან ეს ქვეყნის ინტერესებში არ არის, ეს ფულის ინტერესებში ჯდება მხოლოდ. **თუ რუსეთი კიდევ ერთხელ შემოვა საქართველოში, ჩვენი ქვეყანა აღარ იარსებებს.**

**— ბატონო ტრისტან, როგორც ვიცი, უკრაინაში ბევრი მეგობარი გყავთ, რას ამბობენ ისინი? ამას წინათ თქვენ მიერ ნახსენები მამუკა მამულაშვილი „კურიერში“ გამოჩნდა.**

— დიახ, მამულაშვილი ბაჩანა ახალაიას მრჩეველი იყო, იქ ძალიან ბევრია ასეთი ადამიანი. როდესაც მათ სახელებს ვახსენებდი, არ ჩნდებოდნენ, ახლა კი უკვე აღარ იმალებიან. **უკრაინაში** ▶

**«ძალიან მიკვირს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების — ვერც ერთი დამისახელებს ქვეყანას, რომელშიც ნატოს ბაზებია განთავსებული და მშვიდად ცხოვრობენ. სადაც ნატოს ბაზებია, ყველგან ომი და ტერორია, ეს ბაზები მიმზიდველია ტერორისტებისთვის. არ სჭირდება ჩვენ ქვეყანას ახალი თავსატეხი»**



# გია ხუხაშვილი: მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება გარდაუვალი გახდება

**ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. რამ მიგვიყვანა აქამდე, მოჰყვება თუ არა ამ ყველაფერს სოციალური აფეთქება და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტ გია ხუხაშვილს ესაუბრა.**

— ფაქტია, რომ ვითარება ძალიან რთულია და კიდევ უფრო მძიმდება. მმართველ კოალიციაში დაძაბულობაა. ეს გასაგებიც არის, რადგან პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“ თავის დროზე ჩამოყალიბდა არა პოზიტიური ნიშნით, ანუ რაღაცის შესაქმნელად, არამედ ვიღაცის წინააღმდეგ, რაც სწორი იყო ერთჯერადი ამოცანის შესასრულებლად. **კოალიციაში თავმოყრილი ადამიანები მაინცდამაინც მაღალი კვალიფიკაციითა და პოლიტიკური გამოცდილებით არ გამოირჩევიან.** ეს ყველაფერი კი, ჯამში, გვაძლევს საკმაოდ არასახარბიელო და არასასურველ სურათს.

**არათუ კოალიციაში, თვითონ პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ არ არსებობს ერთიანი პოლიტიკური ხედვა, ერთიანი იდეოლოგია. ერთიანი მიზნები მხოლოდ პლაკატურ დონეზეა, რაღაც სოციალ-დემოკრატიაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თვითონ პროგრამაში ან რაიმე პროგრამულ დოკუმენტში ერთი იდეოლოგია, რომლის ირგვლივაც შეკრებილნი არიან ადამიანები, არ ჩანს.** ბოლო ხანს ხომ, საერთოდ, თინეიჯერულ რაღაცებში გადავარდნენ, დაეტყოთ, ასე ვთქვათ, „გაახალგაზრდავება“ და რაღაც „რა? სად? როდის?“ კლუბებთან დაიწყეს საუბარი, ანუ ახალი სახეების თითო-თითოდ შერჩევა, ეტყობა, ეზარებათ და ცდილობენ, ბითუმად მოიზიდონ სხვადასხვა კლუბიდან. ეს, ჩემი აზრით, ინფანტილური მცდელობებია, დაღვინებული პოლიტიკოსისთვის არადამახასიათებელი ნაბიჯები. უახლოეს პერიოდში კი სიტუაცია არათუ გაუმჯობესდება, არამედ კიდევ უფრო დამძიმდება.

**— სიტუაციის დამძიმებაში რას გულისხმობთ — სოციალურ აფეთქებას? თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ლარის გაუფასურება?**

— **ის, რაც ლარის მიმართ ხდება, გლობალური პროცესის ნაწილია და კუდიანებზე ნადირობა კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ უნდა ვიკითხოთ, რა ღონისძიებებს ატარებს ხელისუფლება იმისთვის, რომ შეარბილოს ლარის დევალვაციის უარყოფითი შედეგები. აი, ამ მხრივ აჯაფსანდალი გვაქვს.** არ არსებობს ერთიანი ხედვა. ერთ დღეს გამოვლენ და იტყვიან, პრივატიზაციით მოვაგვარებთ ამ საკითხსო და რაღაც სასაცილო ობიექტებს აცხადებენ გასაყიდად, რაც საკმარისი არ არის ამ პრობლემის მოსაგვარებლად; მეორე დღეს გამოვლენ და დაიძახებენ, ქამრების შემოჭერას ვაპირებთო, ორიოდე წუთში კი გამოაცხადებენ — ეს ხელფასებისა და შტატების შემცირებას არ შეეხებაო... იმას არ შეეხება, ამას არ შეეხება და ველარ გავიგე, აბა, რას შეეხება! როგორც ჩანს, ხელისუფლებას გააზრებული არ აქვს, რა მდგომარეობაშია და რა სისტემური, მასშტაბური ნაბიჯებია გადასადგმელი. ამ მდგომარეობიდან უცნაური განცხადებებით ვერ გამოვლენ. ვიმეორებ, აშკარად არ აქვთ გაცნობიერებული, რა პრობლემის წინაშე დგანან და არც ხედვა აქვთ, როგორ უნდა გამოვიდნენ ამ სიტუაციიდან. **ხელისუფლებაში მოსვლიდან 2 წლისა და 6 თვის შემდეგ რომ იწყება საუბარი, თურმე ეროვნული ბანკის მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნული ყოფილაო, ეს, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.** ქადაგიძე „ნაციონალების“ კადრი რომ იყო, თავიდანვე ვიცოდით, მაგრამ აქ საინტერესოა, რატომ არის ის დღესაც ეროვნული ბანკის მმართველი. ის, რომ ხელისუფლებას ქადაგიძის გადასაყენებლად ინსტრუმენტი არ ჰქონდა, დამაჯერებელი არგუმენტი არ არის. „ოცნებას“ ბევრი ინსტრუმენტი ჰქონდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტიდან ქადაგიძის გადასაყენებლად. ვიცი რამდენიმე ბანკთან დაკავშირებული საქმეები, რომლებშიც ქადაგიძის ძალიან საეჭვო ქმედებები იკვეთება, მაგრამ სარჩელიც არის შეტანილი. და ახლა იმის გამოცხადება, რომ ქადაგიძე „ნაცი- ▶

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს კიდევ ერთხელ მივმართავ თხოვნით, რომ პროკურატურამ დაადგინოს პატრიარქისა და მართლმადიდებელი ეკლესიის შეურაცხმყოფელი კლიპის დამამზადებლის ვინაობა და კანონის შესაბამისად მისცეს პასუხისგებაში. ეს არის კლიპი, რომელიც ნებისმიერმა დესტრუქციულმა ძალამ შეიძლება გამოიყენოს საზოგადოებაში დაპირისპირების პროვოცირებისთვის და ყველა უბედურებაზე, რომლებიც მერე შეიძლება მოხდეს, პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება“**

### ავთანდილ უნგიაძე:

# დღეს ქრისტიანული მორალი უკვე აღარ არის ევროპული ფასეულობა

**ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე.**

**— ბატონო ავთანდილ, საკვირაო ქადაგებისას პატრიარქმა ბრძანა: „არ ყოფილა ისეთი დრო, ასე დაცემული ყოფილიყოს კაცობრიობა“. ამ განცხადებას საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა. სოციალურ ქსელებში ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ერთობ მწვავე კომენტარებსაც აკეთებდა... თქვენ როგორ ფიქრობთ, რის თქმა სურდა უწმინდესს?**

— ბოლო ოცი და განსაკუთრებით ცხრა წლის განმავლობაში ქართველმა საზოგადოებამ განიცადა წარმოუდგენელი სულიერი დეგრადაცია. მაგალითად, **ათი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ტელევიზორში ე. წ. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს გამოიყვანდნენ და ალაპარაკებდნენ, — ეს გადახრა კი არა, ჩვეულებრივი ამბავიაო, ან ვინმე წარმოიდგენდა, რომ ქართველი ქალი დედიშობილა დაჯდებოდა ეთერში?!** დღეს ეს „ჩვეულებრივი“ ამბავია, ჰომოსექსუალებიც გამოჰყავთ, სხვა გადახრების მქონე ადამიანებიც, რომლებიც ამაყად აცხადებენ, ჩვენ განსაკუთრებული ხალხი ვართო. ამაზე მეტი დაცემა რაღა გინდათ, ათ წელიწადში აქამდე რომ მოგვიყვანეს, წარმოგიდგენიათ, კიდევ ათ წელიწადში რა შეიძლება მოხდეს?!

**არც ერთ გარეშე მტერს, დამპყრობელსა და ამაოხრებელს ქართული მენტალიტეტისთვის იმხელა ზიანი არ მიუყენებია, რამდენიც სააკაშვილის ე. წ. მენტალურმა რევოლუციამ. ეს იყო ეროვნული ცნობიერების ნგრევისკენ მიმართული, დროში გაწერილი გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია თაობათა აზროვნებას.**

გაიხსენეთ, როგორ მოქმედებდა სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანა — იმ დამანგრეველი რეფორმების პარალელურად, რომლებიც ლომაიას ხელით გატარდა, „ნაციონალური მედია“ ადამიანებს ტვინს ურეცხავდა, ეს არის ჩვენი ევროპული მომავლის საწინდარი და განვითარების პერსპექტივაო. იგივე ხდება დღესაც — **24-საათიან რეჟიმში გვიჩიჩინებენ, რომ თურმე ეს ასოცირების შეთანხმება ჩვენი ისტორიული არჩევანია, რომ თურმე ევროპულ სივრცესთან დაახლოება ძირეულ რეფორმებს მოითხოვს და ა. შ. ვეკითხები ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს — რატომ არ ეუბნებით მოქალაქეებს, რომლებმაც აგირჩიათ და მოგიყვანათ ქვეყნის სათავეში, კონკრეტულად რა რეფორმებს ითხოვს ჩვენგან ეს ე. წ. ევროინტეგრაცია?** ტელევიზიები ხომ თქვენს ხელშია, დასხედით ეთერში (ერთი დღე მოუნდება ამას თუ ერთი თვე, მნიშვნელობა არ აქვს) და დეტალურად აუხსენით ხალხს, რა ცვლილებებზეა აქ საუბარი...

**— რა უშლით ხელს?**

— **საქმე ის არის, რომ ვერ ბედავენ სიმართლის თქმას, იციან, რომ ჩვენთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია ეს ე. წ. დასავლური ღირებულებები.**

რაც შეეხება იმას, რატომ არ არის საზოგადოება უფრო აქტიური, უნდა დაკონკრეტდეს, ვის ვგულისხმობთ საზოგადოებაში. ეკლესია ყოველთვის გამოდის იმ ოდიოზური ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ებრძვიან და აკნინებენ ყველაფერ ქართულს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა სეგმენტში გვაქვს პრობლემა. უწინარესად, ეს ეხება იმ ე. წ. ინტელიგენციას, რომელიც თავის დროზე მიეყიდა სააკაშვილის ხელისუფლებას და ცხრა წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა რეჟიმს... ამ ე. წ. დასავლური ღირებულებების ველში მოხვედრილი ჩვენი ქვეყანა საცოდავია და აღმოჩნდა, რომ ერთადერთი, ვისაც ეს აწუხებს, ეკლესიაა.

**— ე. წ. დასავლური ძალები ეკლესიის დისკრედიტებასაც არანაკლებ აქტიურად ცდილობენ. აგერ, უკრაინაში მართლმადიდებელ სასულიერო პირებს უკვე სერიოზულად ავიწროებენ.**

— ვისაც ე. წ. პროდასავლური ძალები უკრაინაში ეკლესიის წარმომადგენლებს უწოდებენ, არიან სქიზმატები, ესაა ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი ხალხი, ანუ ისინი ეკლესიის კანონიკურ სივრცეში არ არსებობენ და, ფაქტობრივად, მოძალადეები არიან, ამიტომაც ვხედავთ იქ ფაშიზმის აღორძინებას. თუმცა ეს მარტო უკრაინაში არ ხდება, როგორც ჩანს, ეს, საზოგადოდ, ევროპული მოვლენაა და დღეს ფაშიზმი სრულიად დასავლეთში იღვიძებს...

**— თავის დროზე დასავლეთის საზოგადოებამ თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მიიღო იუვენალური იუსტიციის შემოღებაც და ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების გაზრდაც. რატომ გგონიათ, რომ ქართველი საზოგადოება იქნება უფრო პრინციპული?**

— დავიწყოთ იმით, რა არის დღეს ევროპული ფასეულობები — ეს უკვე აღარ არის ქრიასტიანული მორალი. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ, **როდესაც გველაპარაკებიან დასავლურ ღირებულებებზე, გულისხმობენ ე. წ. ნეოლიბერალურ ფასეულობებს, რომლებიც მომცველია ყველანაირი ზნედაცემულობის.**

ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ამიტომ **იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში ბოლომდე ვერ შეძლებენ იმ სტანდარტების შემოღებას, რომლებმაც დასავლეთ ევროპა უკვე გახრწნა და დაასნეულა სულიერად. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც არ უღალატებს თავის სარწმუნოებას და არ მოექცევა დამღუპველი, დამანგრეველი პროპაგანდის გავლენის ქვეშ.**

**— იმ პროპაგანდის სამიზნე მომავალი თაობებია, მათ აზროვნებაში კი ეროვნულსა და ტრადიციულს სულ უფრო ცოტას ვხედავთ. როგორ ფიქრობთ, 10-15 წლის შემდეგ როგორი საზოგადოება გვეყოლება?**

— 15 წელი ძალიან დიდი დროა. შემიძლია, გითხრათ, რომ, **თუ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ზედმიწევნით განხორციელდება, 5 წელიწადში სრულიად დეგრადირებული საზოგადოება გვეყოლება.**

აქვე მინდა, ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც შევეხო. ამასწინათ ინტერნეტში აიტვირთა ვიდეოკლიპი სახელწოდებით „რელიგიური სტრიპტიზი“, რომელშიც შეურაცხყოფილია ჩვენი პატრიარქი და შესაბამისად — მთელი მართლმადიდებელი ეკლესია. აშკარაა, რომ მტრული ძალები, ანტირუსული ისტერიის ფონზე, ეკლესიას ესხმიან თავს და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ იღვწიან.

გარდა იმისა, ეს ვიდეორგოლი შეიცავს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ პასაჟებს, მიზნად ისახავს მორწმუნეთა დამცირებას და ეკლესიის ავტორიტეტის დისკრედიტებას. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იგი, ფაქტობრივად, ხელს უწყობს ძალადობისა და სისასტიკის კულტის დამკვიდრებას, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და **საქართველოს მთავარ**



**პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს კიდევ ერთხელ მივმართავ თხოვნით, რომ პროკურატურამ დაადგინოს პატრიარქისა და მართლმადიდებელი ეკლესიის შეურაცხმყოფელი კლიპის დამამზადებლის ვინაობა და კანონის შესაბამისად მისცეს პასუხისგებაში. ეს არის კლიპი, რომელიც ნებისმიერმა დესტრუქციულმა ძალამ შეიძლება გამოიყენოს საზოგადოებაში დაპირისპირების პროვოცირებისთვის და ყველა უბედურებაზე, რომლებიც მერე შეიძლება მოხდეს, პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება...**

**— ისე, საინტერესოა, ანტიდისკრიმინაციული კანონი რელიგიური გრძნობების შელახვისგან არ გვიცავს?**

— საქართველოში **მართლმადიდებელი მრევლისა და პატრიარქის უფლებები უსუფაშვილის პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის დასაცავი რომ გახდება, უკვე უბედურებაა, მაგრამ ჩვენ ამ კანონის იმედად არ ვართ, არც გრანტიჭამია არასამთავრობოებისგან ველოდებით გამოსარჩლებას** („საია“ იქნება ეს, „იდენტობა“ თუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, კარგად ვიცით, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს განყოფილებებია), ჩვენი დაცვა ჩვენივე ქვეყნის, ქართული სახელმწიფოს ვალდებულებაა და თითოეულმა მაღალჩინოსანმა, უწინარესად კი, მთავარმა პროკურორმა უნდა იცოდეს, რომ, როდესაც გველაპარაკებიან ადამიანის უფლებებზე, პირველ რიგში, ხალხის უფლებები, მოსახლეობის ინტერესები და ღირსება უნდა იყოს დაცული. სხვანაირად ისინი ყოველთვის მიიღებენ უკმაყოფილო საზოგადოებას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«მართლმადიდებელი მრევლისა და პატრიარქის უფლებები უსუფაშვილის პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის დასაცავი რომ გახდება, უკვე უბედურებაა, მაგრამ ჩვენ ამ კანონის იმედად არ ვართ, არც გრანტიჭამია არასამთავრობოებისგან ველოდებით გამოსარჩლებას («საია» იქნება ეს, «იდენტობა» თუ «საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო», კარგად ვიცით, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს განყოფილებებია), ჩვენი დაცვა ჩვენივე ქვეყნის — ქართული სახელმწიფოს ვალდებულებაა»**

---

◀ **ცუდი სიტუაციაა. მოსახლეობა აღშფოთებულია „ნატოს“ დანიშვნით. მათ იქაც დაიწყეს ბიზნესზე ზეწოლა, რამდენიმე ბიზნესმენი, ფულის გამოძალვის მიზნით, გაუტაციათ კიდეც. ციხეების აშენებაც დაუწყიათ, თანაც უფრო დიდი ციხეების, რადგან იქ მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და ბევრი ადგილი დასჭირდებათ.**

უკრაინაში ქართველები ანაზღაურების სანაცვლოდ მიდიან, მაგრამ, ვინც ფულისთვის იბრძვის, ის მეომარი და სამხედრო არ არის, ის მკვლელია. გარდა ამისა, ვინმე შეძლებს, ამიხსნას, როგორ იცავენ უკრაინაში საქართველოს ინტერესებს? რუსეთს მოერევიან და დაასუსტებენ? რუსეთს ამერიკა და ევროპა ერთად ვერ ერევა...

ქართველებმა ახლა უნდა ვივაჟკაცოთ, რადგან ქვეყანაში არიან პარტიები, რომლებიც, ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, ერის ინტერესებს არ ითვალისწინებენ. რესპუბლიკელები, ირაკლი ალასანიას პარტია, ხელისუფლების ძალიან ბევრი წარმომადგენელი, მათ შორის, პრეზიდენტიც — არც ერთი მათგანი ქვეყანაზე არ ზრუნავს და ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს. ნატოს რომ გაიძახიან, ნუთუ არ იციან, რომ ნატოს აქ იმიტომ უნდა შემოსვლა, რომ საქართველოდან უქნიოს თითი რუსეთს, რისიც რუსეთს არ ეშინია.

**„ძალიან ჭკვიან“ მინისტრებს ვეტყვი, რომ მათ უკან საქართველო დგას და ნუ გააკეთებენ ისე, რომ ნალმზე დაგვსვან. ძალიან კარგად იციან, საქართველოში ნატოს ბაზების განთავსებას „ისლამური სახელმწიფოდან“ რა საფრთხე მოჰყვება. თვითონ გაიქცევიან და ჩვენ აქ უნდა ვიყოთ. არაფერი გვიშველის, ხალხი დაიღუპება!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

◀ ონალური მოძრაობის“ კადრია და თურმე საბოტაჟს ეწეოდა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დაგვიანებული განცხადებაა.

**— სახელმწიფო სტრუქტურები სავსეა „ნაციონალებით“, არ უნდა დაიწყოს წმენდა, თუ საბოტაჟს ეწევიან?! გაუგებარია, რა დამსახურებისთვის ინარჩუნებენ ამ ადამიანებს...**

— ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, პასუხი არ მაქვს. ჩვენ მივიღეთ სურათი, როდესაც ძალიან ძნელია იმის თქმა, სად არის „ნაციონალური მოძრაობა“ და სად — „ქართული ოცნება“, რადგან მათი გამიჯვნა უკვე ძალიან ჭირს... წმენდა ახსენეთ, და ვფიქრობ, ამ გაზაფხულზე მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება გარდაუვალი გახდება, მოვლენებს აქეთ მივყავართ. თუ გაჯიუტდება ხელისუფლება, ეს ყველაფერი კიდევ უფრო დიდ პრობლემაში გადაიზრდება. დიახ, ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას და რაღაც ახალი იდეები, ახალი სისხლი წამოვიდეს, რათა ეფექტიანობის მხრივ წინ წავიწიოთ.

ესაუბრა
**ქეთი ხოშერიკი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ ყოველთვის იბრძოდა „დემოკრატიის ზეობისა“ და „ადამიანის უფლებების დასაცავად“; იბრძოდა ლაოსში, ვიეტნამში, კორეაში, იუგოსლავიაში, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში. ჩვენთანაც იბრძოდა („ვარდების რევოლუცია“, ცხინვალის ომი) და, როგორც ეტყობა, ბრძოლას კვლავაც განაგრძობს აბორიგენი მოღალატეების დახმარებითა და ხელშეწყობით.**

# ომი უკანასკნელ უკრაინელამდე, ანუ მსხვერპლშეწირვა დემოკრატიულად

**აშშ ყოველთვის იბრძოდა „დემოკრატიის ზეობისა“ და „ადამიანის უფლებების დასაცავად“. იბრძოდა ლაოსში, ვიეტნამში, კორეაში, იუგოსლავიაში, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში. ჩვენთანაც იბრძოდა („ვარდების რევოლუცია“, ცხინვალის ომი) და, როგორც ეტყობა, ბრძოლას კვლავაც განაგრძობს აბორიგენი მოღალატეების დახმარებითა და ხელშეწყობით.**



ამერიკელებმა ორი ატომური ბომბი „უფეშქაშეს“ იაპონიის მშვიდობიან მოსახლეობას, თუმცა ომის ბედი ამ ბომბებმა ვერ გადაწყვიტა, რადგან ვერაფერი დააკლო მანჩჟურიაში მყოფ იაპონელების მთავარ ძალას — მილიონიან კვანტუნის არმიას, რომელიც ოდნავ მოგვიანებით სასტიკად დაამარცხა საბჭოთა ჯარმა. ამ ბარბაროსობით კი აშშ-მა იაპონიაზე, უბრალოდ, შური იძია პერლ-ჰარბორის კატასტროფისთვის და თანაც შეეცადა, საბჭოთა კავშირი დაეშინებინა. საბჭოეთი ამერიკამ ვერ დააშინა, სამაგიეროდ, 300 ათასამდე უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანი დახოცა. არადა, ეს დანაშაული ვაშინგტონმა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სახელით ჩაიდინა!

**ან, ნახეთ, რა „სიკეთე და აყვავება“ მოუტანა ამერიკამ მუსლიმანებს „არაბული გაზაფხულით“. რამდენი სისხლიანი მოვლენა მოჰყვა ამერიკულ პროვოკაციებს საერთო სახელწოდებით „ბრძოლა დემოკრატიისთვის!“. დაამყარა აშშ-მა დემოკრატია? არა, არ დაუმყარებია, მაგრამ ის განაგრძობს ბრძოლას “ადამიანის უფლებებისთვის” ადამიანების მკვლელობით.**

— ეს როგორ, — აღშფოთდება ყველაფერი ამერიკულით მოხიბლული მკითხველი, — სადაა ლოგიკაო! აი, ზუსტად, აქ ვაწყდებით ამოუხსნელ ფენომენს — ლოგიკას ამერიკულად. მაგალითად, ამერიკელ სენატორთა ერთი ჯგუფი აცხადებს: ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ უკრაინაზე, რათა მან დონბასის დამოუკიდებლობა აღიაროსო. ამით გადავარჩენთ ათასობით სიცოცხლეს, მაგრამ ეს დასავლეთისთვის იქნება სასტიკი მარცხიო; ამიტომ აუცილებელია უკრაინელების შეიარაღებაო! აი, ამერიკული ლოგიკის თავისებურებანი — ერთი და იგივე ადამიანები (სენატორები) უკრაინული კონფლიქტის მოგვარების მიზნით და ათასობით უკრაინელის გადასარჩენად, სთავაზობენ უკრაინელების შეიარაღებას იმისთვის, რომ დასავლეთი არ დამარცხდეს!... ანუ დასავლეთის მოჩვენებითი გამარჯვებისთვის რუსეთზე აშშ მზადაა, გაწიროს ათიათასობით უკრაინელი, რაც ადასტურებს ამ სამოქალაქო ომის დროს გავრცელებულ სევდიან ხუმრობას: **ამერიკა იომებს რუსეთთან უკანასკნელ უკრაინელამდეო.** ამიტომ, ძალზე უცნაურია, რომ უკრაინელებს არ ესმით, რა მსხვერპლის გაღებას აპირებს აშშ, ოღონდაც არ გამოჩნდეს დამარცხებული ამ თავისივე გაჩაღებულ ომში. სანამ უკრაინელები ისულდგმულებენ ილუზიით, რომ მათ უფლებებს ამერიკა და მისი დემოკრატია დაიცავს, მანამ არ მორჩება სამოქალაქო ომი „ნეზალეჟნაიაში“. თვითონ აშშ კი ომს არ აპირებს, მეტიც — მან შეამცირა თავისი სახმელეთო ძალები და საზღვაო ქვეითთა რაოდენობა. პრეზიდენტმა ობამამ შარშან, ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას არაორაზროვნად მიუთითა პირობაზე, თუ რა შემთხვევაში ამერიკა გამოიყენებს სამხედრო ძალას: ეს არის უშუალო თავდასხმა აშშ-სა და მის მოკავშირეებზე, რომელთა წინაშეც აღებული აქვს წერილობითი ვალდებულება; დანარჩენ შემთხვევაში იომებს პარტნიორების ხელით; აი, თუნდაც ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს ხელით რომ ეომა რუსეთს.

ამერიკას არავითარი ვალდებულება არ აქვს აღებული უკრაინის დასაცავად. ეს მისთვის მხოლოდ და მხოლოდ შორეული რეგიონული კონფლიქტია და მეტი არაფერი. მართალია, გაისმის ხმები, რომ აშშ უკრაინული არმიის მოდერნიზებისთვის ერთ მილიარდ დოლარს გამოყოფსო, მაგრამ, ხომ გვახსოვს,მილიარდი ჩვენი ჯარის მოდერნიზებისთვისაც გამოჰყვეს ამერიკელმა მშრომელებმა. ამ მოდერნიზაციის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ 2008 წელს, ე.წ. ცხინვალის ომის დროს, ქართულ ჯარს არ ჰქონდა რაციები და, საერთოდ, არ აღმოჩნდა ბრძოლისუნარიანი... **თემურ იაკობაშვილს მოგვიანებით საჯაროდ წამოსცდა: ამერიკელი ინსტრუქტორები ჩვენს ჯარისკაცებს მხოლოდ შლაგბაუმის აწევ-დაწევას ასწავლიდნენო.** სად წავიდა ის ერთი მილიარდი დოლარი, ვის ჯიბეში „დაილექა“, ზუსტად არავინ იცის, მხოლოდ ვარაუდებია, რომ ეს თანხა გაინაწილეს ბუშმა, ჩეინიმ, მაკკეინმა... რაღაც „გროშები“, შესაძლოა, „ქართულ“ მხარესაც ერგო.

ასე რომ, აშშ-ის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი ფულადი დახმარების ლომის წილი ამერიკელებსვე დარჩებათ. უბედურება ისიც არის, რომ უკრაინა არაა საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტი, ის მხოლოდ აშშ-ის მორჩილი “ინსტრუმენტია”, რომელსაც დავალებული აქვს, რაც შეიძლება მეტი სისხლი დაღვაროს. უკრაინის მომავალი კი ამერიკას არ ადარდებს, ისევე, როგორც ერთ ცნობილ ამერიკელ შერიფს არ აღელვებდა ინდიელთა პრობლემები.

**გიორგი კორძაძე**

# თუ ვერ გამოვძებნით საერთო ენას, მუდმივად დაძაბულობისა და ჩხუბის რეჟიმში ვიცხოვრებთ

**საქართველოში რუსეთის თანამემამულეთა კავშირი — „ოტჩიზნა“, უკვე ათი წელია, ფუნქციონირებს და, თანამემამულეების დახმარების გარდა, საგანმანათლებლო პროექტსაც ახორციელებს, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს რუსეთში უმაღლესი განათლების მიღებაში ეხმარება. აღნიშნული პროექტების თაობაზე ფართო საზოგადოებისთვის ახლახან გახდა ცნობილი. ორგანიზაციის საქმიანობისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოში რუსეთის თანამემამულეთა კავშირის პრეზიდენტი, რუსეთის თანამემამულეთა საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი ვალერი სვარჩუკი ესაუბრა.**



**«ახალგაზრდა უთითებს სამ ქალაქს, რომლებშიც ისურვებდა სწავლას, ამის შემდეგ სპეციალურად ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაცემები და უმაღლესი სასწავლებლები თავად ირჩევენ სტუდენტებს, თუ სტუდენტიც თანახმა იქნება, ის გაემგზავრება სასწავლებლად»**

**— თქვენ ხელმძღვანელობთ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროგრამას. რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს ახალგაზრდა, რომელსაც რუსეთში სწავლის სურვილი აქვს?**

— „რუსეთის თანამემამულეთა კავშირი“, უკვე ათი წელია, არსებობს და საქართველოში მოქმედ ოცდაათამდე რუსულენოვან ორგანიზაციას აერთიანებს. დაახლოებით ოცი წელია, რაც აღნიშნული სასწავლო პროგრამა ფუნქციონირებს და ახალგაზრდებს რუსეთში განათლების მიღებაში ყოველწლიურად ეხმარება. პრიორიტეტი ენიჭებათ სხვადასხვა კონკურსსა და ოლიმპიადაში გამარჯვებულებს, მაღალი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდებს, მათ, ვინც აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენს ორგანიზაციასთან.

ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა, სწავლის მსურველთა უმრავლესობა ქართველია.

**— ყოველწლიურად რამდენ ახალგაზრდას შეუძლია დაფინანსების მიღება?**

— რაოდენობა შეზღუდული არ არის. შარშან, მაგალითად, საქართველოდან 120 ახალგაზრდა გაემგზავრა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში განათლების მისაღებად. 27 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებს აკმაყოფილებენ, შეუძლიათ ბაკალავრიატში სასწავლებლად გაემგზავრონ. გვაქვს სამაგისტრო პროგრამებიც. ასევე, ფუნქციონირებს პროგრამები ორდინატურასა და ასპირანტურაში სწავლის მსურველებისთვის.

**— საკმაოდ ძვირია რუსეთში უმაღლესი განათლების მიღება, ამ ახალგაზრდების სწავლას ვინ დააფინანსებს?**

— მათთვის სწავლა უფასოა, რადგან, თანამემამულეთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, ჩვენ ვიღებთ კვოტას რუსეთის მთავრობისგან.

**— რუსეთის რომელ ქალაქებში მოქმედებს აღნიშნული პროგარამა?**

— სასწავლო პროგრამა რუსეთის ნებისმიერ ქალაქში მოქმედებს. სტუდენტები საცხოვრებელი პირობებითაც უზრუნველყოფილნი არიან. როგორც რუსი სტუდენტები ისინიც ჩვეულებისამებრ, სტუდენტურ საერთო-საცხოვრებელში იცხოვრებენ. საბუთების შევსებისას, **ახალგაზრდა უთითებს სამ ქალაქს, რომლებშიც ისურვებდა სწავლას, ამის შემდეგ სპეციალურად ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაცემები და უმაღლესი სასწავლებლები თავად ირჩევენ სტუდენტებს, თუ სტუდენტიც თანახმა იქნება, ის გაემგზავრება სასწავლებლად.**

**— თქვენ რუსეთის თანამემამულეთა კავშირს ხელმძღვანელობთ, კონკრეტულად რას მოიცავს თქვენი საქმიანობა?**

— ჩვენ გვაქვს დიდი დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს ომის ვეტერანების დასვენებასა და რეაბილიტაციას, მაგალითად, ყოველწლიურად 50 ადამიანს ბორჯომში ვგზავნით დასასვენებლად. ასევე ვაგზავნით რუსეთში ბავშვებს ექსკურსიაზე, ვატარებთ ზეიმებს, რუსულ დღეებს რუსული დიასპორისთვის. ამას წინათ თბილისის მოხუცებულთა თავშესაფარში კონცერტი ჩავატარეთ, საკვებით დავეხმარეთ მოხუცებს. ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, ჩვენც გვიხაროდა, რომ მათი დახმარების საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანეთ.

**— წინა ხელისუფლების პერიოდში საკმაოდ რთული ურთიერთობა იყო რუსეთთან, თუ გეშლებოდათ ხელი თქვენს საქმიანობაში?**

— როდესაც კულტურაში შეტანილი წვლილისთვის რუსეთის ხელისუფლებამ პუშკინის მედლით დამაჯილდოვა, ჩვენმა ტელევიზიებმა ისე გადასცეს, თითქოს ჯაშუში ვიყავი. სასამართლოშიც ვაპირებდი ჩივილს, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, ვინაიდან იმ დროში და იმ სასამართლოს პირობებში სამართალს მაინც ვერ ვიპოვიდი.

**— გაიმართა კარასინი-აბაშიძის მორიგი შეხვედრა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოს ადრე თუ გვიან მოუწევს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება. ეს კი საქართველოსთვის მიუღებელია. ამ ფონზე როგორ გესახებათ ურთიერთობის დარეგულირება?**

— აუცილებელია მუდმივი დიალოგის წარმოება. უნდა ვეძებოთ გზები, არამხოლოდ რუსებთან, არამედ ოსებთან და აფხაზებთან; თუ ვერ გამოვძებნით საერთო ენას, მუდმივად დაძაბულობისა და ჩხუბის რეჟიმში ვიცხოვრებთ. ისევ ასე ნელ-ნელა, დიალოგით თუ დარეგულირდება ურთიერთობა, თორემ ძალით არაფერი კეთდება...

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

**შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ჩვენ ნატოსკენ კი არ მივდიოდით, უბრალოდ, ვყვიროდით, მივდივართო, რაც იწვევდა რუსეთის მიზანმიმართულ გაღიზიანებას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ალექსანდრე რუსეცკი:

# ნატოს ბაზებს რუსეთი არც უკრაინაში დაუშვებს და არც საქართველოში



**საქართველოს ხელისუფლება არჩეული კურსიდან გადახვევას არ აპირებს, არც უხვევს და ნატოსკენ სწრაფვასაც განაგრძობს. მიზანი და გეგმა ნათელია — 2015 წლის ბოლომდე საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრი უნდა ამოქმედდეს. რა საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის ამ იდეის განხორციელება და რა შეცდომას უშვებენ ქართველი პოლიტიკოსები — ამ და სხვა საინტერესო თემებზე კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე რუსეცკი გვესაუბრება.**

**— გასაკვირი არ არის, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს თავის საზღვრებთან არც ნატოს ბაზების და არც ცენტრების არსებობა, ამიტომ ის აუცილებლად დაიცავს თავის საზღვრებს ამ საფრთხისგან.**

თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, მას ამბიცია აქვს, რომ შავი ზღვის აუზში დომინანტი იყოს, ამიტომ რეალურად უყურებს ყველაფერს და თვლის, რომ მისთვის რუსეთთან კარგი ურთიერთობა უფრო სასარგებლოა. რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიაც კარგად მუშაობს, რასაც ჩვენზე ვერ ვიტყვით.

ქვეყნები კურსსაც იცვლიან და თვალსაზრისსაც... ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უკრაინის გზას არ დავადგეთ. ლუგანსკი, დონეცკი, ყირიმი, კლასიკური მაგალითია ჩვენთვის — **ნატოს ბაზებს რუსეთი არც უკრაინაში დაუშვებს და არც საქართველოში.** ნატოში ინტეგრაცია ბევრ ქართველს წარმოუდგენია, როგორც უსაფრთხოების სისტემაში შესვლა, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ნატოში შესვლა უამრავ საფრთხეს შეიცავს, მათ შორის, რუსეთიდან მომდინარეს. სერგეი ლავროვის ბოლოდროინდელი განცხადებაც ამის დასტურია.

ჩვენ რომ შეგვძლებოდა, მივახლოვებოდით ნატოს, დაცული ვიქნებოდით, ყოველ შემთხვევაში, ნატოს წევრი ქვეყნები თავს დაცულად თვლიან. რაც შეეხება იმას, რა ფორმით ვუახლოვდებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტებში ასეა წარმოდგენილი.

ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნა რეალურად ნატოსკენ გადადგმული ნაბიჯია. მარნეულის აეროდრომი, ბათუმის აეროდრომიც, ჩათვალეთ, რომ თურქეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, ამიტომ რუსეთში ამას აანალიზებენ. პოლიტიკურ ველზე არის ერთი მოთამაშეც, რომელსაც ქართული მხარე ყურადღებას არ აქცევს — სომხეთი, რომელსაც თურქეთის გაძლიერება ხელს არ აძლევს, ასევე ირანსაც... ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, **შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ჩვენ ნატოსკენ კი არ მივდიოდით, უბრალოდ, ვყვიროდით, მივდივართო, რაც იწვევდა რუსეთის მიზანმიმართულ გაღიზიანებას.**

**— ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოში ნატოს შემოსვლა, მხოლოდ რუსეთის კი არა, „ისლამურ სახელმწიფოსაც" გააღიზიანებს.**

— „ისლამური სახელმწიფოს" სამიზნე ნატოს გარეშეც ვართ.

საქართველოს არ აქვს კონფლიქტების მოგვარების ერთიანი სტრატეგია. ხელისუფლება რომ შეიცვალა, რამდენიმეკაციანი ჯგუფი შევხვდით პაატა ზაქარეიშვილს და კონფლიქტების ახალ ხედვაზე ვესაუბრეთ, მაგრამ იმხანად მან ოლიმპიადა მოიმიზეზა, შემდეგ კიდევ რაღაც გამოჩნდა და ეს საკითხი ღიად დარჩა. საქართველოს კონფლიქტების მოგვარების არანაირი გეგმა არ აქვს.

**— ვიდრე ტერიტორიების პრობლემა არსებობს, ნატოში არავინ მიგვიღებს, ე.ი. ფიქრობენ და გეგმავენ, რომ ტერიტორიებზე უარი თქვან?**

— დიახ, **იძულებულნი იქნებიან, ტერიტორიების დაბრუნებაზე უარი თქვან. ქვეყნის სათავეში მყოფ ადამიანებს ალტერნატიული გეგმა არ აქვთ. ამოიჩემეს ერთი ხაზი და სხვა არაფრის გაგონება არ სურთ.**

**ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა სერიოზულად ავადაა, დაავადება ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მათ დასაავადებლად კარგად იმუშავეს პროფესიონალებმა.**

ქართველ პოლიტიკოსებს იმასაც კი უგეგმავენ, რომელი ტერმინებით ილაპარაკონ. ამჟამინდელ არც ერთ პოლიტიკოსსა და ანალიტიკოსს ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რადგან მათ ეს არ იციან. მათ ტერმინოლოგიაც კი არ იციან და ქვეყანა როგორ უნდა მართონ?!

**— ისევ ხომ არ ჩავებმებით კონფლიქტში?**

— ორი ვარიანტია. თუ ისე გაგრძელდა ყველაფერი, როგორც დაიწყეს, საქართველოს ტერიტორიას სხვა ქვეყნები გადაინაწილებენ. ხელისუფლებამ ახალი სტრატეგია უნდა ჩამოაყალიბოს, რომელიც რეალურად იმუშავებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რაც უნდა გამოიხატოს კომპრომისით. არ შეიძლება, იცხოვრო იმის მოლოდინით, მიგიღებს თუ არა რომელიღაც ორგანიზაცია თავის რიგებში. ასე ქვეყანა არ აშენდება. საქმე ძალიან ცუდად არის — ეროვნული ღირსება დავკარგეთ!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# კოაბიტაციის სინდრომი, ანუ რაზე აფრთხილებდა «საქართველო და მსოფლიო» მთავარ პროკურორს

**ოდითგანვე ცნობილია: ქვეყანა, რომელსაც სახელმწიფოებრიობაზე პრეტენზია აქვს, თავისი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე უნდა ფიქრობდეს, ზრუნავდეს მის დაცვაზე ბოროტმოქმედებისგან. იური ვაზაგაშვილის გაუგონარმა მკვლელობამ ამჟამინდელ ხელისუფლებას სილა გააწნა და, სამწუხაროდ, მისი ნათითურები კიდევ დიდხანს „დაამშვენებს" „მეოცნებეების" პოლიტიკურ ფიზიონომიას... არადა, ხომ ვაფრთხილებდით „ქართულ ოცნებას", ხომ ვაფრთხილებდით?!**



ჯერ კიდევ 2012 წლის 7-13 ნოემბრის 42-ე ნომერში „საქართველო და მსოფლიომ" გამოაქვეყნა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს **ლადო ჩერქეზიშვილთან** ინტერვიუ, რომელშიც მან მიმართა მთავარ პროკურორს, გაეძევებინა პროკურატურიდან **ბესო თხელიძე, შაქრო ზაალიშვილი, დავით მესტვირიშვილი და თენგიზ ხარებავა,** რადგან, მისი მტკიცებით, „ნაცების" მმართველობის პერიოდში ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე ამ ადამიანების სინდისზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩერქეზიშვილმა ზემოხსენებულ პროკურორებს სერიოზული ბრალდებები წაუყენა, მის განცხადებას გამოხმაურება არ მოჰყოლია(!). **პროკურატურამ არაფრად ჩააგდო 2007 წლის 21 თებერვალს მომხდარი ეს ეპიზოდიც: „ქიქავას კაბინეტში დამხვდა სამძებრო სამსახურის უფროსი ირაკლი ფირცხალავა, რომელიც ბევრ გახმაურებულ ამბებში ფიგურირებდა, მაგალითად, ვაზაგაშვილის საქმეში..."**

შსს საგამოძიებო სამსახურის უფროსი **ზაზა ქიქავა** და **ირაკლი ფირცხალავა** მაიორ ჩერქეზიშვილისგან ერთ-ერთი საქმისთვის ცრუ მოწმის მოძებნას მოითხოვდნენ. ამ „ბრძანების" შეუსრულებლობამ შეიწირა ჩერქეზიშვილის კარიერა. აი, რას ყვება ბატონი ლადო („საქართველო და მსოფლიო" 27 თებერვალი-5 მარტი, 2013 წ. №7): **„2007 წელს დამაკავა მაშინდელი შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ. ირაკლი ფირცხალავა არის არაპროფესიონალი და არაკაცი. ამ არშემდგარმა „კომისარმა მეგრემ" — ფირცხალავამ, რატომღაც ჩათვალა, რომ 5 დეკემბრის ქუჩაზე პატრულის თანამშრომლის მკვლელობა ჩაიდინა არჩილ სახვაძემ; და, მისი მოკლე ჭკუით, მე რომ 2005 წელს გამეხსნა სპორტის სასახლესთან მომხდარი დანაშაული, უფრო ზუსტად, ხელი არ შემეშალა მის გახსნაში, გამომეაშკარავებინა სახვაძე, ეს უკანასკნელი პოლიციელს არ მოკლავდაო. ეს მოსაზრება ფირცხალავამ მოახსენა თავის უშუალო ხელმძღვანელს — ვანო მერაბიშვილს და მინისტრმაც დაიჯერა... მე წინა ინტერვიუში გითხარით, მერაბიშვილი არაკომპეტენტური მინისტრი ბრძანდებოდა. რა თქმა უნდა, ვალდებული იყო, დავეკითხე. ასე მოიქცეოდა პროფესიონალი, მაგრამ არა უვიცი მერაბიშვილი!.. მერაბიშვილის „გადამოწმება" მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ მან პირადად გასცა ჩემი დაკავების ბრძანება".**

მაინც, რისთვის სჭირდებოდა ფირცხალავას ცრუმოწმე? პასუხად გთავაზობთ ლადო ჩერქეზიშვილის მონათხრობს იმავე ინტერვიუდან: **„...როცა მოხდა 5 დეკემბრის ქუჩაზე პატრულის თანამშრომლის მკვლელობა, გაცოფებულმა მერაბიშვილმა უხმო ფირცხალავას და არანორმატიული ლექსიკის დახმარებით აუხსნა, თუ რა მოუვიდოდა კრიმინალური პოლიციის უფროსის დედას ამ დანაშაულის არგახსნისთვის!.. რა ექნა საბრალო ფირცხალავას? მშობელი დედის ღირსების დაცვას თავის კარიერას ხომ არ გადააყოლებდა?! ჯერ პოლიციელის მკვლელობა დააბრალა არჩილ სახვაძეს, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენას უარყოფდა; მერე, აი, ასე — არაკაცურად მომექცა..."**

საყურადღებოა ამ ორი წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუდან ეს ადგილიც: **„— სულ ახლახან თქვენმა „ძველმა ნაცნობმა" ირაკლი ფირცხალავამ პრესკონფერენციაზე უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს წინ გახსნილ მემორიალზე „კანონიერი ქურდების" გვარები არ უნდა იყოსო და კიდევ — გირგვლიანისა და რობაქიძის გვერდით არ უნდა გაჟღერდეს ვაზაგაშვილის გვარიო. ზურა ვაზაგაშვილი „კანონიერი ქურდი" იყო?**

ჩერქეზიშვილი: — **აქაც გამოჩნდა ფირცხალავას არაპროფესიონალიზმი და არაკაცობა. ზურა ვაზაგაშვილი არ იყო არც ნასამართლევი და არც ძებნილი. ასე რომ, „კანონიერი ქურდი" ვერ იქნებოდა. ფირცხალავას „აეწვა", რადგან იგი ყველა ბინძურ საქმეში ფიგურირებს და გრძნობს, რომ სამართალს ვერ გადაურჩება. ამიტომაც ფორთხიალობს საიგავო ბაყაყივით „რძეში", — ეგებ „კარაქად" ვაქციო და სამშვიდობოს გამოვძვრეო..."**

მართლაც, ფირცხალავა სამართალს ვერ გადაურჩა. „კოაბიტაციის" ფრთის ქვეშ მოკალათებული „შეეწირა" იური ვაზაგაშვილის მკვლელობას, თორემ გაურკვეველი დროის განმავლობაში, შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც, კრიმინალების ეს „რისხვა" კვლავ გამართავდა პრესკონფერენციებს...

**ჩნდება კითხვები ორი წლისწინანდელი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის, მიმართ: რატომ არ დაინტერესდა მაიორ ლადო ჩერქეზიშვილის ბრალდებებით ზემოთ ჩამოთვლილი პირებისადმი? რატომ არ დაინახა მათ ქმედებებში კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები? რატომ არ დაკითხა მოწმეების სახით ჩერქეზიშვილი ან სოსო ჩუტკერაშვილი? იქნებ, ისინი ცილს სწამებდნენ თხელიძეს, ზაალიშვილს, მესტვირიშვილს, ქიქავას, ფირცხალავას, პროკურორ ბერეკაშვილს ან მოსამართლე დალი მეტრეველს?** დღევანდელ ხელისუფლებას კი ვურჩევ, ვიდრე გვიან არ არის, გაიხსენოს ციცერონის ეს გამონათქვამი: „დაუსჯელობა — დანაშაულის უდიდესი წახალისებაა!" დაუსჯელობით წახალისებულმა ბოროტმოქმედებმა შვილის საფლავზე მამა მოკლეს! და არ გეგონოთ „მეოცნებეებო", რომ თქვენ არაფერ შუაში ხართ. შუაში კი არა, თავში ხართ!

რუსმა მწერალმა დოსტოევსკიმ მშვენივრად ჩამოაყალიბა ნორმალური ადამიანური საზოგადოების არსებობის ფორმა — „დანაშაული და სასჯელი", ანუ სასჯელი გარდაუვალად მოჰყვება დანაშაულს! დოსტოევსკის არ დაუწერია რომანი „დანაშაული და მიტევება", რადგან იცოდა, ბოროტმოქმედისადმი მიმტევებლობას აუცილებლად მოჰყვება უფრო მძიმე დანაშაული!

**გიორგი კორძაძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბოლო ოცი წელია, ევროპაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სამი მიმართულებიდან — ქრისტიან-დემოკრატიული, სოციალისტური და ლიბერალური — ერთმა მკვეთრი დომინირება დაიწყო დანარჩენებზე, ამიტომ ევროპაში დღეს შეიძლება მტკიცება: თუ დემოკრატიაა, აუცილებლად — ლიბერალური. და, აბა, სცადეთ, რამე თქვათ ქრისტიანულ-დემოკრატიულ ან სოციალისტურ დემოკრატიაზე. მიმაჩნია, რომ, თუ კონკურენტული იდეებიდან ერთ-ერთის მიმდევრები ამბობენ, დემოკრატია ჩვენი კუთვნილებააო, მაშინ ისინი ჩანასახშივე კლავენ ნებისმიერ დისკუსიას“.



## დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტობას უმიზნებს

**ამერიკელი ბიზნესმენი დონალდ ტრამპი 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება.**

გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ტრამპმა, რომელიც მსხვილ სამშენებლო კომპანიას, აგრეთვე, სასტუმროებისა და კაზინოების მმართველ კომპანიას ფლობს, საარჩევნო კამპანიის დაწყების მიზნით უკვე დაიქირავა თანამშრომლები და პოლიტიკის სპეციალისტები. მან ასევე დაიწყო სხვადასხვა შტატში ვიზიტები და ადგილობრივ პოლიტიკოსებთან შეხვედრები.

„ყველა ფიქრობს, რომ მე ამას გასართობად ვაკეთებ ან იმისათვის, რომ ეს კარგია ჩემი ბიზნესისთვის, მაგრამ ასე არ არის. მე ამას ვაკეთებ იმისთვის, რომ ქვეყანა გასაჭირშია“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

დონალდ ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ 2010 წელსაც განაცხადა, მაგრამ მოგვიანებით გადაიფიქრა.

## «ნაციონალური მოძრაობის» ოფისთან «თავისუფალი თაობის» წევრები დააკავეს

**„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი და ხუთი წევრი დააკავეს.** ორგანიზაციის ხელმძღვანელები „ნაციონალების“ ოფისთან მივიდნენ, ბანერი „არ გამოგივათ 21 მარტის რევანში“ დაწვეს და სანაგვე ურნაში ჩააგდეს. ამის შემდეგ „თავისუფალი თაობის“ წევრებმა პარტიის ოფისს კვერცხები დაუშინეს. „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან „თავისუფალი თაობის“ წევრები 21 მარტს დაგეგმილ აქციას აპროტესტებენ.

ვიქტორ ორბანი:

# ჩვენ შევადგინეთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ევროპულ მოდას ეწინააღმდეგება და ეროვნულ, ქრისტიანულ საფუძვლებს ეყრდნობა

## «მდინარებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!»

**გაზეთმა „კომერსანტმა“ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანთან. ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნის მთავრობის მეთაურს ბევრი დასავლელი პოლიტიკოსისგან განსხვავებული პოზიცია აქვს იმის მიმართ, რაც დღეს მსოფლიოში ხდება.**

**ვიქტორ ორბანმა მწვავედ გააკრიტიკა დასავლეთის მისწრაფება, რუსეთისგან შექმნას მტრის ხატი. მან, აგრეთვე, ილაპარაკა, როგორ ცდილობს დასავლეთი ქრისტიანულ და ნაციონალურ უნგრეთზე ზემოქმედებას თავისი ინტერესების დასაცავად, თუმცა უნგრეთმა დასავლეთის ბევრ ე. წ. რეკომენდაციაზე თქვა უარი და სწორედ ამით მიაღწია ეკონომიკურ წარმატებას.**

**გარდა ამისა, ვიქტორ ორბანმა, იმ ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებმაც მილიარდობით ვალი აჰკიდეს საქართველოს და რომლებიც, დასავლელი „კეთილისმყოფელების“ რჩევით, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან მრავალმილიონიანი სესხის აღებისკენ მოუწოდებენ (ამით რამდენიმემილიარდიანი ვალის მქონე საქართველოს კიდევ უფრო დააკაბალებენ), უარი თქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მავნე „რეცეპტებზე“ და ეს ორგანიზაცია ქვეყნიდან გააძევა. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის პრემიერმა, რომელიც დასავლეთის დაკრულზე არ ცეკვავს და მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად მოქმედებს, ინტერვიუში გამოიყენა ფრაზა, რომლითაც 1991 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უფროსი): „მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“.**

**მცირე შემოკლებით გთავაზობთ უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის ინტერვიუს, რომელიც ჟურნალისტმა მარია კისელიოვამ ჩაიწერა.**



**— თქვენ არაერთხელ გაილაშქრეთ რუსეთისთვის სანქციების დაწესების წინააღმდეგ. იცავთ თუ არა ამ პოზიციას ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებისას? სად გადის წითელი ხაზი, რომლის მიღწევისას უნგრეთმა შეიძლება გამოიყენოს ვეტოს დადების უფლება?**

— ეს ხაზი სადღაც ბერლინის რაიონშია. ევროკავშირის ყველაზე დიდი ფასეულობა ერთიანობაა. ეს ეხება საგარეო პოლიტიკას, სამხედრო პოლიტიკას, უსაფრთხოების პოლიტიკას. ევროპაში ახსოვთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კონტინენტის ბედი განსაზღვრა ორმა დიდმა სახელმწიფომ (აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა. — რედ.) ევროპის სულიერი ერთიანობის ძალა არის ის, რომ გვსურს, დავიბრუნოთ უფლება, თვითონ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი. და, ვიდრე გერმანელებს სურთ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შენარჩუნება, ვითარება, ალბათ, არ შეიცვლება, იმის მიუხედავად, თანახმაა თუ არა უნგრეთი.

**— ლაპარაკობენ განხეთქილების შესახებ ევროკავშირის რიგებში: მათ შორის, ვისაც მკაცრი პოზიცია აქვს რუსეთის მიმართ და ვინც ამ მკაცრ პოზიციაზე მდგომთ უპირისპირდება. ასეა?**

— ვითარება გაცილებით უარესია. ზოგიერთი თვლის, რომ უნდა მოხდეს რუსეთის იზოლირება ევროპული ეკონომიკური ურთიერთობებისგან. ისინი საკითხს ისე სვამენ, რომ უნდა აირჩიო: ან ევროპის ერთიანობა, ან რუსეთი. ჩვენ კი ვფიქრობთ იმაზე, როგორ მოვაგვაროთ ურთიერთობა ევროკავშირსა და რუსეთს შორის. **რას აირჩევს ევროპა, ამას ევროპისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რუსეთისთვის.** როდესაც ჩვენ, ევროპელები, გავერკვევით რუსეთთან თანამშრომლობის საკითხში, გადაწყვეტილებას მივიღებთ არა რუსეთის, არამედ თვითონ ევროპის მომავლის შესახებ. **მე არ მინდა ისეთ ევროპაში ცხოვრება, რომელსაც მივყავართ რუსეთთან ახალი ცივი ომისკენ, რომელიც ევროპელებისგან რუსეთის მტერს ქმნის, რომელიც უარს ამბობს ფანტასტიკურ შესაძლებლობაზე, გააერთიანოს რუსული ენერგორესურსები, რუსეთის უზარმაზარი ეკონომიკური შესაძლებლობები ევროპულ ტექნოლოგიურ ცოდნასა და საწარმოო კულტურასთან.** არადა, თუ ამ ორ საგანს გავაერთიანებთ, ჩვენ წინაშე შესანიშნავი, ფანტასტიკური მომავალი გადაიშლება.

**— როგორია სანქციების ომით გამოწვეული ეკონომიკური შედეგები უნგრეთისთვის?**

— უნგრეთი ზარალს განიცდის ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციებისგანაც და რუსეთის საპასუხო ნაბიჯებისგანაც. ეს მტკივნეული საკითხია, რადგან არც

> «ჩვენ სხვანაირად ვაკეთებთ და წარმატებას მაინც ვაღწევთ. ბევრმა ქვეყანამ ისე გააკეთა, როგორც მიუთითეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს... შინ გავუშვით საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ვუთხარით: «თქვენი რეცეპტი არ გვარგებს. ჩვენს პრობლემებს თვითონ გადავწყვეტთ!» და გადავწყვიტეთ კიდეც. ამჟამად უნგრეთის ეკონომიკა ევროპის წარმატებულ ეკონომიკებს შორისაა»

მსოფლიო

## აშშ-ის მთავრობასა და ისრაელის პრემიერს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა

**აშშ-ის მთავრობასა და ისრაელის პრემიერმინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვის მიზეზი, „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, ირანის ბირთვული პროგრამაა — ისრაელი ამერიკას თეირანის შესაჩერებლად არასაკმარისი ზომების მიღებაში ადანაშაულებს.**

ნეთანიაჰუს თქმით, ამ ვითარებას ისრაელი არ შეეგუება. ისრაელის პრემიერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ნეთანიაჰუ არასწორად აფასებს ვაშინგტონის ქმედებებს ირანის მიმართ. აშშ-სა და ისრაელს შორის ურთიერთობის დაძაბვა რესპუბლიკელების მიერ აშშ-ის კონგრესში ნეთანიაჰუს მიწვევასაც უკავშირდება.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, სიუზან რაისის, განცხადებით, ისრაელის პრემიერის კონგრესში გამოსვლა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ვიღაც ფლობს დემოკრატიის ერთადერთ სწორ „რეცეპტს“, არასწორია. რატომ უნდა ააშენონ რუსებმა ისეთივე პოლიტიკური სისტემა, როგორიც ჩვენთან არის? რუსეთის კულტურა სხვაგვარია, მას თავისი თავისებურებები აქვს. რუსები თვითონ გადაწყვეტენ, რა, როგორ გააკეთონ. ჩვენ კი ისე არ უნდა ვიქცეოდეთ, როგორც დამრიგებლები. ვინ მოგვცა ამის უფლება?!“



**«არ ვეთანხმები დასავლურ რეფლექსებს — ან გარდავქმნათ, ან არ მივიღოთ ისინი, ვინც ჩვენზე წარმატებულია მხოლოდ იმიტომ, რომ, დასავლეთის ხედვით, მათ პოლიტიკურ სისტემაში ცოტაა ფასეულობა. მსოფლიოს ამჟამინდელი ვითარება არ იძლევა ასეთი თავდაჯერებულობის საფუძველს. ჩვენ ბევრი საფუძვლიანი მიზეზი გვაქვს იმისათვის, რომ მოკრძალებული ვიყოთ»**

რუსეთს სურს სანქციების გამოყენება უნგრეთის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც განვიცდით დანაკარგებს. **უნგრეთი რუსეთთან შედარებით პატარა ქვეყანაა. ჩვენ არ გვსურს ცივი ომი, ამიტომ, ეკონომიკური დანაკარგების მიუხედავად, ვცდილობთ, პოლიტიკური ურთიერთობა მაინც შევინარჩუნოთ.** არის ზოგჯერ რაღაც უთანხმოება, მაგრამ მხარეებს ესმით: ეს მათ მოწინააღმდეგეებად არ აქცევთ. ერთ-ერთი ასეთი უთანხმოებაა ევროპის მიერ დაწესებული სანქციები. ჩვენ დიდ ზარალს განვიცდით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაზე დაწესებული სანქციებისა და რუსეთის ინვესტიციების დამუხრუჭების გამო. ხომ ნათელია, რომ რუსი ინვესტორი თანხას არ დააბანდებს ქვეყანაში, რომელიც ანტირუსულ სანქციებს დააწესებს?! პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელზეც ვიმსჯელეთ, იყო, არასასიკეთო პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ორივე ქვეყნის ინვესტორებისთვის მხარდაჭერის მეთოდები.

**— რამდენად ღრმაა და რამდენ ხანს გაგრძელდება კრიზისი რუსეთსა და დასავლეთს შორის? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება, გადაილახოს უნდობლობა, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციასა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის?**

— ისეთი განცდა მაქვს, რომ ამ საკითხისადმი ევროპული და ამერიკული მიდგომები ძალიან განსხვავებულია. რაც შეეხება ევროპულ მიდგომას, **მინსკის ბოლო შეთანხმებაში ვიპოვეთ ელემენტები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება, ახალი კონტაქტები დამყარდეს რუსეთსა და ევროპას შორის.** ერთ-ერთი ასეთი ელემენტია მშვიდობა. უნდა განვიარაღდეთ; მეორე — უნდა მივისწრაფვოდეთ მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობისკენ. მხარი უნდა დავუჭიროთ რუსეთის ინიციატივას, რომლითაც შემოგვთავაზა ევროკავშირისა და ევრაზიული კავშირის თანამშრომლობა ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის სფეროებში. უნდა გამოვძებნოთ თანაზიარი ინტერესები. ჩვენმა უნივერსიტეტებმა უნდა ითანამშრომლონ. უნგრეთი, მაგალითად, ყოველწლიურად იღებს 200 რუს სტუდენტს. რუსეთსა და ევროკავშირს შორის ისეთი საერთო „ქსოვილი“ უნდა შევქმნათ, რომელიც მშვიდობის გზიდან გადახვევის საშუალებას არ მოგვცემს.

**— რიგ საკითხებზე ბუდაპეშტის სპეციფიკური პოზიციის გათვალისწინებით, სერიოზულია ბრიუსელის ზემოქმედება უნგრეთზე?**

— ზემოქმედება, რომელიც ჩვენ მიმართ ხორციელდება, სათავეს უფრო ადრეული პერიოდიდან იღებს, და ის ძლიერია. გარდა ამისა, ზემოქმედება ანტიპათიაში გადადის. **ჩვენ სხვანაირად ვაკეთებთ და წარმატებას მაინც ვაღწევთ. ბევრმა ქვეყანამ ისე გააკეთა, როგორც მიუთითეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.** ევროპაში ბევრი ძალიან ამაყია და მათ უჭირთ შეგუება იმასთან, რომ სხვაც შეიძლება იყოს მართალი. პოლიტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც გაირკვევა, რომ მართალი შენ კი არა ხარ, არამედ — სხვა. ამის აღიარება უნდა შეგეძლოს, ამისთვის კი გულწრფელობაა საჭირო, მაგრამ ეს იშვიათობაა ევროპაში. **ჩვენ შევადგინეთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ევროპულ მოდას ეწინააღმდეგება და ეროვნულ, ქრისტიანულ საფუძვლებს ეყრდნობა, ამის გამო ისე გვეძგერნენ, როგორც ხარი — წითელ ნაჭერს. შემდეგ შინ გავუშვით საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ვუთხარით: „თქვენი რეცეპტი არ გვარგებს. ჩვენს პრობლემებს თვითონ გადავწყვეტთ!“ და გადავწყვიტეთ კიდეც. ამჟამად უნგრეთის ეკონომიკა ევროპის წარმატებულ ეკონომიკებს შორისაა.**

რუსეთთან ურთიერთობაზეც დაუფარავად ვლაპარაკობთ. ვთვლით, რომ ევროპა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება მსოფლიოში, თუ ის რუსეთს გარიყავს, ამიტომ, მრავალი ფაქტორის შეჯამებით, ჩვენზე სერიოზულად ზემოქმედებენ, მაგრამ ამისათვის არსებობს ბრძნული გამონათქვამი: **„მდინარებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“**

ჩვენ კი ცოცხალი ვართ.

პოლიტიკაში პირად საკითხებზე, ჩვეულებისამებრ, არ საუბრობენ, მაგრამ მე ახლა გამონაკლისს დავუშვებ. 1998-2002 წლებში პრემიერი ვიყავი და თანაგრძნობით ვაკვირდებოდი ვითარებას რუსეთში. ეს იყო დიადი ქვეყანა, დიადი მოწოდებებითა და ხალხით. ქვეყანა, რომელიც იტანჯებოდა. მისი მოქალაქეები განიცდიდნენ, რომ კარგავდნენ მომავალს. და მე ვხედავდი იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა 2000 წელს, ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ პუტინის მოსვლის შემდეგ. ხელმძღვანელი, რომელსაც შეუძლია, ხალხს მომავლის იმედი დაუბრუნოს, დიდ საქმეს აკეთებს.

**— თავის დროზე თქვენ უნგრეთში „არალიბერალური სახელმწიფოს“ აშენებას აპირებდით. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ არ ესმის მნიშვნელობა სიტყვისა „არალიბერალური“, როდესაც ეს ეხება დემოკრატიას. ხომ ვერ გვეტყვით, რაზეა საუბარი?**

— ჩვენ ახლა ვსაუბრობთ თეორიულ საკითხზე. ევროპულ პოლიტიკაში კი ყველაფერი ბრუნავს პრაქტიკული ნაბიჯების გარშემო. ევროპელი ხელმძღვანელები იშვიათად აკეთებენ თეორიული („სულიერი“) ხასიათის განცხადებებს, რადგან ეს მხოლოდ პრობლემებს ქმნის. ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც. ასე რომ, რასაც ახლა ვიტყვი, პირდაპირ მიიღეთ. **ბოლო ოცი წელია, ევროპაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სამი მიმართულებიდან — ქრისტიან-დემოკრატიული, სოციალისტური და ლიბერალური — ერთმა მკვეთრი დომინირება დაიწყო დანარჩენებზე. ამიტომ ევროპაში დღეს შეიძლება მტკიცება: თუ დემოკრატიაა, აუცილებლად - ლიბერალური. და, აბა, სცადეთ, რამე თქვათ ქრისტიანულ-დემოკრატიულ ან სოციალისტურ დემოკრატიაზე. მიმაჩნია, რომ, თუ კონკურენტული იდეებიდან ერთ-ერთის მიმდევრები ამბობენ, დემოკრატია ჩვენი კუთვნილებააო, მაშინ ისინი ჩანასახშივე კლავენ ნებისმიერ დისკუსიას.** ამ ლოგიკით, თუკი ვინმე ლიბერალი არ არის, ის შეუძლებელია, დემოკრატი იყოს, მაგრამ ეს დისკრიმინაციაა. ძალიან ეშმაკურად შენიღბული დისკრიმინაცია, რომელიც სულიერ თავისუფლებას არღვევს.

სხვათა შორის, პოლიტიკაში სწორედ სულიერი თავისუფლების გამო ჩავერთე 1980-იან წლებში. **სოციალისტი არ ვარ, მაგრამ როგორ შეიძლება სოციალისტის გამოთიშვა დემოკრატიაზე დისკუსიიდან? თუ მათთვის მიუღებელია ლიბერალიზმის ძირითადი პოსტულატები, დემოკრატები არ არიან? ჩვენ კი, ქრისტიან-დემოკრატები, რატომ უნდა ვიყოთ აუცილებლად ლიბერალებიც? ეს უსამართლობაა!**

ჩემს გამონათქვამში სიტყვა „ანტილიბერალურიც“ კი არ გამომიყენებია, რადგან ზოგიერთი ლიბერალური ფასეულობა ჩემთვის მისაღებია. უბრალოდ, არ ვაღიარებ, ლიბერალებისთვის განსაკუთრებულ პრივილეგიებს, ამიტომ ასე ჩამოვაყალიბე: „არალიბერალური დემოკრატია“. ეს, რა თქმა უნდა, ინგლისურ-საქსონურ სამყაროში ყველაზე დიდ ლანძღვად აღიქმება. იქ ადამიანებს, რომლებიც „არალიბერალური დემოკრატიისკენ“ მიისწრაფვიან, დედამიწაზე ჯოჯოხეთის მშენებლებად აღიქვამენ.

**— თქვენს გამოსვლაში ილაპარაკეთ „არალიბერალური სახელმწიფოს“ მშენებლობაზე — ისეთის, როგორიც არის რუსეთი ან თურქეთი. ამ ქვეყნების რომელი თავისებურებების გადმოღებას აპირებთ?**

— თურქეთი და რუსეთი — ეს სრულიად სხვა თემაა. **თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში ვიღაც ფლობს დემოკრატიის ერთადერთ სწორ „რეცეპტს“, არასწორია. რატომ უნდა ააშენონ რუსებმა ისეთივე პოლიტიკური სისტემა, როგორიც ჩვენთან არის? რუსეთის კულტურა სხვაგვარია, მას თავისი თავისებურებები აქვს. რუსები თვითონ გადაწყვეტენ, რა როგორ გააკეთონ. ჩვენ კი ისე არ უნდა ვიქცეოდეთ, როგორც დამრიგებლები. ვინ მოგვცა ამის უფლება?!** „არაბული გაზაფხულის“ მიმდინარეობისას არაბული სამყაროსთვის ჩვენი თარგის დემოკრატიის თავსმოხვევამ უფრო მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე სარგებელი, რადგან არ გაითვალისწინეს, რომ ეს სულ სხვანაირი კულტურაა.

თურქეთი ძალიან წარმატებული ქვეყანაა, რუსეთიც წარმატებით ვითარდებოდა უკრაინის კრიზისამდე, რომელმაც ცუდი გავლენა მოახდინა რუსეთის ეკონომიკაზე.

მე მხოლოდ ვურჩევ დასავლელებს: ღირს იმის შესწავლა, რატომ არის ვიღაც წარმატებული. **არ ვეთანხმები დასავლურ რეფლექსებს — ან გარდავქმნათ, ან არ მივიღოთ ისინი, ვინც ჩვენზე წარმატებულია მხოლოდ იმიტომ, რომ, დასავლეთის ხედვით, მათ პოლიტიკურ სისტემაში ცოტაა ფასეულობა. მსოფლიოს ამჟამინდელი ვითარება არ იძლევა ასეთი თავდაჯერებულობის საფუძველს. ჩვენ ბევრი საფუძვლიანი მიზეზი გვაქვს იმისათვის, რომ მოკრძალებული ვიყოთ.**

რა თქმა უნდა, არ უნდა უარვყოთ ჩვენი ფასეულობები იმიტომ, რომ ბევრი სახელმწიფო მიისწრაფვის ევროპული ცხოვრებისკენ, ევროპელი ხალხისკენ, ევროპული თავისუფლებისკენ, ევროპული სივრცისკენ. რაც შეეხება ეკონომიკურ მიღწევებს, აი,აქ მოკრძალებული უნდა ვიყოთ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



## ბიძინა ივანიშვილის ქონება 5,2 მლრდ დოლარს შეადგენს

**ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა 2015 წლის მილიარდერების სია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის ქონება 5,2 მილიარდ დოლარს შეადგენს (291-ე ადგილი მსოფლიოში).**

„ფორბსის“ ცნობით, ივანიშვილი საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანია, რომელმაც თავისი ბიზნესი რუსეთში განავითარა, 2003 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა. „ფორბსი“ წერს, რომ ბიძინა ივანიშვილი ფლობს მილიარდ დოლარად შეფასებულ ხელოვნების ნიმუშებს, მათ შორისაა პიკასოს „დორა მარი კატასთან ერთად“, რომელიც ქართველმა მილიარდერმა „სოტბის“ აუქციონზე 95 მილიონ დოლარად შეიძინა 2006 წელს.

„ფორბსის 2015 წლის სარეიტინგო სიის მიხედვით, პირველ სამ ადგილს „მაიკროსოფტის“ მფლობელი **ბილ გეითსი,** მექსიკელი ბიზნესმენი **კარლოს სლიმ ელუ** და ამერიკელი უორენ ბაფეტი იკავებენ.

## ირაკლი გოგავა: «ნაციონალების» თანამდებობებზე დანიშვნით უკრაინელებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს

**ყოფილი პარლამენტარი და უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის — ვიქტორ იუშჩენკოს ყოფილი მრჩეველი ირაკლი გოგავა ამბობს, რომ უკრაინის მთავრობაში „ნაციონალების“ თანამდებობებზე დანიშვნის გამო უკრაინელები უკმაყოფილებას გამოხატავენ.**

„უკრაინაში უცხოელების თანამდებობებზე დანიშვნების წინააღმდეგია უკრაინის მოსახლეობის 90%-ზე მეტი. ერმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ამას პოროშენკოს არავინ აპატიებს,“ — განაცხადა ირაკლი გოგავამ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში.



## კიმ ჩენ ინმა ქვეყნის არმიას ომისთვის მზადებისკენ მოუწოდა

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ქვეყნის არმიას აშშ-ისა და მის მოკავშირეებთან ომისთვის მზადებისკენ მოუწოდა.**

კიმ ჩენ ინის განცხადება სამხრეთ კორეისა და აშშ-ის მიერ ჩატარებული ერთობლივი საზღვაო წვრთნის პასუხია. „ამ ვითარებაში, როდესაც ასე ახლოს ვართ ომთან, ჩრდილოეთ კორეის არმია მზად უნდა იყოს საბრძოლველად — როგორც პოლიტიკურად, ასევე იდეოლოგიურად, ფინანსურად და ტექნიკურად“, — განაცხადა კიმ ჩენ ინმა.



ქართული ქრონიკა? უცხო თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვაშინგტონი სპობს კულტურებს. ნახეთ, რა დაემართა იაპონიის კულტურას. ინგლისური, გერმანული, იტალიური კულტურები ამერიკანიზებულია. ვაშინგტონი ემუქრება მსოფლიო კულტურას, მათ შორის, ამერიკულსაც. რადგან ვიქტორია ნულანდი ჩამოვიდა სომხეთში, ეს ნიშნავს, რომ სომხეთი გადატრიალების წინაშე დგას.**



### ირმა ინაშვილი:

## ამ ხელისუფლების გამოუსწორებელი შეცდომა იყო ის, რომ სააკაშვილს ქვეყნიდან გასვლის საშუალება მისცა

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" გენერალურმა მდივანმა და ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხელისუფლების უუნარობის გამო მიხეილ სააკაშვილმა თავისი იმიჯის რეაბილიტაცია მოახერხა.**

„პირდაპირ ვაცხადებ: ვიდრე ამ ხელისუფლებას და სააკაშვილთან შეკრულ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეძინა, სააკაშვილმა მოახერხა თავისი იმიჯის რეაბილიტაცია და სტატუსის შეძენა. მან სტატუსი შეიძინა უკრაინაში, რომელსაც თავიდან ბოლომდე კურატორობს მაკკეინი. თქვენ იცით, რომ მაკკეინმა და ტერნერმა ინტერპოლსაც კი მიმართეს, რომ სააკაშვილზე ძებნა არ გამოცხადდეს. ამ ეტაპზე სააკაშვილი გაძლიერებულია, მაგრამ სიტუაცია შეიცვლება და მიშა საბრალდებო სკამზე დაჯდომას ვერ აცდება", — განაცხადა ირმა ინაშვილი.

## ჩხუბი უკრაინის რადაში

**უკრაინის უმაღლეს რადაში დეპუტატებს შორის დაპირისპირება მოხდა. უკრაინული მედიის ცნობით, რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო თავის ძველ კოლეგას — სერგეი მელნიჩუკს დაუპირისპირდა.**

ლიაშკოს თქმით, მენიჩუკმა მას სახეში გაარტყა. მანამდე კი ლიაშკომ მენიჩუკი გვამს შეადარა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. შეხლა-შემოხლის გამო, რადას სპიკერი ვლადიმერ გროისმანი იძულებული გახდა, სესია დროზე ადრე დაეხურა, შემდეგ ფიზიკური დაპირისპირება სხდომათა დარბაზს მიღმა გაგრძელდა.

### პოლ კრეიგ რობერტსი:

# სომხეთში იგეგმება ისეთივე გადატრიალება, როგორიც უკრაინაში განხორციელდა

**უწინარეს ყოვლისა, რობერტსის შესახებ: პოლ კრეიგ რობერტსი ამერიკაში ფრიად პოპულარული ეკონომისტი, ეკონომიკური და პოლიტიკური მიმომხილველია. მას ყურს უგდებენ, მის ანალიტიკურ დასკვნებს იზიარებენ, ითვალისწინებენ. 1981-82 წლებში იგი აშშ-ის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების მიმართულებით, არის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, რესპუბლიკელია. ითვლება „რეიგანის ეკონომიკური სასწაულის" ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორად, რომლის წყალობით ქვეყანამ თავი დააღწია გაჭიანურებულ „სტაგფლაციას".**



დღეს გთავაზობთ მისი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის საგაზეთო ვარიანტს, რომელიც ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს, რადგან ეხება აშშ-ის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, სომხეთში, გარკვეულ წილად, საქართველოშიც.

რობერტსის გამოსვლის საბაბი წლევანდელ თებერვალში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის — ვიქტორია ნულანდის სომხეთში ვიზიტი იყო იმ ფონზე, როცა სომხეთშიც და საქართველოშიც გაძლიერდა პროამერიკული ძალების აქტიურობა. ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ამ ვიზიტის მიზანი სომხეთში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაა, რა თქმა უნდა, გარკვეული ჯგუფების შესაბამისი დაფინანსებით, ასევე, პოლიტიკოსების, რომლებიც ვაშინგტონს დასახული პროგრამის განხორციელებაში დაეხმარებიან:

— ისინი იმუშავებენ ისე, როგორც უკრაინაში იქაური პოლიტიკოსები საქმიანობენ, რადგან კარგად იქნებიან მატერიალურად უზრუნველყოფილი. მაშასადამე, — **ეუბნება იგი სომეხ ჟურნალისტს,** — თქვენთან იგეგმება ისეთივე გადატრიალება, როგორიც უკრაინაში განხორციელდა. შედეგად, აშშ-ის კიდევ ერთი ბაზა შეემატება ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე.

**ბევრი მოტყუებული ადამიანი გაერთიანდება სომხეთის იმ არაკომერციულ ორგანიზაციებში, რომლებიც ნულანდთან თანამშრომლობენ და რომელთა მიზანია, გაწყვიტონ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა სომხეთისა რუსეთთან. როდის დაიწყება მათი შეტევა სომხეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, დამოკიდებულია იმ ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, რომელთა მოპოვებასაც შეძლებენ. ეს იქნება ისეთი გალაშქრება, როგორიც 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის" სახით საქართველოში განხორციელდა. ისიც გადატრიალება იყო, რომლის სათავეში იდგნენ ვაშინგტონში მოღვაწე პოლიტიკოსების მიერ დაფინანსებული არაკომერციული ორგანიზაციები.**

**ასე მუშაობს ვაშინგტონი. ახლა მისი სამიზნეა სომხეთი, ყირგიზეთი, შესაძლებელია, ყაზახეთიც და უზბეკეთიც.**

ამგვარი გადატრიალებები, მათი განსაზღვრით, დემოკრატიული რევოლუციები ორგანიზებული იქნება ყველა ქვეყანაში, რომლებიც უწინ სსრ კავშირში შემავალ რესპუბლიკებად იყო მიჩნეული. **ისინი თავს ესხმიან ეროვნულ ინსტიტუციებს, ტრადიციებსა და ზნეობრივ ფასეულობებს. თუ ვაშინგტონი სომხეთშიც შეძლებს უკრაინის მსგავსი გადატრიალების მოწყობას, შემდეგი ნაბიჯი იქნება სომხურ ოჯახზე შეტევა, ჰომოსექსუალიზმის ლეგიტიმიზაცია, შვილების გათავისუფლება მშობლების კონტროლისგან, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის გადახედვა. სომხეთი დაიშლება და აშშ ვასალურ სახელმწიფოდ გადაიქცევა. ეს საშიშროება სომხეთს რეალურად ემუქრება.**



**«ისინი თავს ესხმიან ეროვნულ ინსტიტუციებს, ტრადიციებსა და ზნეობრივ ფასეულობებს. თუ ვაშინგტონი სომხეთშიც შეძლებს უკრაინის მსგავსი გადატრიალების მოწყობას, შემდეგი ნაბიჯი იქნება სომხურ ოჯახზე შეტევა, ჰომოსექსუალიზმის ლეგიტიმიზაცია, შვილების გათავისუფლება მშობლების კონტროლისგან, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის გადახედვა. სომხეთი დაიშლება და აშშ ვასალურ სახელმწიფოდ გადაიქცევა. ეს საშიშროება სომხეთს რეალურად ემუქრება»**

აშშ მუშაობს იმ ადამიანებთან, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან კომუნისტური იდეოლოგიის 70-წლიანი ბატონობის გავლენის ქვეშ. ასეთი ადამიანების შეცდენა ძალიან ადვილია.

**— ზნეობრივ ფასეულობათა მოშლა აადვილებს ასეთი ადამიანებით მანიპულირებას?**

— დიახ.

**— ამიტომ არის მათი შეტევის მიზანი ოჯახის ტრადიციების დარღვევა?**

— დიახ. მოიშლება მთელი კულტურა სომხეთის. **ვაშინგტონი სპობს კულტურებს. ნახეთ, რა დაემართა იაპონიის კულტურას; ინგლისური, გერმანული, იტალიური კულტურები ამერიკანიზებულია.**

**ვაშინგტონი ემუქრება მსოფლიო კულტურას, მათ შორის, ამერიკულსაც.**

**რადგან ვიქტორია ნულანდი ჩამოვიდა სომხეთში, ეს ნიშნავს, რომ სომხეთი გადატრიალების წინაშე დგას.**

ფაქტი

## უკრაინის ოპოზიცია უკრაინის მთავრობიდან «უცხო ქართველების» გაძევებას მოითხოვს

**ეს მოთხოვნა უკრაინის რადიკალურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მასშტაბური მარშის მიმდინარეობისას წამოაყენეს. „მემარჯვენე სექტორის" კიევის გაყოფილების ხელმძღვანელ ვლადიმერ ზაგაზეის განცხადებით, უკრაინის შსს-ს, უცხოელები კი არა, ისინი უნდა მართავდნენ, ვინც ცოტა ხნის წინათ ომი გამოიარეს.**

„ქართველი ხალხის დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ მაღალი ეშელონები უკრაინელებს უნდა ეკუთვნოდეთ. როდესაც მმართველობას და ძალას უცხოელებს გადავცემთ, მათი სიყვარული უკრაინის მიმართ მაინც ვერ იქნება ისეთი, როგორც მშობლიური ქვეყანა უნდა გიყვარდეს და ზრუნავდე მასზე. უცხოელები და მათ შორის ქართველები, მინისტრისა და მისი მოადგილეების თანამდებობებს არ უნდა იკავებდნენ. ჩვენ უცხო ქართველები არ უნდა გვხელმძღვანელობდნენ", — განაცხადა ვლადიმერ ზაგაზეიმ.



ამერიკაში ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან მსოფლიოს 70 ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დასაცავად და დროგამოშვებით აწყობენ ხმაურიან სკანდალებს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა წერტილში ჰომოსექსუალების უფლებათა დასაცავად, დაპატიმრებულ ოპოზიციონერთა გასათავისუფლებლად და ა.შ. მაგრამ არც ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ადამიანის უფლებათა უგზოდიშო ხელყოფას ეხება, კრინტს არ ძრავენ.

უცხო თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ებრძვის აშშ თავის მაიდნებს?

**ჩვენს მოქალაქეებს (უმეტესობას?) რატომღაც ჰგონიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საზოგადოება თავისუფალია ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი იდეოლოგიური ზემოქმედებისგან, რომ შტატები თავისუფლების თავისთავადი მოცემულობაა, რელიქტური თავისუფლება, ასე ვთქვათ.**

**დღევანდელ პუბლიკაციაში მიმოვიხილავთ პრობლემას, როგორ ებრძვის ამერიკის ხელისუფლება თავის მაიდნებს და რას ნიშნავს დემოკრატია ამერიკულად.**

**მასალები აშშ-ის ბეჭდური სიტყვიდან და ტელეპროგრამებიდან არის ამოკრეფილი. ანომალური შემთხვევებია თუ სისტემის მახასიათებელი კანონზომიერება, განსაჯოს მკითხველმა.**

სულ ახლახან ამერიკის მოქალაქეთა გააფთრებული მასა — სხვადასხვა ასაკისა და კანის ფერის ადამიანები გამოვიდნენ სტიქიურად გამართულ მიტინგებზე, დაარბიეს მაღაზიები, დაწვეს ავტომანქანები, წალეკეს ყველაფერი, რაც გადაეღობათ. მოთხოვნა იყო ერთადერთი: ხელისუფლებამ დასაჯოს პოლიციელი, რომელმაც მოკლა 18 წლის შავკანიანი ყმაწვილი **მაიკლ ბრაუნი** ქალაქ ფერგიუსონიდან (მისურის შტატი).

მასობრივი არეულობის შესაწყვეტად მისურის შტატის გუბერნატორმა ნიქსონმა ეროვნული გვარდიის ჯარებიც კი შეიყვანა ქალაქში. დემონსტრანტებს დაუშინეს ხელყუმბარები, ცრემლმდენი გაზი და რეზინის ტყვიები.

დაშავდა ხალხი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მაიკლ ბრაუნმა სუპერმარკეტიდან სიგარების შეკვრა ფულის გადაუხდელად გამოიტანა. 15 წუთის შემდეგ მაიკლს დაეწევა პოლიციელი, დააჩოქებს, კეფაზე ხელების დადებას მოსთხოვს. როგორც კი ყმაწვილი წესრიგის დამცველის მოთხოვნას შეასრულებს, ეს უკანასკნელი ექვსჯერ ესვრის დაჩოქილს. ორი ტყვია ბრაუნს თავში მოხვდება...

გვამი ხუთი საათის განმავლობაში ეგდება უპატრონოდ.

**აუცილებელი რემარკა:**

**ბრაუნი შეუიარაღებელი იყო და პოლიციელს სიცოცხლისთვის საშიში წინააღმდეგობის გაწევა მისი მხრიდან არ ემუქრებოდა.**

შიშს დიდი თვალები აქვს?

არა.

მოესურვა და მოკლა!

უცნაურია, რადგან გვარწმუნებენ, რომ აშშ-ს ჰყავს მსოფლიოში ყველაზე უკეთ გაწვრთნილი, პროფესიონალი და მოუსყიდველი პოლიციელები, მაგრამ სწორედ ეს სანიმუშო და სამაგალითო პოლიციელები ხოცავენ უდანაშაულო და უიარაღო ადამიანებს.

2 წლის წინათ მაიამიში შავკანიანი **ტაინდრ ულიამსის** დაკავებისას, რომელსაც მასობრივი ჩხუბის ორგანიზებაში ედებოდა ბრალი, პოლიციელებმა ისე გადაამეტეს „დასაშვებ ზღვარს“, რომ ახალგაზრდა კაცი დაინვალიდეს.

არადა, შემდეგ გაირკვა, რომ ჩხუბში იგი საერთოდ არ მონაწილეობდა.

22 წლის **დერეკ უილიამსი** მილუოკიდან (ვისკონსინის შტატი), ქურდობაში **ეჭვმიტანილი, ნაცემ-ნაბეგვი, სიკვდილის პირამდე მიყვანილი პოლიციის მანქანაში ჩასვეს. დერეკი მანქანაშივე გარდაიცვალა. პოლიციელი ექიმი კი თავის პატაკში სიკვდილის მიზეზად საოცრებას ჩაწერს: მოკვდა ფსიქიური შეტევის გამო, რომელიც გამოიწვია (მიაქციეთ ყურადღება!) აბაზანის მარილმა.** ამ სულელურ დასკვნას გაემიჯნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა გამოძიებამ დაადგინა, რომ დერეკი გარდაიცვალა ენის უკანა ძვლის მოტეხილობის მიზეზით, რომელიც პოლიციელის დარტყმით იყო გამოწვეული: სუნთქვა შეეკრა და დაიხრჩო.

აშშ-ის ტელეეკრანებზე გამოჩნდა კადრები, რომლებზეც ასახულია, თუ **როგორ ასხურებს წიწაკის გაზს ოფიცერი ჯონ პაიფი მის წინაშე დაჩოქილ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტებს,** რომლებიც მონაწილეობდნენ უოლ სტრიტის საწინააღმდეგო აქციაში — „დაიპყარი უოლ სტრიტი!“ შარშან ეს აქცია ამერიკას, აგრეთვე, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებს მოედო.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, როცა სტუდენტებმა პაიფს სასამართლოში უჩივლეს, მან საპასუხო სარჩელი მიაგება. თავი იმართლა იმით, რომ აღნიშნული შემთხვევის შემდეგ დეპრესიით დაავადდა. **კალიფორნიის სასამართლომ დაადგინა: მორალური კომპენსაციის სახით ოფიცერს გამოეწეროს 38 ათასი აშშ დოლარი... კალიფორნიის უნივერსიტეტის ხაზინიდან.**

საქმეში გარკვეული მიმომხილველები ამბობენ, რომ ამერიკაში ყველამ, ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა იქაურ პოლიციელებთან, იცის, რომ წესრიგის დამცველი ყოველთვის მართალია... რაგინდ მტყუანი იყოს.

ქუჩაში სპირტიანი სასმელების დალევა აშშ-ში აკრძალულია. ლუდის ბოთლი (თუ მიგაქვს) თავდაცობილი უნდა იყოს, იდოს ყავისფერ ქაღალდის პაკეტში.

**პოლიციელმა დააპატიმრა უსახლკარო კაცი, რომელიც მთვრალი იყო. “ბომჟმა” პოლიციელს შეაფურთხა. სამედიცინო ანალიზებით დადგინდა, რომ იგი ვიჩინფენქციით იყო დაავადებული. სასამართლომ მისი ნერწყვი სასიკვდილო იარაღად მიიჩნია (არადა, იმუნოდეფიციტი ნერწყვით, მიფურთხებით არ გადადის) და ეს საცოდავი უსახლკარო, უმუშევარი, მორალურად დეგრადირებული ადამიანი 35 წლით ციხეში ჩასვა.**



**მხოლოდ შარშან ამერიკელმა პოლიციელებმა 246 ადამიანი მოკლეს საკუთარ ქვეყანაში, ისინი, ვის დასაცავადაც არიან მოწოდებულნი; უფრო მეტი დაჭრეს და დაინვალიდეს**





ამერიკაში ათასობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან მსოფლიოს 70 ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დასაცავად და დროგამოშვებით აწყობენ ხმაურიან სკანდალებს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა წერტილში ჰომოსექსუალების უფლებათა დასაცავად, დაპატიმრებულ ოპოზიციონერთა გასათავისუფლებლად და ა.შ. მაგრამ არც ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ადამიანის უფლებათა უზოდიშო ხელყოფას ეხება, კრინტს არ ძრავენ.

რამდენიმე თვის წინათ კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა როზას ერთ წყნარ ქუჩაზე პოლიციელებმა **13 წლის ბიჭი** მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხელში კალაშნიკოვის სათამაშო ავტომატი ეჭირა. პოლიციელი გაამართლეს. დეტროიტშიც მოკლეს პოლიციელებმა გოგონა. **აიანა სტენლი ჯონსონი,** სულ რაღაც, 8 წლისა იყო და დაიღუპა იმიტომ, რომ წესრიგის „პროფესიონალმა“ დამცველებმა მის ოთახში შეაგდეს ხელყუმბარა და შემდეგ იქაურობა ავტომატების ტყვიებით დაცხრილეს. მხოლოდ ამ ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ გაარკვიეს, რომ სართული შეეშალათ.

**14 წლის გოგონამ** საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია. შეშინებულ ბავშვს პოლიციელი გამოედევნა და უმძლავრესი ელექტროშოკის მუხტით ძირს დასცა. გოგონას თავის ტვინი დაუზიანდა და დაინვალიდდა.

ამ და ბევრ სხვა შემთხვევაში დამნაშავე პოლიციელთაგან არავინ დაუსჯიათ.

კერძო და სახელმწიფო ფონდებიდან დაფინანსებული ამერიკელი სამართალდამცველები, რომლებიც სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებებისთვის თავგამოდებით იბრძვიან, ამ ტრაგიკულ შემთხვევებზე არ რეაგირებენ.

აბსოლუტურად.

დუმდნენ იმ შემთხვევის გამოც, როცა პოლიციელებმა საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს 34 წლის **მირიამ კერი**, რომელსაც ექიმთან მიჰყავდა თავისი პატარა გოგონა და სრულიად შემთხვევით დააზიანა თეთრი სახლის ღობე. ახალგაზრდა ქალი, რომელიც არავის არაფერს ერჩოდა, ზუსტად კაპიტოლიუმის შენობის წინ მოკლეს.

**მხოლოდ შარშან ამერიკელმა პოლიციელებმა 246 ადამიანი მოკლეს საკუთარ ქვეყანაში, ისინი, ვის დასაცავადაც არიან მოწოდებულნი; უფრო მეტი დაჭრეს და დააინვალიდეს.**

ამ შემთხვევებით არც ამერიკელი უფლებადამცველები, არც ამერიკელი კონგრესმენები არ დაინტერესებულან. მათ „სამართლებრივი პატიოსნების“ მიძინებულ გრძნობას მხოლოდ სხვა ქვეყნების, მაგალითად, უკრაინის, პრობლემები აფხიზლებს. ტენესის შტატის ქალაქ ჩეტანუგას პოლიციის განყოფილებამ ამერიკაში „სახელი გაითქვა“ ინტერნეტში გაჟონილი აფროამერიკელის უმოწყალოდ ცემის ვიდეოჩანაწერით. ახალგაზრდას, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა სამართალდამცველებს, პოლიციელებმა ჯერ ხელკეტები და მუშტები ურტყეს, შემდეგ იატაკზე დააგდეს და ელექტროშოკერით გათიშეს.

ამერიკაში ხდებოდა ეს, მსოფლიოში უპირველეს დემოკრატიულ და ყველაზე ჰუმანურ ქვეყანაში — საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ჯერ მხოლოდ ეჭვმიტანილები არიან, სასამართლოს თავისი სიტყვა არ უთქვამს და დამტკიცებულიც არაფერია. ასეთი მხეცური მოპყრობა ნორმად არის მიჩნეული.

ამერიკანისტი ანალიტიკოსები დარწმუნებით გვეუბნებიან, რომ უდანაშაულობის პრეზუმპცია, რომლის შესახებ ბავშვებმაც კი იციან, არაფერს წარმოადგენს იქაური პოლიციელებისთვის. დაკავებული ან ეჭვმიტანილი მათთვის ავტომატურად ხდება აბსოლუტურად უუფლებო არსება. მისი ცემა, დამახინჯება, მოკვლაც კი დასაშვებია, მიუხედავად სქესის, ასაკის, კანის ფერისა და სარწმუნოებრივი კუთვნილება.

ამერიკულ მედიაში ასეთი ფაქტების შესახებ არ წერენ, სამაგიეროდ არ ეზარებათ კიევის მაიდნის შესახებ გაუთავებელი ლაპარაკი — როგორ ირღვეოდა იქ და იმ დროს ადამიანის უფლებები.

ან, იქნებ, ვინმემ სადმე წაიკითხა აღშფოთებული სტატიები თბილისის 7 ნოემბრისა და 26 მაისის მხეცური დარბევების შესახებ?!

ჯანდაბას! თავიანთ პრობლემებს თვითონ მიხედავენ, მაგრამ იმას რა ეშველება, როცა შტატები ამგვარ მეთოდებს სხვა ქვეყნებში ნერგავენ, განსაკუთრებით ისეთებში, რომელთა სოდო-მაზოხიზმით დაავადებული ხელისუფალნი საკუთარი ხალხის ზურგს სიამოვნებით უშვერენ ამერიკიდან შემოტანილ „ჰუმანიტარული“ დანიშნულების ხელკეტებსა და „არალეტალურ იარაღს“ რეზინების ტყვიების სახით.

**P.S. ამ მიმოხილვის გაცნობის შემდეგ ჩვენი მკითხველი, იმედი მაქვს, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, თუ ვინ „ატრენინგებდა“ ჩვენი უნიჭო და დაუნდობელი „ნაცების“ ხელისუფლებას ჩადენილ დანაშაულობათა ამღვრეული მორევიდან მშრალად ამოსვლის ხელოვნებაში.**

**იმ ცხრა წელიწადში გასდიოდათ.**

**ახლა, როგორც იქნა, ამოქმედებული პროკურატურის პირობებში, მგონი, ჟამთა სვლის მდინარეს მიაქვს ის უბედური ჭიანჭველები. ხოლო მათი ძებნილი ლიდერი ამაოდ დახტის ვაშინგტონსა და კიევს შორის უკრაინის „გადარჩენის“ მიზნით ღორის ჯაგრისგან თოკ-ბაწრის დასაგრეხად.**

**— მუს გილასხაპუნქ?!**

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კვირის კითხვა: როგორ შეაფასებთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს?
გრიგოლ ონიანი: — უკრაინაში რუსებმა ამერიკელებს მასტერკლასი ჩაუტარეს. ამერიკელები ჩაცვივდნენ დებალცევოს ქვაბში, რომელიც რუსული „მუხის“ ცეცხლზე იყო დადგმული. ამერიკელებისთვის დებალცევო იგივეა, რაც გერმანელებისთვის სტალინგრადი, სადაც ფაშისტების გამარჯვების მზე ჩაესვენა. ასეთია ამერიკელების გზა კორეიდან დონბასამდე.
„ამერიკელები კორეაში ცხვრის გასაპარსავად ჩავიდნენ, მაგრამ იქიდან თვითონ წავიდნენ გაპარსულები“.

ი. სტალინი

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

## წერილი მეორე

### მენშევიკური მთავრობა – ქართული ეკლესია და ეროვნული განძი


ექვთიმე თაყაიშვილი


ლეონიდ ოქროპირიძე

**«ვერ გაგვიგია, რით დაგვაყენეს კანონის გარეშე? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ, მათ მიწა თუ არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავითგარეჯს, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას? რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს მშობელი ბერების შიმშილისგან განყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?»**

ექვთიმე თაყაიშვილი „დამოუკიდებლობამოპოვებული“ საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში აქტიური და აღიარებული ლიდერი გახლდათ.

***„იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი პერიოდის (1918 — 1921 წ) განმავლობაში ეფექტიანად მოღვაწე ერთ-ერთი გავლენიანი და ანგარიშგასაწევი დეპუტატი იყო“ (იაკობ ფუტკარაძე, „დიდი ექვთიმე“, გვ.396).**

***„ექვთიმე თაყაიშვილი 1918-21 წლებში თანმიმდევრობით იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი და საქართველოს სახალხო კრების თავმჯდომარის ამხანაგი“ (ი. ფუტკარაძე, „დიდი ექვთიმე“, გვ. 405).**

***„თავმჯდომარის მოადგილედ იგი საქართველოს დამფუძნებელი კრების იმ პრეზიდიუმის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა, რომელიც მოქმედებას ემიგრაციაში (პარიზში) ფრაქციათა წარმომადგენლობით შევსებული „გაფართოებული პრეზიდიუმის“ სახით განაგრძობდა (ი. ფუტკარაძე, „დიდი ექვთიმე“, გვ. 412).**

ექვთიმე თაყაიშვილის ავტორიტეტსა და თანამდებობათა ჩამონათვალზე ხაზგასმა იმიტომ გავაკეთე, რომ მკითხველი დავარწმუნო, — ექვთიმე თაყაიშვილი მენშევიკური მთავრობის დავალებათა მხოლოდ შემსრულებელი კი არა, ამ საკანონმდებლო ორგანოში დამკანონებელიც იყო და შემსრულებელიც.

კომუნისტური მთავრობის მიერ მეცნიერისთვის ამ ტვირთისა და მოვალეობის ჩამოშორებასა და საზოგადოებისთვის მხოლოდ მკვლევარად და შემოქმედად წარმოდგენას ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის, იაკობ ფუტკარაძეც, ექვთიმე თაყაიშვილისთვის დამამცირებელ ქმედებად მიიჩნევს.

უამრავი რეგალიითა და უფლებით აღჭურვილმა დეპუტატმა და მეცნიერმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ყველა ეკლესია-მონასტერში არსებული განძის ფასი, დაარწმუნა მთავრობა და პარლამენტი, რომ საჭირო იყო ამ საეკლესიო ქონების ექსპროპრიაცია და სახელმწიფოსთვის ჩაბარება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ხუთი საპარლამენტო კომისიის წევრი გახლდათ, ეჭვგარეშეა, რომ ამ კომისიების მიერ პარლამენტში შეტანილი საკანონმდებლო პროექტები, ძირითადად, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არის შედგენილი; მათ შორის, კანონპროექტი, რომლითაც შემდგომ საეკლესიო ქონება სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა.

მკვლევარი და მეცნიერი **სერგო ვარდოსანიძე** თავის ნაშრომში წერს:

„1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახელმწიფოს სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატები (ექ. თაყაიშვილი ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. — გრ. ონიანი) თვლიდნენ, რომ საკანონმდებლო აქტებით უნდა მომხდარიყო ეკლესიისა და სახელმწიფოს მკვეთრი გამიჯვნა, მაგრამ ამ გამიჯვნისას საერო ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით საუკუნეთა მანძილზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საკუთრებად აღიარებული ქონებაც სახელმწიფო ქონებად გამოაცხადა. ამ საკითხს ეხებოდა **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე) წერილი ნოე ჟორდანიასადმი“.**

აი ის წერილიც:

**„ძვირფასო მამულიშვილო, ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ, ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი უცილობელი მოვალეობა მაიძულებს, წაგართვათ რამდენიმე წამი ძვირფასი დროისა, რომელსაც თქვენ ჩვეულებრივად ანდომებთ საქვეყნოდ დიდი საქმეების მოწყობა-მოგვარებას. მე მაინც ნებას არ მივცემდი ჩემს თავს, შემეწუხებინეთ, რომ ჩემ მიერ წამოსაყენებელი საკითხების მართებულ გადასაწყვეტ გზას ვხედავდე, გარეშე თქვენი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა სიბრძნისა...**

**1.პირველი, რაზედაც თქვენს ყურადღებას მივაქცევ, არის სასულიერო წოდების ყოფილი სასწავლებლების ქონება-შენობები, რომლებიც გადაეცა სახალხო განათლების მინისტრის გამგეობაში, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობდით, არავინ შეავიწროებდა სასულიერო წოდებას, ახლა განათლების სამინისტრომ ხელი ჩაჰკიდა ყველაფერს და ჩვენ სასულიერო უწყების, როგორც კანონიერ მფლობელებს, გვაგზავნის სასამართლოში, იქ დაგვიმტკიცეთ ოფიციალური საბუთების წამოყენებით რისი პატრონებიცა ხართო. სამწუხაროა, რომ სამინისტროს პატრონობის ჟამს დაიკარგა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის პანსიონატის ქონება.**

**დასასრული აღარა აქვს სამინისტროს უსამართლო მიწერ-მოწერას ჩვენს უწყებასთან, პროვინციის რწმუნებულის თაობაზე. აუტანელი ხდება ასეთი ძალმომრეობის დათმენა. სამღვდელოება უსათუოდ შეებრძოლება სამინისტროს იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მის დაჩაგვრას მოინდომებენ. ეს კი ხალხის თვალში სახელს გაუტეხავს, როგორც სამინისტროს, ისე მთლად საერო მმართველობას“ (ამ კანონის ავტორი ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ — გრ. ონიანი).**

**2. ამგვარსავე უსამართლობას ითმენს სასულიერო უწყება მიწათმოქმედების სამინისტროსგან, რომელმაც ეკლესიებს ჩამოართვა მიწები, გლეხები, სათიბები, ტყეები (ამ კანონის ავტორიც ექვთიმე თაყაიშვილია — გრ. ონიანი).**

**ვერ გაგვიგია, რით დაგვაყენეს კანონის გარეშე? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ, მიწა თუ არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავით გარეჯს, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას?**

**რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს მშობელი ბერების შიმშილისგან გაწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განძრახ დანგრევა-განადგურებით? უსამართლობაა რკინიგზაზე მღვდლის თანამდებობის გაუქმება, ჩვენს მთავრობას თავის ბოლოდროინდელ დეკლარაციაში შეუტანია ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა. შეიძლება ეს კარგიც იყოს, თუ დაცული იქნება სამართლიანობა. საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი პატრონია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰფრიალებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება.**

**საქართველოს ეკლესიას მოეპოვება კეთილი შენაძენი საკუთრება, რომელსაც ხელს უპოტინებენ რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობანი. დღეს დამოუკიდებელნი ვართ რუსეთისგან, მაშასადამე, მარჯვე დრო გვაქვს, აღვადგინოთ მშობელი ეკლესიის ქონებრივი უფლებები ხელშეუხებლობისა.**

**ახლა თვითონ ჩვენმა მთავრობამ უნდა საქმით დაუმტკიცოს კაცობრიობას სრული სამართლიანობა. ღირებული ფასის გაღებით შეისყიდოს ეკლესიისგან მისი უძრავი ქონება და სრული მშვიდობიანობით განცალკევდეს მისგან.**

**ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც, დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მხოლოდ სამართლიან გაყოფას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან და სხვა არაფერს. ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ განვლო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე განუწყვეტლივ დავდივარ საქართველოს მთა და ბარში, სახარების სიტყვისა, ჰუმანიტარული სწავლა-განათლებისა და ეროვნული შეგნების ხელგაშლით საფრად ქართველი ერის მაშვრალთა კლასის ფართო წრეებში. პირველად მე წავაკითხე „დედა ენა“ მთის შვილებს და პირველად მე ავამღერე მშობლიურ ჰანგზე დაბეჩავებული ჩემი მოძმენი. დღევანდლამდე ვცხოვრობ მხოლოდ იმისათვის, რომ შევიძინო და რამე შევმატო სათაყვანო სამშობლოს. ეს იყო და არის ჩემი სუნთქვა, ჩემი განუშორებელი ზრახვა, ჩემი ერთადერთი ლხინი და უაღრესი ბედნიერება. სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურს ვანაცვალე ყველა ის, რითაც კი საამო და საინტერესოა სხვისთვის წუთისოფელი. მოძმეთა გარდამეტებული სამსახურის გამო, სავსებით დავიწყებული მქონდა და მაქვს ჩემს პირად არსებობაზე ზრუნვა.**

**დღესაც ამ კერძო წერილს გწერთ მხოლოდ სამშობლოს ერთგულებით, ექნება რაიმე შედეგი ჩემს ნაწერს თუ არა, დამოკიდებულია თქვენზე. მე კი ამით თავისუფალი ვიქნები მომავალში, როგორც საზოგადოების, ისე თქვენ წინაშე ყოველი პასუხისმგებლობისაგან“.**

**საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე**
**1919 წლის 5 მაისი“.**

ასე მთავრდება კათოლიკოს — პატრიარქის ღრმაშინაარსიანი წერილი ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

P.S. მასალის პირველ წერილში მოხსენიებული ალიოშა ქავთარაძის ნაცვლად, უნდა იყოს ალიოშა სვანიძე.

ექსპერტთა ყველაზე ცუდი შეფასება დაიმსახურეს აშშ-ის სახმელეთო ჯარებმა. იქ, კვლევის შედეგების თანახმად, მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ მესამედია მზად რეალური საომარი მოქმედებებისთვის.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღვაწლმოსილ ქართველს 91 წელი უსრულდება

**სსრკ-ის საპატიო ჩეკისტი, პოლკოვნიკი მამანტი ჯოლია დაიბადა 1924 წლის 10 მარტს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში, გლეხის ოჯახში.**



1940 წელს დაამთავრა გალის №2 საშუალო სკოლა, 1950 წელს — გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი (1940-42 წლებში სწავლობდა აღნიშნულ ინსტიტუტში, შემდეგ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში და 1947 წელს დაუბრუნდა უმაღლეს სასწავლებელს). 1965 წელს გაიარა სსრკ უშიშროების სამინისტროს კიევის სადაზვერვო უმაღლესი სასწავლებლის ერთწლიანი კურსი.

1942 წლის ოქტომბერში მამანტი ჯოლია მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში; იბრძოდა უკრაინის მეოთხე, ბელორუსიის პირველ, მეორე და ბალტიისპირეთის ფრონტებზე ოცეულისა და ასეულის მეთაურად. მონაწილეობდა ქალაქ სევასტოპოლის მისადგომებთან საპუნ-გორას დასაკავებლად გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში. ამ მნიშვნელოვანი პოზიციის დაკავება, დიდი დანაკარგების მიუხედავად, სივაშის სახელობის 417-ე წითელდროშოვანმა დივიზიამ შეძლო. მსუბუქად დაიჭრა ორჯერ. ომის შემდეგ, 1947 წლამდე, აღნიშნული დივიზიის 1369-ე პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწედ მსახურობდა.

1950 წელს მამანტი ჯოლიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1950-60 წლებში მუშაობდა სოხუმის რკინიგზის უშიშროების განყოფილების ოპერრწმუნებულად და უფროს ოპერრწმუნებულად; 1960-65 წლებში — გალისა და ოჩამჩირის რაიონებისა და ქალაქ ტყვარჩელის უშიშროების უფროსად, 1965-70 წლებში — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის უშიშროების უფროსად; 1970-78 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი, 1978-1993 წლებში — აფხაზეთის ასსრ თევზდაცვის, გამრავლებისა და რეგულირების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი; 1994-96 წლებში — საქართველოს ეროვნული გვარდიის კონტრდაზვერვის უფროსი; 1996-98 წლებში — საქართველოს უშიშროების მინისტრის უფროსი მრჩეველი და საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. სპეციალური მივლინებით (დავალებით) იმყოფებოდა ავსტრიაში (1962 წ.), საბერძნეთში (1963 წ.), იტალიაში (1965 წ.), თურქეთსა (1967 წ.) და რუმინეთში (1974 წ.).

მამანტი ჯოლია იყო მშრომელთა (სახალხო) დეპუტატების ოჩამჩირის რაიონული, სოხუმისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების დეპუტატი და საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომისა და ზუგდიდის ქალაქკომის ბიუროების წევრი.

დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორი ორდენით, დიდი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხისა და „ღირსების“ ორდენებით, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენითა და 29 მედლით.

დევნილობის გამო დროებით ცხოვრობს თბილისში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში, რომელშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის მამანტი ჯოლიას.

ბატონი მამანტის ინიციატივით დაარსდა ქართველ უხუცესთა საბჭო აფხაზეთიდან, რომლის თავმჯდომარე თვითონ უნდა გამხდარიყო, მაგრამ მისი დაჟინებული მოთხოვნით უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აფხაზეთში ყველასთვის ცნობილი პიროვნება კონსტანტინე მარშავა, თვითონ კი კენჭი იყარა მოადგილის თანამდებობაზე, რაც ერთსულოვნად იქნა დაკმაყოფილებული.

„აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირმა“ (თავმჯდომარე ო. ჯოლია) და ქართველ უხუცესთა საბჭომ მამანტი ჯოლიას ხელმძღვანელობით გამოიმუშავა და, როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობის წინაშე დააყენა 12 წინადადება-პროექტის განხორციელების საკითხი. რამდენიმე თვის წინათ შედგა აფხაზეთის პრეზიდენტთან, ბატონ ალექსანდრე ანქვაბთან, სატელეფონო საუბარი სასაფლაოების მონახულების საკითხის გადაწყვეტის შესახებ. ამას წინ უძღოდა კავშირის თავმჯდომარის, ოლეგ ჯოლიას, გამგზავრება მოსკოვში და აფხაზ ვეტერანებთან შეხვედრა, რომელმაც თბილ, საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

მამანტი ჯოლია ყოველთვის იბრძოდა პატიოსანი სახელისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის და, მიუხედავად ასაკისა, დღესაც ემსახურება საქართველოს.

**აფხაზეთის ვეტერანთა კავშირი**



## Heritage Foundation:
# აშშ-ის არმია მზად არ არის რეალურ სამხედრო საფრთხეებთან საბრძოლველად

**სტრატეგიული კვლევების ამერიკული ინსტიტუტის — „მემკვიდრეობის ფონდის“ (Reritage Foundation) მონაცემებით, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს არ შესწევთ უნარი, სათანადოდ გაუმკლავდნენ რეალურ სამხედრო საფრთხეს და დაიცვან ქვეყნის ინტერესები.**

ანალიტიკური ცენტრის მიერ მომზადებული მოხსენების თანახმად, რომლის სათაურია „აშშ-ის სამედრო ძლიერების ინდექსი — 2015“, 5-ბალიანი სისტემით („ძალიან სუსტიდან“ „ძალიან ძლიერამდე“) „ძლიერად“ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები (მრავალრიცხოვანი საფრენი აპარატის პარკისა და საბრძოლო მომზადების მაღალი დონის გამო). სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საზღვაო ქვეითთა კორპუსის, აგრეთვე, ატომური თავდასხმის შემაკავებელი ძალების (განხილული იყო ცალკე, მიუხედავად მათი კუთვნილებისა) მდგომარეობა კი ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც „საშუალოზე დაბალი“.

Reritage Foundation-ის მონაცემებით, საზღვაო ქვეითთა კორპუსი ძალიან მცირერიცხოვანია და მას არ შესწევს ძალა, წარმატებით იბრძოლოს ერთდროულად ორ დიდ რეგიონულ ომში. აშშ-ის ატომური პროგრამა კი, ექსპერტთა დასკვნით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოდერნიზების ვადებს და ვერ შეძლებს მოწინააღმდეგის პოტენციალთან ეფექტიანად გამკლავებას. **ექსპერტთა ყველაზე ცუდი შეფასება დაიმსახურეს აშშ-ის სახმელეთო ჯარებმა. იქ, კვლევის შედეგების თანახმად, მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ მესამედია მზად რეალური საომარი მოქმედებებისთვის.**

კვლევაში აშშ-ის შეიარაღებული ძალები შეფასებული იყო სამი პარამეტრით: ქვეყნის დაცვა; წარმატებით ბრძოლა ერთდროულად ორ რეგიონულ ომში და თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფა ზღვაზე, ჰაერში, კოსმოსსა და კიბერსივრცეში.

# მირზა გელოვანის ნეშტს მაისში გადმოასვენებენ




**საქართველოში პოეტ მირზა გელოვანის ნეშტის ჩამოსვენება იგეგმება. როგორც ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ განაცხადა, გადმოსვენების ინიციატორია საქართველოს სახელმწიფო, განსაკუთრებით აქტიურობენ დედაქალაქის საკრებულო და მერია. დარჩენილია იურიდიული პროცედურები.**

თამაზ ტყემალაძემ განაცხადა, რომ პოეტის საფლავს 1979 წელს ბელარუსში, ვიტებსკის ოლქის ბერენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკიში მიაგნო.

თამაზ ტყემალაძის ცნობით, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ სურვილია, რომ მირზა გელოვანის ცხედარი ბელარუსიდან საქართველოში 9 მაისს ჩამოასვენონ. ჯერ უცნობია, სად დაკრძალავენ ნეშტს, თუმცა, ტყემალაძის ინფორმაციით, თიანეთელები მირზა გელოვანის თიანეთში დაკრძალვას ითხოვენ.

მირზა გელოვანი 1917 წლის 2 მარტს სოფელ ნაქალაქარში დაიბადა. მისი ლექსები 1935 წლიდან იბეჭდებოდა „ჩვენს თაობაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. აღიარება მოუტანეს ლექსებმა: „თუშის ქალი წყაროზე“, „ცხრაკარა“, „შავლეგო“, „მელოდე“, „მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“, „იჯექი წყნარად“, „მთვარე“, „შემოღამება საბადურზე“, „მახსოვს“, „ხრეშად დაცვივდა სიტყვები“; ასევე, აღსანიშნავია ბალადა „აონი“, პოემა „შავნაბადა“ და სხვ.

მირზა გელოვანი დაიღუპა 1944 წლის ივლისში.



# ბელგიის პოლიციამ ზღვაში ერთი ტონა კოკაინი იპოვა

**ბელგიის საზღვაო პოლიციამ ისტენდში, ზღვის სანაპიროზე, 50 მილიონი ევროს ღირებულების კოკაინი იპოვა. დიდი ზომის პაკეტებში შეფუთული ერთი ტონა კოკაინი ნავიდან ზღვაში იყო ჩაშვებული.**

ბელგიური მედიის ცნობით, ბოლო სამი თვის განმავლობაში მსგავსი მეთოდით კოკაინის გადატანის უკვე მესამე შემთხვევაა.

**„ქვეყანაში კოკაინის შემოსატანად ნარკომოვაჭრეები ახალ მეთოდს იყენებენ, ნარკოტიკები სამხრეთ ამერიკიდან იტვირთება კონტეინერების გადამზიდი ხომალდების ბორტზე, ტრანსპორტირების შემდეგ შეფუთულ ნარკოტიკებს, რომელიც წყალსი ტივტივებს, ნაპირიდან ახლოს ყრიან. შემდეგ კი ამ ნარკოტიკს ნარკომოვაჭრეები თევზებივით იჭერენ. მაგრამ ოსტენდეში ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ნარკომოვაჭრეებს წარმოედგინათ,“** — წერს ერთ-ერთი ბელგიური გამოცემა.

# მისურის შტატში მამაკაცმა 7 ადამიანი მოკლა და თავი მოიკლა

**ამერიკის მისურის შტატის შენონის ოლქში მამაკაცმა სერიული შეიარაღებული თავდასხმების შედეგად შვიდი ადამიანი მოკლა.** შტატის საგზაო პატრულის წარმომადგენლის განცხადებით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ 36 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა. მოკლული ადამიანების ცხედრები ოთხ სახლში აღმოაჩინეს. ერთი ადამიანი კი დაჭრილია. პოლიცია მოკლულთა ვინაობას ამ ეტაპზე არ ასაჯაროებს.



დემოკრატიის ნიღბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-მა ნიღაბი ჩამოიხსნა და ღიად დაუპირისპირდა მსოფლიოში ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას. გავლენა ახლო აღმოსავლეთზე, ამერიკას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს ნავთობის რესურსი, აგრეთვე, ამ რეგიონის სატრანსპორტო დერეფნები. მაგრამ მთავარი მიზანი ცენტრალური აზიის სახელმწიფოების, უწინარესად, ჩინეთის გავლენის შესუსტებაა. ტაილანდი შევიდა ჩამონათვალში აზია-წყნარი ოკეანის იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ამერიკული სამხედრო ბაზები განლაგდება. პენტაგონის თვალთახედვის არეში მოექცა ტაილანდის სამხედრო-საზღვაო ძალების აეროდრომი უტაპაო. ამ ბაზას აშშ 1970-იან წლების დასაწყისში იყენებდა ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის დასაბომბად“.**

ბევრი მკვლევარი და ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომელთაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურულ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს. აი, რა განაცხადა ამ საკითხზე ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.** ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მის მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომლებსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი. მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ **ეგვიპტე, ტუნისი, იემენი,** სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

**ბოლო ათწლეულებში ამერიკა მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.**

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“.

**ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ამ შეფასებას ეხმაურება ციკლი წერილებისა სათაურით — „გენოციდის შეერთებული შტატები“, რომელსაც გთავაზობთ.**

# გენოციდის შეერთებული შტატები

## წერილი მეოთხე




**ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დაარღვია უამრავი კანონი, გააყალბა უამრავი არჩევნები, დააფინანსა უამრავი დიქტატორი, მოკლა და აწამა უამრავი უდანაშაულო ადამიანი. ამ „საагენტოს“ ისტორია სისხლითაა დაწერილი**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5-7 (287-289)

### ტაილანდი. 1957 წ. სამხედრო გადატრიალება

1948 წლის 8 აპრილს სამხედროებმა კუანგა აბჰაივონგის მთავრობა დაამხეს. ჩამოყალიბდა ახალი მინისტრთა კაბინეტი ნაცისტი პიბუნსონგრამის მეთაურობით. **პიბუნსონგრამის რეჟიმის მთავარი იდეოლოგი კი იყო კულტურის მინისტრი (მანამდე საგარეო საქმეთა მინისტრი) ვიჩიტ ვიჩიტვათხაკანი — მწერალი და ბენიტო მუსოლინის თაყვანისმცემელი, რომელსაც ტაილანდში ბრიტანეთის ელჩმა „ჯიბის გებელსი“ უწოდა.**

1940-იანი წლების დასაწყისში ტაილანდის კულტურული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფოებრიობის მისტიფიკაცია, პოპულიზმი და რევანშისტული განწყობა (კერძოდ, მოთხოვნა „ძირძველი ტაილანდური“ ტერიტორიების — ბირმისა და კამბოჯის — გათავისუფლების შესახებ. ეს ტერიტორიები XX საუკუნეში დაიპყრეს საფრანგეთმა და ბრიტანეთმა და კოლონიებად აქციეს).

პიბუნსონგრამის მთავრობის გადაწყვეტილებებით, მოსწავლეებისთვის გამოსცეს რუკები, რომლებზეც ბირმისა და კამბოჯის ტერიტორიები ტაილანდის სახელმწიფოს კუთვნილება იყო.

პიბუნსონგრამი თავიდანვე პროამერიკულ საგარეო კურსსა და ავტორიტარულ საშინაო პოლიტიკას ახორციელებდა. 1950 წელს ტაილანდმა ხელი მოაწერა აშშ-თან სამოკავშირეო ხელშეკრულებას და აკრძალა ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან, იმავე წელს აიკრძალა პოლიტიკური პარტიები. 1954 წელს ტაილანდი ანტიკომუნისტურ ბლოკში (სეატო) შევიდა. ამ ორგანიზაციის სხვა წევრები იყვნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფილიპინები.

დასავლეთი პიბენგსონგრამისთვის სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას არ იშურებდა. 1951-57 წლებში აშშ-მა ტაილანდს 371 მლნ დოლარი გამოუყო.

1955 წელს კი პიბუნსონგრამის მთავრობამ კურსი შეცვალა და პოლიტიკის დემოკრატიზაციასა და სოციალიზაციას შეეცადა. ამნისტიის საფუძველზე საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები; დაუშვეს პოლიტიკური პარტიების შექმნა, მიიღეს კანონები, რომლებმაც მშრომელთა მდგომარეობა გააუმჯობესა; ჩამოყალიბდა პროფკავშირები, დაწესდა 48-საათიანი სამუშაო კვირა და სხვ.

1957 წლის თებერვალში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც პიბუნსონგრამის პარტია „სერი მანანგასილამ“ გაიმარჯვა, მაგრამ პრესამ პიბუნსონგრამი არჩევნების ფალსიფიკაციაში დაადანაშაულა და დაიწყო სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები. აი, ამ ტალღაზე მოვიდა ხელისუფლების სათავეში ფელდმარშალი **სარიტ ტანარატი.**

### სახელმწიფო გადატრიალება

**1957 წლის სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალებაში მთავარი როლი ითამაშა ამერიკული იარაღითა და ეკიპირებით აღჭურვილმა ტაილანდის ჯარმა ფელდმარშალ სარიტ ტანარატის მეთაურობით. სწორედ მის კონტროლს დაექვემდებარა ტაილანდის მთავრობა, პიბუნსონგრამი კი ქვეყნიდან გაიქცა.**

**ამ „მოულოდნელ“ სამხედრო გადატრიალებაში აშშ უშუალოდ იყო ჩართული, ინვესტიციებითა და ადმინისტრაციული მხარდაჭერით.** გადატრიალების შემდეგ, 1958 წელს, სარიტ ტანარატი ტაილანდის პრემიერმინისტრი გახდა, დემოკრატიული რეფორმები კი გაჩერდა. **აიკრძალა პოლიტიკური პარტიები და საკანონმდებლო ორგანო; დააპატიმრეს გაზეთების რედაქტორები და პროფკავშირების ლიდერები, სტუდენტები, მასწავლებლები, რომლებიც კომუნისტებად გამოაცხადეს; გარდა ამისა, დააპატიმრეს ასობით ეთნიკური ჩინელი, დაიხურა 12 გაზეთი, შემოიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ,აიკრძალა ერთ ადგილას ხუთზე მეტი კაცის თავმოყრა.** ქვეყანაში სამხედრო რეჟიმი დამყარდა. ამის შემდეგ ტანარატმა დაიწყო „ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება“. **ამ განვითარების გეგმა შეიმუშავეს აშშ-მა და მსოფლიოს ბანკმა.**

სარიტ ტანარატმა ხელისუფლებაში მოიყვანა ლიბერალი ტექნოკრატები, რომლებმაც დაიწყეს ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ტანარატს ახასიათებდნენ, როგორც სასტიკ და დაუნდობელ პიროვნებას, რომელიც ალკოჰოლიზმისგან ვერაფრით განიკურნა.

1963 წელს, ტანარატის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთებმა გამოაქვეყნეს ინტერვიუ 100-ზე მეტ ქალთან, რომლებთანაც დიქტატორს სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა. გარდა ამისა, ტანარატს აღმოუჩინეს საიდუმლო ანგარიშები, რომლებზეც 20 მლნ დოლარი ერიცხებოდა, სულ კი მისი უძრავ-მოძრავი ქონება 140 მლნ დოლარად იყო შეფასებული.

აი, რას წერს ცნობილი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი **ტონი კარტალუჩი:**

„აშშ-მა ნიღაბი ჩამოიხსნა და ღიად დაუპირისპირდა მსოფლიოში ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას. გავლენა ახლო აღმოსავლეთზე ამერიკას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს ნავთობის რესურსი, აგრეთვე, ამ რეგიონის სატრანსპორტო დერეფნები, მაგრამ მთავარი მიზანი ცენტრალური აზიის სახელმწიფოების, უწინარესად, ჩინეთის გავლენის შესუსტებაა. ტაილანდი შევიდა ჩამონათვალში აზია-წყნარი ოკეანის იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ამერიკული სამხედრო ბაზები განლაგდება. პენტაგონის თვალთახედვის არეში მოექცა ტაილანდის სამხედრო-საზღვაო ძალების აეროდრომი უტაპაო. ამ ბაზას აშშ 1970-იან წლების დასაწყისში იყენებდა ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის დასაბომბად“.

### ლაოსი. 1958. „საიდუმლო ომი“. ამერიკული აფერისა და მცირერიცხოვანი დაუმარცხებელი ხალხის ისტორია „ამერიკული გესტაპო“

„ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაამართლა მისი შემქმნელის — აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის ცუდი წინათგრძნობა, რომელიც შიშობდა, რომ ეს უწყება შეიძლებოდა, „ამერიკულ გესტაპოდ“ გადაქცეულიყო. ის, უკვე დიდი ხანია, გესტაპოა, და მისი გამოსწორების იმედი არ არსებობს. ცსს-ს ისტორია — ეს არის ჩავარდნებისა და ფაშიზმის ისტორია, და ეს უწყება ეწინააღმდეგება დემოკრატიის სულისკვეთებას, ამიტომ უნდა დაიხუროს, დაიხუროს სამუდამოდ“, — წერდა 2010 წელს ადამიანის უფლებათა დამცველი და Chicago Daily News-ის რეპორტიორი შერვუდ როსი.

**„სამხედრო დანაშაულები, მათ შორის,** ▶

**„ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაამართლა მისი შემქმნელის, აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის ცუდი წინათგრძნობა, რომელიც შიშობდა, რომ ეს უწყება შეიძლებოდა „ამერიკულ გესტაპოდ“ გადაქცეულიყო. ის, უკვე დიდი ხანია, გესტაპოა და მისი გამოსწორების იმედი არ არსებობს. ცსს-ს ისტორია — ეს არის ჩავარდნებისა და ფაშიზმის ისტორია, და ეს უწყება ეწინააღმდეგება დემოკრატიის სულისკვეთებას, ამიტომ უნდა დაიხუროს, დაიხუროს სამუდამოდ“.**

# დემოკრატიის ნიღბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ წამებები, ადამიანების გაქრობა, პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო პირების მკვლელობები, მოტაცებები, დაბომბვები, გამდიდრებული ურანის, აგრეთვე, — თეთრფოსფორიანი და კასეტური ბომბების გამოყენება, უპილოტო საფრენი აპარატებიდან დარტყმები და სხვ. აშშ-ის 30-ზე მეტ ოფიციალურ პირს ბრალი ედება სამხედრო დანაშაულების ჩადენაში“,** — ამონარიდი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის — **ფრენსის ბოილის** გამოსვლიდან პუერტორიკოში გამართულ კონფერენციაზე.

## ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „ამერიკული წესრიგის“ დამყარების თაობაზე

### აშშ-ის მიზანი

— პატარა და ღარიბი ლაოსის დესტაბილიზაცია, ქვეყნისა, რომლის დიდი ნაწილი დაფარულია ჭაობებითა და ჯუნგლებით, რომლის მოსახლეობაც, ძირითადად, სოფლებში ცხოვრობს.

რისთვის?

პასუხი მოცემულია ამ მოვლენების მონაწილე **აშშ-ის ყოფილი საზღვაო ოფიცრის — უილიამ ლედერერის** წერილში (william J.Lederer A nation of sheep - Cricernich Conn.: Fawcett Publications, 1962):

**„ამჟამინდელი სახით ლაოსი ნაკლებსაინტერესო, მაგრამ სტრატეგიულად და პოლიტიკურად ნამდვილი საგანძურია — ის უზრუნველყოფს გასასვლელს 6 მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოსთან. ლაოსი — ეს არის დერეფანი ტაილანდამდე, სამხრეთ ვიეტნამამდე, მალაიზიამდე, ბირმასა და კამბოჯამდე მისაღწევად. ეს არის იმ ბუნებრივი შოსეს ჩრდილოეთი ბოლო, რომლითაც ჩინელი კომუნისტები ცდილობენ სამხრეთით გადაადგილებას — ინდონეზიამდე. ლაოსი არის გასაღები, რომლითაც წითელმა ჩინეთმა შეიძლება, გააღოს სამხრეთი აზიის უზარმაზარი ბრინჯის ველებისკენ, ნავთობსაბადოებისკენ, მინერალური სასუქებისკენ, იაფი მუშახელისკენ მიმავალი გზის კარი. თუ წითელი ჩინეთი ხელში ჩაიგდებს ლაოსის სამხრეთით მდებარე ამ მდიდარ ნახევარკუნძულს, დაიკავებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციას და დაემუქრება ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და ინდოეთს, ამით ის ჰაერს გადაუკეტავს იაპონიას და ამ ქვეყანას სოციალისტურ ბანაკში გადაათრევს“.**

აშშ-ის სამხედრო ჩარევას ლაოსის საშინაო საქმეებში „საიდუმლო ომი“ უწოდეს, რადგან სხვა ქვეყნებმა არაფერი იცოდნენ ლაოსში განვითარებულ მოვლენებზე...

რეაქციულმა ძალებმა ლაოსის მთავრობასა და პარლამენტში აშშ-ის, სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის არმიების ძლიერი მხარდაჭერა მიიღეს. **ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ყველაფერი გააკეთა ინდოჩინეთში ეთნიკური კოლნფლიქტების გასაღვივებლად და სამოქალაქო ომის დასაწყებად. „ამერიკული წესრიგის“ დასამყარებლად და გასაძლიერებლად ამერიკელებმა ინდოჩინეთში უზარმაზარი თანხები გაიღეს ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოების, შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და მედიასაშუალებების დასაფინანსებლად...**

1953 წელს საფრანგეთმა ლაოსთან ხელი მოაწერა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ყოფილი კოლონია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ ლაოსში მონარქიული წყობილება დამყარდა, ფრანგების წასვლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში ლიდერი იყო პატრიოტული ფრონტი პატეტ ლაო („ლაოს ქვეყანა“), რომელიც სსრკ-ის მხარდაჭერით სარგებლობდა, თუმცა ამერიკელები მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1950 წელს ლაოსში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რომელმაც მოგვიანებით ინტერნაციონალური ხასიათი მიიღო. 1951 წელს ლაოსის მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა აშშ-თან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, რომელმაც საშუალება მისცა ამერიკულ კაპიტალს, ლაოსის ეკონომიკაში შეეღწია. **ლაოსიდან საფრანგეთის წასვლამ ხელ-ფეხი გაუხსნა აშშ-ს, რომელმაც დაიწყო ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის საქმეებში ჩარევა. აშშ-ის მე-7 ფლოტი მიუახლოვდა ვიეტნამის სანაპიროებს.** 1955 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯონ ფოსტერ დალესი**, რომელმაც იმპერიალისტურ ძალებს ინდოჩინეთში ერთობლივი მოქმედებისკენ მოუწოდა, ლაოსში ჩავიდა...

1958 წელს ვიენტიანში (ლაოსის დედაქალაქი) განლაგდნენ ამერიკული სამხედრო მისიები, რომელთა ამოცანაც ლაოსში პროამერიკული ხელისუფლების მოყვანა იყო. სახდეპარტამენტმა, პენტაგონმა და ცსს-მ დაიწყეს გადამწყვეტი კონტრრევოლუციური მოქმედებების დაგეგმვა. **ლაოსის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევისთვის ვაშინგტონს სჭირდებოდა მისი ნების ისეთი შემსრულებელი, რომელიც „მილიონი სპილოს ქვეყანაში“ ფართოდ გაუღებდა კარს აშშ-ის ინტერესებს. ამერიკელებმა არჩევანი შეაჩერეს კონსერვატორ ფუი სანანიკონზე. ცსს-სა და პენტაგონის ძალისხმევით ლაოსის ხელისუფლების სათავეში მოვიდა მემარჯვენე ხელისუფლება. დაიწყო პატრიოტების რეპრესიები და ტერორი.**

**1959 წლის თებერვალში სანანიკონმა დახმარების თხოვნით მიმართა აშშ-ს და ლაოსში შეიქმნა ორგანიზაცია „დახმარების**



ჯონ ფორსტერ დალესი რუკაზე ლაოსს მიუთითებს

**ამერიკელების მიერ დანაღმულ ადგილებში დღესაც ფეთქდებიან ადამიანები. ბოლო 40 წლის განმავლობაში 11 ათასზე მეტი ლაოსელი დაიღუპა — ამერიკული აფერა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. დაბომბვებისგან განსაკუთრებით დაზარალდა ე. წ. ქვევრების ველი — უნიკალური არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსი, რომელიც საუკუნეებს ითვლიდა**



ლაოსში ახლაც ბევრია აუფეთქებელი ნაღმი

**სამსახური“, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა იარაღის შეტანა ქვეყანაში, გზების, აეროდრომების მშენებლობა, ჯარისკაცების გაწვრთნა, რომელსაც აშშ ინდოეთის ნახევარკუნძულზე გამოიყენებდა, აგრეთვე, ჯაშუშური ქსელის შექმნა. ლაოსი აშშ-ის სამხედრო ბაზად იქცა ინდოჩინეთში. 1961 წელს ზემოაღნიშნულ სამსახურს სახელწოდება გამოუცვალეს და სამხედრო ძლიერების „მრჩეველთა ჯგუფი“ დაარქვეს, მოგვიანებით კი ეს ორგანიზაცია აშშ-ის ოპერატიულ მისიად გადაკეთდა.**

1959 წელს ლაოსის მთავრობამ საჩივრით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს „ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან აგრესიის“ შესახებ და აშშ-მაც სწრაფად ითავა „ლაოსის დაცვა“, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კომისიამ ვიეტნამის მხრიდან აგრესიის მტკიცებულებები ვერ იპოვა.

1961 წლის 16 მაისს ჟენევაში დაიწყო მოლაპარაკებები ლაოსის საკითხზე. მონაწილეებმა — სსრკ-ის, აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის, ინდოეთის, პოლონეთის, კანადის, ლაოსის, კამბოჯის, ბირმის, ტაილანდისა და სამხრეთ ვიეტნამის წარმომადგენლებმა 1962 წლის 23 ივლისს მიიღეს დეკლარაცია ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ. დეკლარაციის მიხედვით, ლაოსი უნდა დაეტოვებინა უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთებს, აიკრძალა ამ ქვეყანაში იარაღის შეტანა.

სწორედ ამ პერიოდში პროამერიკული მთავრობის სამხედრო შენაერთები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ პატრიოტულ ძალებთან ბრძოლაში. აშშ-ის ელჩმა ლაოსში თავის ხელისუფლებას მემარჯვენე ძალების მძიმე მდგომარეობის შესახებ აცნობა.

აშშ-ის ცენტრალურმა სამმართველომ ფეხებზე დაიკიდა ჟენევის შეთანხმება და ლაოსის დაპყრობის ტაქტიკა შეცვალა — პატრიოტთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუყენა ლაოსის სამხედრო პოლიციის შეფი და ცსს-ს აგენტი გენერალი **სიხო.**

1963 წელს კი მოკლეს ლაოსის საგარეო საქმეთა მინისტრი და კიდევ რამდენიმე პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც აშშ-ის წინააღმდეგ იმაღლებდნენ ხმას.

## მეორე პერიოდი. „არასაიდუმლო ომი“ (1964-1973)

**1964 წლის 17 მაისს აშშ-მა უხეშად დაარღვია 1962 წლის ჟენევის ხელშეკრულება და ლაოსს ბომბების სეტყვა დააყარა (ეს მოხდა ვიეტნამზე თავდასხმამდე), ამასთანავე, აშშ მსოფლიოს არწმუნებდა, რომ ლაოსის საშინაო საქმეებში არ ერეოდა. საავიაციო თავდასხმები ლაოსზე 1973 წლამდე გაგრძელდა.** ამერიკის ავიაციის, სახმელეთო ჯარების, საზღვაო ფლოტის სამხედრო მოქმედებებმა ინდოჩინეთის ნახევარკუნძული მოიცვა — ტონკინის ყურედან სიამის ყურემდე. პრესაში გაჟონა ინფორმაციამ აშშ-ის საიდუმლო ოპერაციების თაობაზე კოდური სახელწოდებით: „ოქროს არწივი“; „სამკუთხედი“; „სიკორდი“; „დეპჩიფი“, გეგმა „404“ და სხვ. **აშშ-მა ვეღარ დამალა ლაოსის მიმართ ჩადენილი დანაშაულები და ცენტრალურმა სამმართველომ დაიწყო აგრესიის ლეგალიზება იმ საბაბით, რომ „აშშ-ის ავიაცია ლაოსს მხოლოდ ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების სიცოცხლის გადასარჩენად ბომბავდა, ლაოსს კი ჩრდილოეთ ვიეტნამელი კომუნისტების აგრესიისგან იცავდა“.**

1969 წლის ბოლოს ვაშინგტონი იძულებული შეიქნა, ელიარებინა, რომ „აშშ-ს ლაოსში მხოლოდ რამდენიმე მრჩეველი ჰყავდა და ხელისუფლებამ ნებართვა გასცა, ლაოსი დაებომბათ მხოლოდ დიდი სიმაღლიდან“.

გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა აშშ-ის მთავრობის განცხადება, რომელშიც პირველად აღიარეს ლაოსის დაბომბვა, აგრეთვე, ის, რომ ამ ქვეყანაში იმყოფებოდა 1040 ამერიკელი“. **გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნელი“ კი წერდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ლაოსში იყენებდა არა მხოლოდ ამერიკულ სამხედროებს, არამედ უცხოელ დაქირავებულებსაც და ეს ომი აშშ-ს ყოველწლიურად 250 მლნ დოლარი უჯდებოდა.**

1965-დან 1973 წლებში ამერიკელებმა ლაოსში 270 მლნ-ზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს. კომუნიზმის შეჩერების საბაბით კი ლაოსის მეზობელ ვიეტნამში ომი გააჩაღეს.

## აშშ-ის „საიდუმლო ომის“ შედეგები

1973 წლის 27 იანვარს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რომელმაც ბოლო მოუღო ომს ლაოსში. იმავე წელს ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა პატრიოტული ძალა. 1975 წელს გამოცხადდა ლაოსის დემოკრატიული რესპუბლიკა. **ამერიკელებმა ვერ შეძლეს ლაოსის დამორჩილება.**

თუმცა ინდოჩინეთის ომის ექოს გამოძახილი დღესაც ისმის: **ამერიკელების მიერ დანაღმულ ადგილებში დღესაც ფეთქდებიან ადამიანები. ბოლო 40 წლის განმავლობაში 11 ათასზე მეტი ლაოსელი დაიღუპა — ამერიკული აფერა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. დაბომბვებისგან განსაკუთრებით დაზარალდა ე. წ. ქვევრების ველი — უნიკალური არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსი, რომელიც საუკუნეებს ითვლიდა.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1969-დან 1972 წლამდე ნასა „აპოლონის“ ასტრონავტებს უშვებდა ექვს წერტილში და მეცნიერებმა მოახერხეს მათ მიერ შეგროვილი 2400-მდე გეოლოგიური ნიმუშის გაანალიზება. გარდა ამისა, მთვარეს იკვლევდნენ მთვარის ორბიტიდანაც დისტანციური მოწყობილობების საშუალებით.**

# მთვარესა და ასტეროიდებს სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებენ

**1983 წლის 23 მარტის საღამოს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს ოვალური კაბინეტიდან მიმართა. მოიმიზეზა რა საბჭოთა კავშირის მხრიდან აგრესიული ქმედებები, მან მხარი დაუჭირა აშშ-ის სამხედრო ხარჯების გაზრდას და შეიარაღებაში ახალი რაკეტებისა და ბომბდამშენების დამატებას.**

ამის შემდეგ მან ამერიკის სტრატეგიულ დოქტრინაში რევოლუციის მოწყობის მოწოდება გააკეთა: „ნება მომეცით, მომავლის ჩემეული ხედვა გაგიზიაროთ... რა მოხდება, თუ თავისუფალი ხალხები შეძლებენ მშვიდად ცხოვრებას და დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათი უსაფრთხოება დაფუძნებულია არა აშშ-ის მხრიდან მომენტალური საპასუხო დარტყმის მუქარაზე, რომელიც აკავებს საბჭოთა თავდასხმას, არა იმაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია, გავანადგუროთ სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტები მანამ, ვიდრე ისინი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოკავშირეების ტერიტორიამდე მიაღწევენ? ვიცი, რომ ეს უკიდურესად რთული ტექნიკური ამოცანაა, რომლის შესრულებაც, სავარაუდოდ, ამ ასწლეულის დასასრულამდე ვერ მოხერხდება... მოვუწოდებ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებას, რომელმაც ბირთვული იარაღი მოგვცა, თავისი უდიდესი ტალანტები მიმართოს კაცობრიობის კეთილდღეობისკენ და მსოფლიოში მშვიდობისკენ და მოგვცეს საშუალებები, რომლებიც ამგვარ იარაღს უძლურად და მოძველებულად აქცევს“.

ასე დაიბადა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა, რომელიც დიდწილად ცნობილია კინემატოგრაფიული სახელწოდებით „ვარსკვლავური ომები“. ამ ინიციატივის დაგეგმვის მრავალი ასპექტი კი ნაკლებად ცნობილია.

რეიგანის ადმინისტრაციამ ჯეიმს ფლეტჩერს, რომელიც 1972-1977 წლებში პრეზიდენტების — ნიქსონისა და ფორდის პერიოდში სათავეში ედგა ნასას, დაავალა, სათავეში ჩასდგომოდა სპეციალურ სამუშაო ჯგუფს. ამ ჯგუფს უნდა შეემუშავებინა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის შექმნის წინადადებები და ჩაეტარებინა შესაბამისი ექსპერიმენტები. ფლეტჩერმა სანდიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის კოსმოსურ ინსტიტუტს (Calspace) დაავალა, ჩაეტარებინა სემინარი და განეხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია მთვარისა და ასტეროიდების რესურსების გამოყენება რეიგანის კონცეფციის რეალიზებაში. სემინარი სახელწოდებით „დედამიწის ახლომდებარე რესურსების სამხედრო გამოყენება“ ჩატარდა 1983 წლის 15-17 აგვისტოს კალიფორნიის შტატის ლა-ხოიეში.

გარემოება, რომ ფლეტჩერმა ზემოხსენებულ ინსტიტუტს დაავალა, დახმარებოდა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის შესახებ ანგარიშის მომზადებაში, განსაკუთრებულ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. 1977 წლის თებერვალში კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორმა ჯეიმს არნოლდმა ნასას დირექტორთან — ფლეტჩერთან საუბრისას აღნიშნა, რომ კოსმოსურმა უწყებამ საკუთარი ძალისხმევის კონცენტრირება უნდა მოახდინოს დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური რესურსების ექსპლოატაციაზე. ამის შემდეგ მან საკუთარი მოსაზრებები დეტალურად ჩამოაყალიბა ორგვერდიან წერილში, რომელიც იმავე ფლეტჩერს გაუგზავნა. სამი წლის შემდეგ არნოლდი იმ კოსმოსური ინსტიტუტის პირველი დირექტორი გახდა, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყველანაირად ხელისშემწყობი კალიფორნიელი გუბერნატორის — ჯერი ბრაუნის ენთუზიაზმის წყალობით მოევლინა ქვეყანას.

პლანეტოლოგი სტიუარტ ნოზეტი, რომელიც 1983-1984 წლებში არნოლდთან მოადგილედ მუშაობდა, ლა-ხოიეს სემინარის ორგანიზატორი გახდა. ამ სემინარმა ერთად შეკრიბა ავიაკოსმოსური კომპანიების, ნაციონალური ლაბორატორიების, ნასას ცენტრების, თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო-ანალიტიკური ცენტრების 36 ყველაზე გამოჩენილი და სახელგანთქმული მეცნიერი და ინჟინერი. მათ დაიწყეს საკუთარი იდეების შეთავაზება მთვარისა და ასტეროიდების რესურსების გამოყენებაზე სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში. ნოზეტმა ასევე მოამზადა და რედაქტირება გაუკეთა ანგარიშს, რომელიც სემინარის მუშაობის შედეგებს აღწერდა. არნოლდმა ეს ანგარიში 1983 წლის 18 აგვისტოს წარუდგინა ფლეტჩერს. აღნიშნული დოკუმენტის გადამუშავებული ვერსია მზად იყო 1983 წლის 31 ოქტომბერს და ყველაფერი ქვემოთქმულიც სწორედ დოკუმენტის ამ ვერსიაზე იქნება დაფუძნებული.




**სემინარის მონაწილეებმა პირველ ადგილზე დააყენეს «მთვარის პოლარული ორბიტული აპარატი», რომელსაც ორივე პოლუსზე უნდა გადაევლო. მთვარე ისე ბრუნავს, რომ ორი კვირის განმავლობაში ეს კოსმოსური აპარატი თავისი მოწყობილობების დახმარებით შეძლებდა მისი სრული ზედაპირის შესწავლას**

**1970-იანი წლების ბოლოს ნასაც, ავიაკოსმოსური კომპანიებიცა და უნივერსიტეტებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ და უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავდნენ იმ მსხვილი კონსტრუქციების შექმნას, რომელთაც კოსმოსში ააწყობდნენ. საუბარია ისეთ კონსტრუქციებზე, როგორიცაა, მაგალითად, მზის ენერგიაზე მომუშავე თანამგზავრები. ზოგიერთ გეგმაში გათვალისწინებული იყო კოსმოსური რესურსების გამოყენებაც.** ანგარიშის თანმხლებ წერილში ნოზეტი განმარტავდა, რომ მართალია, ეს კვლევები ჩატარდა ძალისხმევის განსაკუთრებული კონცენტრაციისა და მეორეხარისხოვან დონეზე, მათ მაინც ჩაუყარეს საფუძველი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამის ფარგლებში მთვარისა და ასტეროიდების რესურსების გამოყენებას. მან აღნიშნა, რომ ლა-ხოიეს სემინარი იქცა პირველ ღონისძიებად, რომელზეც განხილულ იქნა 1970-იანი წლების კონცეფციის სამხედრო განსაზღვრებები.

აღნიშნული სემინარის ჩატარების დროს დედამიწის ახლომდებარე კოსმოსური რესურსების შესახებ ბევრი რამ არ იყო ცნობილი. მთვარის ხუთმა ორბიტულმა თანამგზავრმა გადაიღო ფოტოები, მაგრამ მათზე ასახული იყო მთვარის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაბალი ხარისხის კადრებზე. ზოგიერთი ტერიტორია კი უფრო მაღალი ხარისხით იქნა გადაღებული. ეს ძირითადად ის ტერიტორია იყო, რომელზეც „აპოლონის“ დასმა იგეგმებოდა. **1969-დან 1972 წლამდე ნასა „აპოლონის“ ასტრონავტებს უშვებდა ექვს წერტილში და მეცნიერებმა მოახერხეს მათ მიერ შეგროვილი 2400-მდე გეოლოგიური ნიმუშის გაანალიზება. გარდა ამისა, მთვარეს იკვლევდნენ მთვარის ორბიტიდანაც დისტანციური მოწყობილობების საშუალებით.** ამრიგად, მიღებულ იქნა დაბალი გაფართოების მქონე მონაცემები მთვარის ზედაპირის 10%-ის შესახებ.

მეცნიერები 1961 წლიდან აწყობდნენ ჰიპოთეზებს იმის შესახებ, რომ მთვარის პოლუსების ჩრდილში ჩაფლულ კრატერებში შეიძლებოდა, ყინული ყოფილიყო, ყინული, რომელიც მთვარისა და კომეტების შეჯახებების შედეგად გაჩნდა. მაგრამ მთვარის პოლუსები გამოუკვლეველი რჩებოდა, რადგან ეკვადორიდან შორს მდებარეობდა, „აპოლონის“ მთვარის მოდულების დასმა კი ეკვადორის სიახლოვეს ხერხდებოდა.

1983 წელს ცნობილი იყო დედამიწის ახლომდებარე მხოლოდ 75 ასტეროიდის ორბიტული ტრაექტორია. 1970-იანების დასასრულისა და 1980-იანების დასაწყისის აღმოჩენების ტალღამ შესაძლებელი გახადა საუბარი იმაზე, რომ დედამიწის ახლომდებარე მსხვილი ასტეროიდების რაოდენობა მრავალ ათასს შეიძლება აღწევდეს და მათი დაახლოებით 20%-ის შესწავლა შესაძლებელია კოსმოსური აპარატების დახმარებით (წლების განმავლობაში ეს მიახლოებითი მაჩვენებლები გადაიხედა და შემცირდა). **არსებობდა ვარაუდი (და ეს ვარაუდი გამართლდა), რომ დედამიწის შორიახლო შეგროვილი მეტეორიტები დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდებიდან მოფრინდნენ, თუმცა გაურკვეველი იყო, კონკრეტულად რომელი ასტეროიდებიდან.**

ლა-ხოიაში მუშაობის ანგარიშში გაისმა მოწოდება იმ კვლევითი სამუშაოების გააქტიურების შესახებ, რომლებიც პირველ ნაბიჯად უნდა იქცეს დედამიწის ახლომდებარე რესურსების გამოყენების საქმეში. სიაში „პროექტები, რომლებიც შეიძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს“, **სემინარის მონაწილეებმა პირველ ადგილზე დააყენეს „მთვარის პოლარული ორბიტული აპარატი“, რომელსაც ორივე პოლუსზე უნდა გადაევლო. მთვარე ისე ბრუნავს, რომ ორი კვირის განმავლობაში ეს კოსმოსური აპარატი თავისი მოწყობილობების დახმარებით შეძლებდა მისი სრული ზედაპირის შესწავლას.**

გარდა ამისა, სემინარის მუშაობის შედეგების ამსახველ ანგარიშში გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ საჭიროა ძალისხმევის რადიკალური აქტივიზება დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდების აღმოჩენისა და პირველადი ანალიზის მიმართულებით. იქ აღნიშნული იყო, რომ კოსმოსური აპარატებისთვის ხელმისაწვდომი საკვლევი ასტეროიდებიდან „ყველაზე იმედის მომცემი ობიექტები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის“. ამის შემდეგ ანგარიშში მოდიოდა ნასას მიმართ მოწოდება, განეხორციელებინა დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდებზე არაპილოტირებული გაფრენების სერია.

1983 წელს ნასას პილოტირებული გაფრენების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კოსმოსური მფრინავი აპარატის —

მოკლედ



## ისლამური სახელმწიფოს ჯალათის ფოტო გამოქვეყნდა

**ბრიტანული ტელეარხი Sky News პირველად აქვეყნებს ისლამური სახელმწიფოს ჯალათის — ჯიჰად ჯონის ფოტოს. ჯიჰად ჯონის ნამდვილი სახელია მუჰამედ ემვაზი.** ის ქუვეითში დაიბადა, შეძლებულ ოჯახში იზრდებოდა და ბრიტანეთის უნივერსიტეტში კომპიუტერულ პროგრამირებას სწავლობდა. ემვაზი ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში 2012 წელს შეუერთდა. „ისლამური სახელმწიფოს“ ვიდეოებში კარგად ჩანს 27 წლის მუჰამედ ემვაზი როგორ ჰკვეთს თავს ტყვეებს. როგორც ცნობილია, სწორედ მან მოჰკვეთა თავი ამერიკელ ჟურნალისტებს — ჯეიმს ფოლეის, სტივენ სოტლოფს, ბრიტანელ მოქალაქე დევი ჰეინსს, ტაქსის მძღოლ ალან ჰენინგსა და ამერიკელ აბდულ-რამან კასიგს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაგრამ ნოზეტი, რომელსაც 1989-დან 2006 წლამდე გასაიდუმლოებულ მასალებთან დაშვების უმაღლესი ხარისხი ჰქონდა, მალე იუსტიციის სამინისტროს მხრიდან გამოძიების ობიექტად იქცა. მას ბრალს სდებდნენ ნასას სახსრების უკანონოდ მითვისებასა და გადასახადებისათვის თავის არიდებაში. ამის შემდეგ ნოზეტს ჯაშუშობაში დასდეს ბრალი.**

„შატლის“ ნაკლოვანებების აღმოჩენას. მიუხედავად განხორციელებული გაფრენების მინიმალური რაოდენობისა („შატლის“ რვა გაფრენა შედგა ლა-ხოიეს სემინარსა და ფლეტჩერის მიერ ანგარიშის დაწერის შუალედში), დაგეგმილი მისიების რაოდენობა შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. **კოსმოსური დარგის მრავალი წარმომადგენელი იმედოვნებდა, რომ პრეზიდენტი რეიგანი მალე დათანხმდებოდა ნასას კოსმოსური სადგურის შექმნას, ამ სადგურს გაიყვანდნენ კოსმოსში ცალკეული ნაწილების სახით და დედამიწის ახლომდებარე დაბალ ორბიტაზე ააწყობდნენ.** ისინი ვარაუდობდნენ, რომ სადგურზე მუდმივად ბაზირებული იქნებოდა დამხმარე კოსმოსური ხომალდები, მათ შორის ორბიტული სატრანსპორტო აპარატები, რომლებიც შეძლებდნენ „შატლებისა“ და სადგურის ორბიტების საზღვრებს მიღმა გასვლას.

ლა-ხოიას სემინარის მონაწილენი ამგვარ ორბიტალურ სატრანსპორტო აპარატებში მთვარესა და დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდებზე პილოტირებული გაფრენებისთვის და იქ გეოლოგიური დაზვერვისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის დიდ პოტენციალს ხედავდნენ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საკვანძო ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებელს გახდის ამგვარ გაფრენებს, იქნება მრავალჯერადი გამოყენების სითბური დაცვა, რაც ორბიტალურ სატრანსპორტო აპარატებს საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინათ დედამიწის ატმოსფერო დამუხრუჭებისთვის და დედამიწის ახლომდებარე დაბალ ორბიტაზე გასვლისთვის. ანგარიში რეკომენდაციას უწევდა მთვარის ბაზის ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლების შემუშავებას, ასევე იმ კვლევების ჩატარებას, რომლებიც მიმართული იქნებოდა მთვარესა და დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდების ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავებისკენ.

სემინარის მონაწილეებმა წამოაყენეს ათზე მეტი წინადადება სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ინტერესებში მთვარისა და ასტეროიდების რესურსების გამოყენების მიმართულებით. ქვემოთ მოყვანილია სამი მნიშვნელოვანი მიმართულების აღწერილობა მთვარისა და ასტეროიდების გამოყენების თვალსაზრისით.

სემინარის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ რესურსების მასშტაბური დაზვერვა, მოპოვება და გადამუშავება შესაძლებელს გახდის მთვარის ალუმინისა და ასტეროიდების რკინისგან „ჯავშნის“ წარმოების, დედამიწიდან გაგზავნილი მომცრო მეტალური დანამატებით ალუმინ-რკინის შენადნობების კოსმოსური ფაბრიკების შექმნას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ დედამიწიდან გაშვებული სამხედრო-კოსმოსური სიტემები მინიმალური წონისა უნდა იყოს, რათა შემცირდეს გაშვების ხარჯები, ამიტომ, თავდასხმის შემთხვევაში, ამგვარი სისტემები დაუცველი აღმოჩნდებოდა.

„მეორე მხრივ, — აღნიშნულია ანგარიშში, — **თუ დედამიწის ახლომდებარე ორბიტაზე მოხერხდება სამშენებლო მასალების შედარებით არაძვირადღირებული პარტიის (ერთი კილოგრამის ღირებულება 500-1000 დოლარი) გაგზავნა, შესაძლებელი გახდება სამხედრო სისტემების სულ სხვაგვარად დაპროექტება. ისინი დიდ შესაძლებლობებს შეიძენენ და უფრო სიცოცხლისუნარიანები გახდებიან“.** ფენოვანი ჯავშან-დაცვა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის 20 კვადრატული მეტრის ჯვარედინი კვეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის დაახლოებით 400 მეტრული ტონის წონისა იქნება. ამრიგად, ამგვარი ტიპის 100 პლატფორმისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 40 000 მეტრული ტონა ჯავშანი.

ფენოვანი ლითონის ჯავშანი აღკვეთავდა კინეტიკური იარაღით თავდასხმებს (იგულისხმება სისტემები, რომლებიც ცეცხლს მყარი ჭურვებით უშენენ). სხივური იარაღისგან და ბირთვული აფეთქებებისგან თავდაცვისთვის კი საჭირო გახდება რადიაციული ჯავშანი. სუსტი ელექტრონული სისტემების დასაცავად ნეიტრონებისგან სემინარის მონაწილეებმა ასტეროიდებისა და მთვარის პოლუსების წყლის გამოყენების წინადადება წამოაყენეს, რა თქმა უნდა, თუ იქ წყალი ნამდვილად აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, წყლის გამოყენება შეიძლება სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლადაც, ასევე წყალბადად და ჟანგბადად დასაშლელად და სარაკეტო საწვავად გამოსაყენებლად.

ჯავშნის შემდეგ კოსმოსური რესურსების გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო არის ის, რასაც ანგარიშში „სტაბილიზირებული ინერცია“ უწოდეს. მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პლატფორმამ, შესაძლოა, დაიწყოს არაკონტროლირებადი მოძრაობა, თუნდაც ჯავშანმა დაიცვას ის დაზიანებისგან. მაგრამ, თუ ამგვარ პლატფორმას ასტეროიდის ნამტვრევზე განათავსებდნენ, ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა მის მასას, შესაბამისად, ორბიტიდან მისი გადანაცვლება გაცილებით რთული გახდება.

გამოყენების მესამე სფერო სითბოს შთანთქმაა. სემინარის მონაწილენი მივიდნენ დასკვნამდე, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, ისევე, როგორც რაკეტების გამანადგურებელი ლაზერული იარაღი, რომელიც მოქმედებაში ბირთვული აფეთქებების შედეგად მოდის, ძალიან სწრაფად გამოიმუშავებენ ჭარბ სითბურ ენერგიას. თუ ამ სითბურ ენერგიას არ გამოიყენებენ რამეში, ის ადვილად გაანადგურებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. თბოშთანთმქმელის სახით იგეგმებოდა ლითონის უზარმაზარი ნაჭრის ან წყლის ავზის გამოყენება.

ფლეტჩერის სამუშაო ჯგუფმა თავისი ანგარიში თეთრ სახლში 1983 წლის 4 ნოემბერს შვიდ ტომად მიიტანა. მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ ანგარიშის დიდი ნაწილი კვლავაც გასაიდუმლოებულია, ამიტომაც გაუგებარი რჩება, თუ რამდენად მოახდინა გავლენა მის დასკვნებზე ლა-ხოიას სემინარმა.




**გავიდა XXI საუკუნის 15 წელი, სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა კი კვლავაც ვერ შეესაბამება რეიგანისეულ ხედვას. მნიშვნელოვანწილად ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც მან „ბოროტების იმპერია“ უწოდა, 1991 წელს დაიშალა.** ნაცვლად იმისა, რომ შეექმნათ საბჭოთა ბირთვული თავდასხმისგან თავდასაცავი მასშტაბური რაკეტსაწინააღმდეგო ფარი, სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა „აპოლონის“ შემდეგ კოსმოსური ტექნოლოგიების შემუშავების ყველაზე მნიშვნელოვან პოლიგონად იქცა. პროგრამა Discovery, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მთვარესა და სხვა პლანეტებზე შედარებით იაფფასიანი და შედარებით რეგულარული გაფრენები, ასევე 1996-2008 წლებში მარსზე განხორციელებული გაფრენები, ვერ იარსებებდა იმ ტექნოლოგიების გარეშე, რომლებიც შემუშავებულ იქნა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში.

**ზონდი „კლემენტინა“ მთვარის პოლარულ ორბიტაზე 1994 წლის 19 თებერვალს გავიდა და ორი თვის განმავლობაში მთვარის თითქმის მთლიანი ზედაპირი შეისწავლა. ნასას შორეული კოსმოსური კავშირების ქსელთან ერთად ამ აპარატმა მუდმივად ჩრდილში მყოფი მთვარის პოლუსების კრატერებში ყინულის ძებნა დაიწყო**



**1994 წლის 5 მაისს «კლემენტინა» გავიდა მთვარის ორბიტიდან და გაემართა დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდისკენ სახელწოდებით «გეოგრაფოს»**

ამ მისიებს შორის პირველი იყო პროექტი Clementine, რომელიც განხორციელდა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამის (მოგვიანებით მას სახელი გადაარქვეს და უწოდეს ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვის შექმნის ორგანიზცია), აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების, ლოურენსის სახელობის ნაციონალური ლაბორატორიის, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ნასას სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ერთობლივი ძალისხმევით. პროექტს სათავეში ედგა სემინარის „დედამიწის ახლომდებარე რესურსების სამხედრო გამოყენება“ ორგანიზატორი სტიუარტ ნოზეტი. 1994 წლის 25 იანვარს კოსმოსური აპარატი „კლემენტინა“ კოსმოსში გაყვანილ იქნა პროფილშეცვლილი რაკეტით „ტიტანი-2“ ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან. ძირითადად, ეს სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ტექნოლოგიის დემონსტრაცია იყო, მაგრამ ამასთანავე „კლემენტინა“ იქცა პირველ კვლევით აპარატად, რომელმაც მთვარემდე გაფრენა განახორციელა მას შემდეგ პირველად, რაც 1976 წლის აგვისტოში იქიდან ნიმუშებით დაბრუნდა საბჭოთა ზონდი „მთვარე-24“. ასევე ის იყო პირველი ამერიკული აპარატი „აპოლონ-17“-ის გაფრენის, ანუ 1972 წლის დეკემბრის შემდეგ.

**ზონდი „კლემენტინა“ მთვარის პოლარულ ორბიტაზე 1994 წლის 19 თებერვალს გავიდა და ორი თვის განმავლობაში მთვარის თითქმის მთლიანი ზედაპირი შეისწავლა. ნასას შორეული კოსმოსური კავშირების ქსელთან ერთად ამ აპარატმა მუდმივად ჩრდილში მყოფი მთვარის პოლუსების კრატერებში ყინულის ძებნა დაიწყო.** შეგროვილი მონაცემების მიხედვით, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იქ ყინულის დიდი მარაგებია. როგორც კი ამ თემაზე განცხადება გაისმა, 1996 წლის 4 დეკემბერს თავდაცვის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საკითხი უმალ ეჭვქვეშ დააყენეს. მაგრამ შემდგომი მისიები მთვარეზე (Lunar Prospector, Lunar Reconnaissance Orbiter, Chandrayaan-1, LCROSS) ადასტურებს, რომ მთვარის პოლუსებზე ასობით მილიონი ტონა წყლის ყინულია.

1994 წლის 5 მაისს „კლემენტინა“ გავიდა მთვარის ორბიტიდან და გაემართა დედამიწის ახლომდებარე ასტეროიდისკენ სახელწოდებით „გეოგრაფოს“. სამწუხაროდ, ფრენის მეორე დღეს სადგურზე კომპიუტერი გამოვიდა მწყობრიდან. საინტერესოა, რომ სწორედ ეს ასტეროიდი იყო ძირითადი მიზანი, რომლის მისაღწევადაც გაჩნდა „კლემენტინა“. ეს სახელწოდება მან მიიღო სიმღერიდან Oh, My Darling Clementine, რადგან „გეოგრაფოსის“ გვერდით ჩაფრენის შემდეგ ის უნდა „დაკარგულიყო და სამუდამოდ წასულიყო“. გაფრენის მთვარის ფაზა პროექტს მოგვიანებით დაამატეს.

სტიუარტ ნოზეტის ბედმა ამ ისტორიაში უცნაური პირუეტი შეასრულა. მას საყოველთაოდ აქებდნენ და ადიდებდნენ „კლემენტინას“ პროექტზე გაწეული სამუშაოსათვის. სხვა ყველაფერთან ერთად მან მიიღო ნასას მედალი „განსაკუთრებული მიღწევებისათვის“. 2006 წელს იგი წავიდა სახელმწიფო სამსახურიდან, რათა სათავეში ჩასდგომოდა კონკურენტული ტექნოლოგიების არაკომერციულ ალიანსს, რომელმაც დაფინანსება ნასასგან მიიღო.

**მაგრამ ნოზეტი, რომელსაც 1989-დან 2006 წლამდე გასაიდუმლოებულ მასალებთან დაშვების უმაღლესი ხარისხი ჰქონდა, მალე იუსტიციის სამინისტროს მხრიდან გამოძიების ობიექტად იქცა. მას ბრალს სდებდნენ ნასას სახსრების უკანონოდ მითვისებასა და გადასახადებისათვის თავის არიდებაში. ამის შემდეგ ნოზეტს ჯაშუშობაში დასდეს ბრალი**, რადგან შეეცადა, საიდუმლო ინფორმაცია მიეყიდა ისრაელის ჯაშუშად გადაცმული გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტისთვის. 2011 წელს მას ფედერალურ ციხეში 13-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**Wired Magazine**

მსოფლიო

## ათენში საპროტესტო აქცია შეტაკებებით დამთავრდა

**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მასობრივი ანტისამთავრობო აქციები აქციის წევრებსა და პოლიციას შორის შეტაკებაში გადაიზარდა.** აქცია საბერძნეთში ყველაზე მასშტაბური იყო მას შემდეგ, რაც დაახლოებით ერთი თვის წინათ არჩევნებში რადიკალურმა მემარცხენე პარტია „სირიზამ“ გაიმარჯვა. აქციის დაახლოებით 450-მა მონაწილემ პოლიციელებს და მათ მანქანებს მოლოტოვის კოქტეილები და ქვები დაუშინეს. მათ დააზიანეს მაღაზიების ვიტრინებიც. არეულობას წინ უძღვოდა გარიგება საბერძნეთსა და ევროზონას შორის, რომლის თანახმადაც, საბერძნეთს კიდევ ოთხი თვით ფინანსური დახმარება გაუგრძელდება. შეთანხმებით კმაყოფილია საბერძნეთი, მაგრამ მოსახლეობა ადანაშაულებს მთავრობას, რომ ვითარება კვლავ წინასაარჩევნო პერიოდს ემსგავსება. „სირიზა“ მმართველობაში იანვარში მოვიდა და ხალხის წინაშე მათი მთავარი დაპირება საგარეო ვალის გასტუმრება იყო.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მრავალი ამერიკელის სამწუხაროდ, მათმა ქვეყანამ ზედიზედ განიცადა მარცხი თავისზე ნაკლებთანამედროვე, ცუდად შეიარაღებულ და, პრაქტიკულად, დაფინანსების არმქონე მტერთან. შესაძლოა, ამერიკამ მოიგო რაღაც წვრილმანი შეტაკებები და ბრძოლები, მაგრამ არა მასშტაბური ომები.**

# რა სჭირს ამერიკის არმიას

**საომარი კონფლიქტების პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებმა გაიარა სამხედრო სამსახური. თუ ეს პრობლემაა, როგორი შეიძლება იყოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები?**

როდესაც სამხედრო ჟურნალისტი პირველად ჩავიდა ავღანეთში, რათა ჯელალაბადის რაიონში მდებარე „ალ ქაიდას“ საწვრთნელი ბაზების შესახებ მასალა მოემზადებინა, ადგილობრივმა მცხოვრებმა მას ტორა-ბორას მთისკენ მიუთითა და უთხრა: **„იქ, მთებში, უცხოელები დამკვიდრდნენ. ისინი ომისათვის ემზადებიან. თუ ჩვენ, ავღანელები, წავალთ იქ, დაგვხოცავენ. მაგრამ ეს ხომ ჩვენი ქვეყანაა. იქ რაღაც ავბედითი მზადდება“.**

ასეც მოხდა. ამ საუბრიდან ოცი წლის შემდეგ ეს ჟურნალისტი სამხედრო თემებზე აღარ მუშაობდა, მაგრამ კვლავაც დარდობდა ავღანეთზე. მან უარი განაცხადა ერაყის ომის მოვლენების გაშუქებაზე, რადგან ამ კამპანიის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ავღანეთი სულ სხვა საქმეა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზატორები იმალებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ აშშ-ს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო სისხლიან სამოქალაქო ომებში ჩაფლული ქვეყნისთვის.

ჯერ ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად მოახერხა აშშ-მა ავღანეთის შეცვლა, მაგრამ ავღანეთმა ნამდვილად შეცვალა ამერიკა და ამერიკელები. ამ სახიფათო ცვლილებებიდან ერთ-ერთი ისაა, რომ ამერიკულ საზოგადოებასა და არმიას შორის ახლა სერიოზული განხეთქილებაა. საზოგადოება ჩამოცილებულია გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, არმიას აქვს უზარმაზარი ბიუჯეტი, იარაღის მწარმოებლები მომგებიან კონტრაქტებს აფორმებენ.

შედეგად, კონგრესი ამტკიცებს სასაცილოდ ძვირ პროექტებს, დაახლოებით ისეთებს, როგორიც არის თვითმფრინავი „F-35“-ის პროექტი. ამგვარ პროექტებს ამერიკელებისთვის არანაირი უსაფრთხოება არ მოაქვთ, სამაგიეროდ, უზრუნველყოფენ შემოსავლებით კორპორაციებს. „F-35“-ის პროექტს მკაცრად აკრიტიკებენ, მაგრამ არანაკლებ შემაძრწუნებელია ის ფაქტი, რომ კორპორაციებმა ბანკების გადასარჩენად სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით ან რომელიღაც მილსადენის ასაშენებლად თანხების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ კონგრესმენებზე წარმოუდგენელი გავლენა მოიპოვეს. ბევრი კონგრესმენის ყიდვა კარგი სადილითა და ზურგზე ხელის მოთათუნებით შეიძლება და იარაღის მწარმოებლები კორუფციის ამ ფორმას ზუსტად ისევე მიმართავენ, როგორც სხვა ყველა.

ეს სისტემური პრობლემები ზიანს აყენებს ამერიკულ დემოკრატიას და ყველაფერში დამნაშვეა უამრავი მოქალაქის გამაოგნებელი გულგრილობა. ხშირად ამბობენ, რომ არმიაში ამერიკელების უკიდურესად მცირე ნაწილის მსახურების გამო მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არც კი იცის, რა ომებს აწარმოებს მათი ქვეყანა. უკანასკნელ წლებში როგორც ლიბერალები, ისე კონსერვატორები ყოველ ჯერზე იმეორებენ ერთსა და იმავე რიცხვს, თუმცა სხვადასხვა მიზეზით: **არმიაში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლები მსახურობს.**

თეორიის თანახმად, არმიაში უფრო მეტი მოქალაქე რომ მსახურობდეს, საზოგადოებრივი აზრი აშშ-ს არ მისცემდა საშუალებას, ასე იოლად იწყებდეს ომებს, თუმცა ნიუ იორკსა და ლიბერალურ პრესაში ამ პირობებშიც კი ჩატარდა ერაყის ომის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები. მიუხედავად ამ გამონაკლისისა, ვინაიდან ომის შედეგებთან უშუალოდ საქმე მოსახლეობის მხოლოდ უმცირეს ნაწილს აქვს, ამ შემთხვევაში არ მუშაობს ჩვეულებრივი დემოკრატიული უკუკავშირი.

თეორია კარგია და ის განაგრძობს არსებობას იმის მიუხედავადაც კი, რომ აბსოლუტურად მცდარია. მეორე მსოფლიო ომის წლებში არმიაში ამერიკელთა 10% მსახურობდა. ამ ლოგიკის მიხედვით, ქვეყანაში ცხარე ანტისაომარი მოძრაობა უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ ყველაფერი აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ მოხდა. როგორც პოლიტოლოგმა ადამ ბერინსკიმ დაწერა წიგნში „საომარი დრო: აშშ-ის საზოგადოებრივი აზრის გაგება მეორე მსოფლიო ომიდან ერაყის ომამდე“, მაშინ ამერიკელებს გამარჯვების მოპოვებამდე სურდათ ბრძოლა. როგორც მან აღნიშნა, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი „გელაპი“ გამოკითხვას ატარებდა 1944 წლის 31 დეკემბრიდან 1945 წლის 4 იანვრამდე. რესპონდენტებს ეკითხებოდნენ: „ახლა რომ ჰიტლერმა მშვიდობა შემოგვთავაზოს და დადოს პირობა, რომ გაათავისუფლებს ყველა მიტაცებულ ტერიტორიას, უნდა ვეძებოთ მშვიდობიანი გამოსავალი თუ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა გერმანული არმიის სრულ განადგურებამდე?“ 73-მა პროცენტმა ამ კითხვაზე უპასუხა, რომ აუცილებელი იყო უდავო კაპიტულაციამდე მისვლა.



**ბოლოდროინდელი ომების მომხრეებს შორის ძალიან ბევრია ჯარისკაცი და მათი ოჯახების წევრი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს საბრძოლო მოქმედებების სიმძიმე. უამრავი ვეტერანი ამბობს, რომ ენატრება ფრონტი**



**არმიაში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლები მსახურობს**

ნათელია, რომ არმიის ხვედრითი წილი არ მოქმედებს ომის პოპულარობასა და არაპოპულარობაზე. დასკვნა, რომლის თანახმადაც ომთან პირადი შეხება ადამიანს საბრძოლო მოქმედებების მოწინააღმდეგედ აქცევს, ასევე ვერ უძლებს კრიტიკას. პაციფისტური მოძრაობების აქტივისტებიდან ყველას თუ არა, დიდ უმრავლესობას მაინც ნამდვილად კავშირი არ აქვს არმიასთან. და, როგორც გამოცდილება აჩვენებს, **ბოლოდროინდელი ომების მომხრეებს შორის ძალიან ბევრია ჯარისკაცი და მათი ოჯახების წევრი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს საბრძოლო მოქმედებების სიმძიმე. უამრავი ვეტერანი ამბობს, რომ ენატრება ფრონტი.** ზოგიერთს გული დასწყდა ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გამო, ზოგმა კი ისიც დაიჩივლა, რომ მალე აღარ დარჩება ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ბრძოლა.

არანაკლებ სახიფათოა სწორ დასკვნამდე მისვლა არასწორი წინაპირობებიდან გამომდინარე. დავუშვათ, რომ ომისადმი საზოგადოების გულგრილობას ნამდვილად განაპირობებს მოსახლეობის მიზერული ნაწილის ჩართულობა არმიაში. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსახლეობას ომისადმი ინტერესი გაუღვივდეს, სამხედრო მოსამსახურეთა პროცენტული წილი უნდა გაიზარდოს. **უმალ ჩნდება ლოგიკური კითხვა — რამდენად უნდა გაიზარდოს: 5%-მდე? 10%-მდე? მართლა სჭირდება ამერიკას ხუთმილიონიანი არმია? მზად არიან ამერიკელები ამხელა ჯარის შესანახად?**

შესაძლოა, ადამიანები, რომლებიც სამხედროების არასაკმარის რაოდენობას უჩივიან, სინამდვილეში არმიაში სავალდებულო სამსახურის დაბრუნებას ცდილობენ. ნაციონალური სამსახური, მათ შორის სამხედრო სამსახურიც, საზოგადოების გაერთიანებისთვის კარგი ინსტრუმენტი იქნებოდა. მაგრამ ვიეტნამის ომის დროიდან ბევრს ახსოვს, რომ სავალდებულო გაწვევა საზოგადოებას აიძულებს, გამოვიდეს ომის წინააღმდეგ და საერთოდ არ დაუშვას ახალი კონფლიქტების წამოწყება. აქ უკვე სერიოზული ეთიკური დილემა დგება. **შეუძლიათ თუ არა ომის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანებს, მხარი დაუჭირონ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, რათა ამით მიაღწიონ იმ პოლიტიკურ მიზანს, რომელსაც ვერ მიაღწიეს პოლიტიკური საშუალებებით?** ვინაიდან აშშ დემოკრატიული სახელმწიფოა, ხალხი წყვეტს, საჭიროა თუ არა ომი და არა არმია. ამერიკელები ირჩევენ სამოქალაქო წარმომადგენლებს, რომლებიც მათი სახელით ამტკიცებენ ომის წამოწყებას და შემდეგ ამერიკელებივე იხდიან ამ ომების ხარჯებს. დაემუქრო ახალგაზრდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურით, რათა სწორი პოლიტიკის გასატარებლად არჩეულ საკუთარ მთავრობაზე მოახდინო ზეწოლა, მშვიდობისკენ მიმავალი ძალზე უცნაური და საეჭვო გზაა.

და კიდევ, — თუ არმიაში კონგრესმენების შვილებიც იმსახურებდნენ, კონგრესი გაცილებით იშვიათად გამოაცხადებდა ომებს. ამ განცხადების შემოწმება შეუძლებელია, მაგრამ აქედან რა გამოვიდოდა: უნდა დაწესდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური კონგრესმენების შვილებისთვის? მხოლოდ იმ კონგრესმენებს აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, რომელთა შვილებიც არმიაში მსახურობენ? ცხადია, სისულელეა. ეს, უბრალოდ, რიტორიკული ილეთია, რათა აჩვენონ განხეთქილება ომის დაწყების შესახებ გა- ▶

მოკლედ



## ბინ ლადენი რუსეთზე თავდასხმებს გეგმავდა

**„ალ-ქაიდა“ რუსეთში თავდასხმებს გეგმავდა. ამას ადასტურებს იმ სახლიდან ამოღებული დოკუმენტები, რომელშიც მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი 2011 წელს მოკლეს.** აღნიშნული დოკუმენტები ნიუ-იორკში ტერორიზმში ეჭვმიტანილი პალესტინელი აბიდ ნასირის სასამართლო პროცესზე განიხილეს. დოკუმენტურ მასალაში საუბარია ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ბრიტანეთში, დაგეგმილ თავდასხმებზეც. კერძოდ, ბინ ლადენისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ ევროპასა და რუსეთში „ალ ქაიდას“ ჯგუფის წევრები გაემგზავრნენ, რომელთა ნაწილიც მოგვიანებით დააკავეს. სწორედ მაშინ დააკავეს პაკისტანელი აბიდ ნასირიც, რომელსაც ბრალად ედება მანჩესტერსა და ნიუ-იორკის მეტროში თავდასხმების ორგანიზებაში მონაწილეობა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლამი ცოცხალი რწმენაა მაშინ, როდესაც აღიარებული ქრისტიანული ეკლესიები, ძირითადად, მკვდარია. იმამები ფიგურირებენ ახალ ამბებში, ყვებიან იმის თაობაზე, რაც სწამთ. ქრისტიანი ღვთისმეტყველები და პასტორები კი ასევე ფიგურირებენ ახალ ამბებში, ოღონდ ყვებიან იმის თაობაზე, რაც არ სწამთ ან რასაც ეჭვობენ.**

◀ დაწყვეტილებების მიმღებთა და უშუალოდ ომში მებრძოლთა შორის. მაგრამ ძალზე არაკეთილსინდისიერი საქციელია, პრობლემაზე მიანიშნებდე გაუთავებლად და თან მისი გადაწყვეტის ნებისმიერ გზას უარყოფდე.

1960-იან და 1970-იან წლებში საყოველთაო სამხედრო გაწვევამ მოსახლეობაში ნეგატიური დამოკიდებულება გააჩინა ვიეტნამის ომის მიმართ და ზეწოლა მოახდინა ხელისუფლებაზე, რის შედეგადაც ის იძულებული გახდა, გაეფორმებინა მშვიდობიანი შეთანხმება და გასულიყო კონფლიქტიდან. ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ გაწვევის აღდგენა იმავე ეფექტს განაპირობებს, თუმცა სხვები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ.

ამერიკის მიერ ბოლო პერიოდში წარმოებულ ომსა და ვიეტნამის ომს შორის უდიდესი განსხვავებაა და ეს განსხვავება ის არის, რომ 2001 წელს ამერიკის ტერიტორიას ისევე დაესხნენ თავს, როგორც მეორე მსოფლიო ომისას. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ არმიას მოხალისეთა ისეთი რაოდენობა მიაწყდა, რომ არანაირი გაწვევა აღარ იყო საჭირო. 1963 წელს ჩრდილოეთ ვიეტნამი აშშ-ს რომ დასხმოდა თავს, ვიეტნამელებს რომ ათასობით ამერიკელი მოეკლათ, არც მაშინ გახდებოდა საჭირო საყოველთაო გაწვევა, მაგრამ ვიეტნამს ეს არ ჩაუდენია, ამიტომაც აშშ-ის ხელისუფლება იძულებული იყო, როგორმე გაემართლებინა არაპოპულარული ომი, რომელიც არ ჰგავდა ავღანეთის ომს. უხეშად რომ ითქვას, **საყოველთაო სამხედრო სამსახურს არასდროს შეუშლია ხელი ამერიკისთვის, ჩართულიყო ომებში, მაგრამ, ამასთანავე, ამერიკის ტერიტორიაზე თავდასხმა აუცილებლად ომით სრულდებოდა.** ამ თვალსაზრისით, ავღანეთის ომი მეორე მსოფლიო ომს უფრო ჰგავს, ვიდრე ვიეტნამისას.

ფართოდაა გავცლებული აზრი, რომ აშშ-მა წააგო ყველა ომი, რომლებშიც კი ბოლო პერიოდში მიუღია მონაწილეობა. **მრავალი ამერიკელის სამწუხაროდ, მათმა ქვეყანამ ზედიზედ განიცადა მარცხი თავისზე ნაკლებთანამედროვე, ცუდად შეიარაღებულ და, პრაქტიკულად, დაფინანსების არმქონე მტერთან. შესაძლოა, ამერიკამ მოიგო რაღაც წვრილმანი შეტაკებები და ბრძოლები, მაგრამ არა მასშტაბური ომები.** ავღანეთის ომის საწინააღმდეგო ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტის თანახმად, აშშ-ს არ გააჩნია გამარჯვების გააზრებული განსაზღვრება. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ დამარცხების განსაზღვრებაც არ არსებობს. არ შეიძება წააგო შეჯიბრში, რომელსაც არ გააჩნია ფინიშის ხაზი.

**წააგო თუ არა ამერიკამ ტერორიზმის წინააღმდეგ ომი?** ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ არა ერთადერთი. **წააგო თუ არა ომი ამერიკამ ნარკოტიკების, სიღატაკის, დამნაშვეობის წინააღმდეგ?** არსებობს ომები, რომლებიც მუდმივად გრძელდება, რომლებიც ძვირი ჯდება, მაგრამ მათ გარეშეც არ შეიძლება, რადგან ეს ამორალური და სახიფათოა. **ამერიკელთა უმეტესობა დღეს მიიჩნევს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ომი არ ღირს მასზე დახარჯულ სახსრებად.** მიუხედავად პოლიტიკური განწყობებისა, ადამიანებს სურთ, თავიანთი ჯარისკაცები სახლებში დააბრუნონ.

ასეა თუ ისე, არ შეიძლება დრეკადი არგუმენტებისა და გადაუმოწმებელი პოსტულატების გამოყენება ომის შესახებ მსჯელობისას. ომი ძალზე სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ მას პოლიტიკური სიმპათიების პრიზმის გავლით უყურო. როგორც მეცნიერება და მართლმსაჯულება, ომიც ნეიტრალური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეურაცხყოფილი დარჩება ყველა სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებიც ამ კონფლიქტებში დაკარგა ამერიკამ.

**The Atlantic**



# ახალი რელიგიური გამოღვიძება დასავლეთისთვის ისლამური იქნება



**ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა პრეზიდენტმა, რომელმაც „ისლამურ სახელმწიფოს“ ისლამის გარყვნილება უწოდა. ვინ არის უფლებამოსილი, განსაჯოს, რა ისლამურია და რა არა? როგორია ამ უფლებამოსილების წყარო და როგორ აღიქვამენ მას?**

მიუხედავად იმისა, რომ ეს რთულია, დასავლეთში აღნიშნული საკითხი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან თვითონ დასავლეთი დღითიდღე ისლამური ხდება. უკანასკნელ ათწლედში ევროპაში იმიგრირდა მილიონობით მუსლიმანი. აშშ-ში მათი რაოდენობა ნაკლებია, თუმცა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მუსლიმანური იმიგრაციის ტემპი იქაც დაჩქარდა. ავტორიტეტული სოციალური სამსახურების შეფასებებით, აშშ-ში ახლა დაახლოებით 2,75 მილიონი მუსლიმანია, მაგრამ ამერიკულ-ისლამურ ურთიერთობათა საბჭო აცხადებს, რომ ისინი სინამდვილეში ორჯერ მეტნი არიან.

და საქმე მხოლოდ იმიგრაცია არაა. ფრანგი მწერალი მიშელ უელბეკი თავის ახალ რომანში „მორჩილება“ ძალიან აჭარბებს, როდესაც საფრანგეთს უწინასწარმეტყველებს, რომ შემდეგ ათწლეულში მას ისლამიზაციის სახით განახლება ელის, მაგრამ ისლამი ნამდვილად იპყრობს დასავლეთში გულებსა და გონებებს და ყველა საფუძველი არსებობს მოლოდინისთვის, რომ მორიგი რელიგიური გამოღვიძება დასავლურ სამყაროში სწორედაც ისლამური იქნება.

პირველ რიგში, ისლამი ცოცხალი რწმენაა მაშინ, როდესაც აღიარებული ქრისტიანული ეკლესიები, ძირითადად, მკვდარია. იმამები ფიგურირებენ ახალ ამბებში, ყვებიან იმის თაობაზე, რაც სწამთ. ქრისტიანი ღვთისმეტყველები და პასტორები კი ასევე ფიგურირებენ ახალ ამბებში, ოღონდ ყვებიან იმის თაობაზე, რაც არ სწამთ ან რასაც ეჭვობენ. რაც უნდა ძლიერ ჩამორჩებოდეს მუსლიმანური სამყარო დასავლეთს ეკონომიკური თვალსაზრისით, სიტუაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ისლამი აქტუალური და მნიშვნელოვანი რწმენაა.

ევროპაში მეჩეთები სავსეა ხალხით. ბრიტანელი ჟურნალისტი ივონ რიდლი თალიბებმა ავღანეთიდან გაიტაცეს, მაგრამ მან ისლამი მიიღო და ბრიტანეთში მუსლიმან აქტივისტად იქცა. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგაც ამერიკაში მცხოვრები ადამიანები სულ უფრო ხშირად იღებენ ისლამს.

ისლამი ამაყობს იმით, რასაც მორწმუნეებს სთავაზობს. მუსლიმანები სიამოვნებით უცვლიან ერთმანეთს წმიდა ტექსტებს, შეისწავლიან საკუთარი რწმენის ისტორიას. ეს მათ აძლევს სიმშვიდეს, ცხოვრების მიმართულებას, რაც დასავლურ პოპკულტურაზე ბევრად უფრო მიმზიდველია. მათგან განსხვავებით, დასავლელი ქრისტიანების უმეტესობამ ძალიან ცოტა რამ იცის საკუთარი რწმენის შესახებ.

**თვით ღრმადმორწმუნე ქრისტიანებსაც კი შურთ იმ ერთობისა და ერთგულების, მუსლიმანთა შორის რომაა. როდესაც ქაიროში საღამოს ლოცვისაკენ მოუწოდებენ, ყველა ადამიანი ქუჩებში ხალიჩებს შლის და სალოცავად იჩოქებს. ნაკლებმორწმუნენი, შესაძლოა, არც შეჩერდნენ სალოცავად, მაგრამ ჩურჩულით განაგრძობენ საუბარს და რვამილიონიან ქალაქში სიჩუმე ისადგურებს.** ამგვარი რამ მხოლოდ ცხოველზე ვერ მოახდენს შთაბეჭდილებას.

ქრისტიანებს ამგვარი ღია, ბუნებრივი და საყოველთაო ღვთისმსახურება აბსოლუტურად არ გააჩნიათ. ერთადერთი ქრისტიანული ანალოგი, რომელიც შეიძლება მოგაფიქრდეს, ისაა, რომ ირლანდიის დასავლეთში ტაძრის სიახლოვეს გავლისას 1980-იან წლებში ყველა მძღოლი პირჯვარს იწერდა. ეს ჩვევაც გაქრა, თუმცა, რომც არ გამქრალიყო, ეს იგივეა, რომ მწვეთავი ონკანი მქუხარე მდინარეს შეადარო.

ქრისტიანები, უპირველეს ყოვლისა, დაკავებულნი არიან საღვთისმეტყველო დებატებითა და ტრადიციებით, ასევე მორწმუნეთა მაღალზნეობრივი ცხოვრების რეგულირებით. ქრისტიანული თეოლოგია და ისტორია აკავებს მორწმუნეებს ქალაქის მოედნებზე გამოსვლისგან. სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა და მრავალსაუკუნოვანი სეკულარიზაცია ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ქრისტიანული ღვთისმეტყველება კერძო სფეროა. ქრისტიანები დიდწილად დაეთანხმნენ იდეას იმის თაობაზე, რომ ეკლესია და რწმენა პირადი საკითხია.

პარალელურად სახალხოდ მიმდინარეობს უდიდესი სოციალური, პოლიტიკური და მორალური საკითხების განხილვა. გარემოს დაცვა, ფემინიზმი, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ათასგვარი მოძრაობა სოციალური რეფორმებისთვის აბსოლუტურად ღიად, სახალხოდ და ძალზე დიდი მოთხოვნებით. ისლამს აზროვნების ანალოგიური მიმართულება ახასიათებს. ისლამს არ ესაჭიროება ინტელექტუალური კამუფლიაჟის გამოგონება იმისათვის, რომ მასებში საკუთარი იდეები დანერგოს.

სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ხშირად ისლამს პოლიტიკური სფერო რელიგიურში გადააქვს. **ისლამის მთავარი ინტელექტუალური პროექტი არის არა თეოლოგია, არამედ სამართლებრივი პრაქტიკა, სწორი ქცევა და თემის შიგნით მართვა. ვინაიდან პოლიტიკური და მორალური რეფორმა ერთმანეთს ერწყმის, შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პოსტქრისტიანული კულტურა სულ უფრო მეტად ემსგავსება ისლამამდელს.**

აი, რატომაა, რომ საკითხი იმის თაობაზე, თუ რა არის ისლამური და რა არა, სულ უფრო ხშირად დადგება. თემი, ყველა თვალსაზრისით, არ ჰგავს ქრისტიანულ ეკლესიას. სახალხო სფეროს მისეული კონცეფცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორწმუნის როლი განსხვავდება ქრისტიანობის საფუძვლებისა და დასავლური ელიტურობისგან. ისლამის პატივისცემა მისი განსხვავებულობის აღიარებას ნიშნავს.

ისლამი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დასავლეთში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად ყველა გაეცნობა მის ტექსტებს, მისი ძალაუფლების წყაროებსა და ავტორიტეტებს. დასავლეთს მოუწევს, შეეგუოს და გააკრიტიკოს ისლამი სწორედ ისევე, როგორც ქრისტიანულ ეკლესიებს აკრიტიკებს. თუ დასავლეთი ამგვარ ჩვევას ვერ გამოიმუშავებს, მას მუდამ ექნება მეორე ვარიანტი — „მორჩილება“.

**The week**

## დიმიტრი ხუნდაძე: ბიუჯეტის კორექტირება არ შეეხება ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის — დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, ბიუჯეტის კორექტირება ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს არ შეეხება.

**„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხარჯების შემცირება, ანუ ბიუჯეტის კორექტირება არ შეეხება ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს. ეს მიმართულება შეუფერხებლად გაგრძელდება. თუმცა გამომდინარე არსებული სავალუტო კრიზისიდან, შეიძლება საჭირო გახდეს ბიუჯეტის კორექტირება. იმედია, ლარის კურსი დასტაბილურდება“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიწის გაყიდვას თუ დავუშვებთ, მაშინ ვნახავთ არა მხოლოდ ფერმერთა, არამედ ყველა ჩვენგანის გასაჭირს. აივსება საქართველო ათასი ჯურისა და აღმსარებლობის უცხოტომელებით, გინდაც ბიზნესმენები დაარქვით, გინდაც — ინვესტორები და ისინი ჩვენი ძირითადი სიმდიდრის კანონიერი მემკვიდრეები გახდებიან. რატომ ვაკეთებთ ამას: ან წინაპრებს რას ვერჩით, ან მომავალ თაობას?**

# მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვება ეროვნულობის დაკარგვის ტოლფასია

**აგრარული სფერო სპეციფიკური ნიშან-თვისებების მქონეა, რომლის ზოგიერთი თავისებურება მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე მკაცრი დამოკიდებულება, სეზონურობა, მიწის, ტერიტორიის მუდმივი ადგილმდებარეობა, განსაზღვრულობა და შეუცვლელობა, ამასთანავე, მრავალჯერ გამოყენება, საწარმოო და სამუშაო ციკლის დროდადრო დაუმთხვევლობა, მიღებული პროდუქციისა და ნედლეულის მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.**




ამიტომ ამ სფეროს გაძღოლა-მართვა ძალზე რთულია და სპეციფიკურ და დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ეკონომიკისა და, ვთქვათ, დიპლომატიის ცოდნა, მთავარი აგრონომიის ფილოსოფიის ცოდნაა.

გადამწყვეტია ისიც, როგორ სრულდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მთავარი რგოლი მიწასთან დამოკიდებულებაა — ის, თუ როგორ ვუვლით და ვპატრონობთ მას, როგორ ვიყენებთ მის ბუნებრივ და ეკონომიკურ ნაყოფიერებას.

**ქართველი კაცი შემქმნელია საქართველოს მთასა და ბარში განფენილი ნიადაგებისა, ამას გარდა, ქართული მიწა, საქართველოს 3500-წლიანი სახელმწიფოებრიობის განმავლობაში, გაუთავებელ ომებში გამოვლილ და შრომაში ჩაფლული ქართველების სისხლითა და ოფლით არის გაჟღენთილ-გაპოხიერებული და დღევანდლამდე დიდი რუდუნებით მოტანილ-შენარჩუნებული. ქართული მიწა ქართველთა ისტორიაა, რომელიც კვებავს და ეკუთვნის მომავალ თაობებს.** ხედავთ, რა ძლიერი ძარღვი და ძალა დევს ნიადაგში, ფართო გაგებით კი — მიწაში?

საბაზრო ეკონომიკა თავისუფალ მეწარმეობას უჭერს მხარს, ვერ გუობს მართვის ადმინისტრირებას, მაგრამ იგი აუცილებლად გულისხმობს და ლოგიკურად მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების სისტემასა და მის პერიოდულ სრულყოფას.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ კერძო საკუთრების დამპყრობლური ძალა არ უნდა ეხებოდეს ან არ უნდა შევახოთ ეროვნულ თვითშეგნებამდე და ეროვნულ ფენომენამდე ამაღლებულ მიწას — ნიადაგს.

სხვა ქვეყანამ, რაც უნდა, ის ქნას, მაგრამ საქართველოში მიწა (ნიადაგი) არ უნდა იყიდებოდეს!

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, ძნელად ასათვისებელი ტერიტორია, რაზეც მთიანი რელიეფი ახდენს გავლენას. აქ ზღვის დონიდან 500 მეტრამდე განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26,7%; 500-დან 1000 მ-მდე — 21,7%; 1000-დან 1500 მ-მდე — 19,1%, 1500-დან 3000 მ-მდე — 31,0%; 3000 მ-ზე ზევით — 1,5%. მთელი ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% — მთისწინებს, ხოლო მხოლოდ 13% — დაბლობ ადგილებს.

მთიანი რელიეფის გავლენით მეტისმეტად შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. **საქართველოში სახნავ მიწას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მხოლოდ 26,0% უკავია. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მხოლოდ 0,17 ჰა სახნავი და 0,62 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის.**

ამიტომაც უნდა ითქვას პრინციპულად, რომ ასეთ მცირემიწიან ქვეყანას არ სჭირდება ძალად გამოგონილი პრობლემები, ხელებითა და იდეებით ფათური მიწის პრობლემაში, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები ეროვნულობას ეხება. **მიწის (ტერიტორიის) ყიდვა-გაყიდვის დაშვება ეროვნულობის დაკარგვის ტოლფასია.**

პრინციპულ დებულებად უნდა მივიჩნიოთ, რომ მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და ისტორიული ღირებულებები სახელმწიფოს, ერის საკუთრება უნდა იყოს.

ბიბლიაში წერია, რომ **„მიწა... არ უნდა გაიყიდოს. თუ შენი მოძმე გაღარიბდება და მიწას გაყიდის, მოვიდეს მისი ნათესავი და გამოისყიდოს".**

**მიწის გაყიდვამ — ამ, ერთი შეხედვით, ვითომ მხოლოდ ეკონომიკურმა სვლამ, შეიძლება, დიდი პოლიტიკური ძვრები გამოიწვიოს და ეთნოკონფლიქტების ტალღასაც ვერ ავცდეთ**



მიწათსარგებლობაზე, მიწის მფლობელობაზე, კერძო საკუთრებასა და მიწასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე, ბოლო 20-25 წელია, დიდი ბჭობა და კამათი მიმდინარეობს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მისაღები პოზიცია და კანონმდებლობა ვერა და ვერ ჩამოყალიბდა.

**ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე ვერ ისვენებს და მოითხოვს, რომ, რაც მიწები დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში და ჯერ არ გაყიდულა, ახლა ისიც უნდა გასხვისდეს. ეს ადამიანები, რომლებიც არად აგდებენ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, უფრო შორს მიდიან და აცხადებენ, რომ სასაზღვრო ზოლში არსებული მიწებიც უნდა გაიყიდოს**. არადა, სასაზღვრო ზოლში არსებული მიწების გაყიდვის შემდეგ სახელმწიფოს ინტერესები უკვე გაქელილია. სასაზღვრო მიწები გადამთიელს რომ ჩაუვარდება ხელში, რომელ ქვეყანასაც მიუერთდება ეს მიწა, ამას დიდი მიხვედრა უნდა?

ზოგიერთმა მეცნიერმა აზრი გამოთქვა: როგორ შეიძლება მიწის ყიდვა-გაყიდვა, როდესაც ჯერ არ ჩატარებულა მიწების ინვენტარიზაცია, არ გაგვაჩნია მიწის კადასტრიო და ა. შ. მათ უნდა შევახსენოთ, რომ მიწის კადასტრი და არა მხოლოდ ეს, ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევებიც და მათი შესაბამისი განოყიერების სისტემა ყველა განვითარებულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს როდი იძლევა მიწის ყიდვა-გაყიდვის, ანდა მიწის ბაზრის ჩამოყალიბების უფლებას. ამ საქმიანობას, რომელიც საკმაოდ შრომატევადია და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, დინამიკური, რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს და მასზეა დამოკიდებული მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება. ეს სამუშაოები მიწის გასაყიდად კი არ გვინდა, არამედ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, სწორედ ამ სამუშაოებით უნდა წყდებოდეს კერძო საკუთრების რეგულირების საკითხები.

სასოფლო-სამეურნეო სისტემა მიწის პრობლე- ▶

**«საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას — მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში — როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე — ტერიტორია საქმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნულობაზე აალებინოთ?!»**

## ნინო ჯღარკავა: ბინძურ მედიაში ჩაიდო დიდი ფული, რომელსაც ირმა ნადირაშვილი ანაწილებს



ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა „ნაციონალურ მოძრაობაში" არსებული მდგომარეობის შესახებ სოციალურ ქსელში წერს და აღნიშნავს, რომ პარტიაში განხეთქილებაა.

„მაქვს ინფორმაცია და თანაც, როგორც ყოველთვის, უტყუარი: „ნაციებში" განხეთქილებაა — ორ ჯგუფად დაიყვნენ, ახალაის ჯგუფი და სხვა ყველა — ცალკე! ნუ, ვანოს „ხერხემალი" რომ დღეს არ აღელვებთ, ეს ცხადია! ახლა მიდის, ბაჩოს „გაპრავება" ნებისმიერი მეთოდით, ბინძურ მედიაში ჩაიდო დიდი ფული, რომელსაც ირმა ნადირაშვილი ანაწილებს და ისიც მხოლოდ გამორჩეულად — საყვარელ „ჟურნალისტებზე". კარგად დააკვირდით გამოქვეყნებულ სტატიებს, სტატუსებს და თვითონ მიხვდებით", — წერს ნინო ჯღარკავა.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მიწების საკუთრებაში გადაცემა უნდა მოხდეს იმ პირობით, რომ კოოპერატივის (ასევე ითქმის ფერმერულ მეურნეობებზე) წევრებს უფლება ჰქონდეთ, თავიანთი წილი მიწა საკუთრებაში გადასცენ მემკვიდრეობით ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს ან მიჰყიდონ ადგილობრივ მკვიდრთ, გამონაკლის შემთხვევაში, — სხვებსაც (საქართველოს მოქალაქეებს), მაგრამ კვლავ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მაზეა აგებული. მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი ანალოგიების მიხედვით არ უნდა გადაწყდეს, იგი არა ერთჯერადი, არამედ ისტორიული აქტი უნდა იყოს, რომლითაც მიწა თაობიდან თაობას გადაეცემა. **მიწის გაყიდვამ — ამ, ერთი შეხედვით, ვითომ მხოლოდ ეკონომიკურმა სვლამ, შეიძლება, დიდი პოლიტიკური ძვრები გამოიწვიოს და ეთნოკონფლიქტების ტალღასაც ვერ ავცდეთ.**

როგორც ირკვევა, **მიწის კერძო საკუთრებაში ნაჩქარევმა გადაცემამ უკვე დაატყო ბევრი ხარვეზი სოფელს. საბაზრო ეკონომიკისათვის მოუმზადებელ, გამოუცდელ და ხელშემწყობი პირობების არმქონე, ბედის ანაბარა დარჩენილ ცალუღელა გლეხებს არათუ გაუჭირდათ, თავგზაც აებნათ და ველარ გარკვეულან, საით წავიდნენ, ამიტომაც რჩება აუთვისებელ-დაუმუშავებელი (წლების განმავლობაში) დიდი ფართობები.** კარგად მოფიქრებული და გამართლებული ორგანიზაციული ფორმების შეთავაზებითა და მორგებული ეკონომიკური მექანიზმებით თუ არ ვუშველეთ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება სოფელი.

ზოგიერთი მაღალჩინოსანი მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონებას თავგამოდებით რომ ითხოვს, როგორ გგონიათ, სხვა ქვეყნებშიც ასე ხალისით სვამენ ამ საკითხს? მაგალითად, **მექსიკაში მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ მექსიკელი; ან დასვან იაპონიაში მიწის გაყიდვის საკითხი და ნახავთ, რა პასუხსაც გასცემენ; ანდა წადით და იკითხეთ, როგორ დგას ეს საკითხი საფრანგეთში, აშშ-ში ან სხვაგან და გაიგებთ, რომ ამ მხრივ ყველა ფრთხილობს და მას უმკაცრესი კანონმდებლობითაც ამაგრებენ, ისევე, როგორც გერმანელები, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო კოდექსში მიწა არ შეიტანეს, რადგან იგი ჩვეულებრივი ნივთი, საგანი ან საქონელი არ არის.**

მიწა დედაა სიმდიდრისა, შრომა კი — მისი მამა. ჰოდა, ნუთუ შეიძლება დედის გაყიდვა?

მიწის გაყიდვას თუ დავუშვებთ, მაშინ ვნახავთ არა მხოლოდ ფერმერთა, არამედ ყველა ჩვენგანის გასაჭირს. აივსება საქართველო ათასი ჯურისა და ალმსარებლობის უცხოტომელით (გინდაც ბიზნესმენები დაარქვით, გინდაც — ინვესტორები) და ისინი ჩვენი ძირითადი სიმდიდრის კანონიერი მემკვიდრეები გახდებიან. რატომ ვაკეთებთ ამას: ან წინაპრებს რას ვერჩით ან მომავალ თაობას?

ამ საკითხს ერთმა ჟურნალისტმა კარგად მოარგო **ვაჟა-ფშაველას** შეძახილი, რომელიც ზედმიწევნით მიესადაგება დღევანდელობას: **„საქართველო დღეს წაავავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას — მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში — როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე — ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნულობაზე აალებინოთ?!“**

მაინც, როგორ უნდა დარეგულირდეს მიწის პრობლემა?

*** დაშვებული შეცდომა უნდა გამოსწორდეს. გაყიდული მიწა სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს და გაიცეს მხოლოდ სარგებლობის უფლებით, რაიონების ბუნებრივი პირობების შესაბამისად, მკაცრად დადგენილი ნორმების საფუძველზე.**

***უნდა ჩატარდეს მიწის ინვენტარიზაცია, შედგეს მიწის კადასტრი და აგროქიმიური კარტოგრამები;**

***უნდა აიკრძალოს მიწების ქვეიჯარით გაცემა;**

***დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს და აიკრძალოს იჯარით აღებული მიწების გაყიდვა.**

ამ გარდამავალი სამუშაოების შემდეგ **საქართველს მოქალაქეებს** (გლეხობას — ფერმერებს, ქალაქში მცხოვრებთ, რომლებსაც სოფელთან აქვთ საქმიანი, მამაპაპური, მემკვიდრული, ტრადიციული კავშირი), რაიონის სპეციფიკის მიხედვით, დიფერენცირებული ნორმის ფარგლებში უნდა მიეცეთ მიწის ფართობი კერძო საკუთრებაში (ეს, ფაქტობრივად, უკვე ასეა), იმ პირობით, რომ შეუძლიათ, გადასცენ მემკვიდრეობით, გაასხვისონ ან მიჰყიდონ ნათესავებს ან სხვებსაც, სოფლისა თუ ქალაქის მკვიდრთ (საქართველოს მოქალაქეებს), რომლებსაც სოფლის მეურნეობასთან ექნებათ საქმე. ეს უნდა გააფორმოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ ან საქართველოში საამისოდ შექმნილმა საგანგებო უწყებამ.

რაც შეეხება **ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს**, მათ მიწა კი არ უნდა მიეყიდოთ, არამედ შეეძლოთ მიწის მიღება მხოლოდ სარგებლობის უფლებით, ანუ იჯარით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენებენ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კი უნდა მიიღონ მკაცრად მიზნობრივად, თვითმმართველობასთან შეთანხმებით, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს შესაბამის კანონებს, ბუნებისდაცვით ღონისძიებებს. დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ამ ნაკვეთების ქვეიჯარით გაცემა.

**უცხოურ ფირმებს, ინვესტორებს** და ა. შ. თუნდაც საქართველოში რეგისტრირებულ უცხოურ იურიდიულ პირებს უნდა შეეძლოთ მიწების აღება მხოლოდ იჯარით, ნორმატიული ზღვრების (ფართობის ოდენობა, ვადები და სხვ.) ფარგლებში. **მათთვის ჩვენი მიწა-წყლის მიყიდვა დაუშვებელია.**

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები რომ ქუცმაცდებოდა და შესაბამისად — მასივებად შეკრული ფართობები, სხვა ქვეყნებში, მაგალითად, შვედეთში, პირიქით ხდებოდა. იქ პატარ-პატარა ფერმებიდან ოპტიმალური სიდიდის კოოპერატივები შექმნეს და ისედაც კარგად აგებული სასოფლო საქმე და მიწისა და სხვა რესურსების გამოყენება კიდევ უფრო მოქნილი და უკეთ სამართავი გახადეს, შედეგად მეტ წარმატებას მიაღწიეს, ამიტომაც არის ეს ქვეყანა მსოფლიოში მოწინავე ადგილზე ადამიანთა ცხოვრების დონით.

ამრიგად, ლოგიკურად იკვეთება **პრიორიტეტული მიმართულება, რომ ფართოდ უნდა წავახალისოთ და მხარი დავუჭიროთ კოოპერატიულ საკუთრებას**. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო, კვების მრეწველობის, აგრეთვე, მათი ინტეგრირებული ტიპის ოპტიმალური სიდიდის კოოპერატივების შექმნას, შეიძლება, მათ კოოპერატიული ფერმერული მეურნეობებიც ეწოდოს. ფერმერული მეურნეობების შესახებ ამჟამინდელ კანონმდებლობაში (მაგ., კანონში სამეწარმეო საქმიანობის შესახებ) არაფერია მითითებული.

კოოპერატიული საკუთრების განვითარებით გაფართოვდება მიწის საკუთრებაში გადაცემის (ეროვნული ინტერესების შესაბამისად) არეალიც. ასეთი საკუთრება ხომ კერძო საკუთრების ნაირსახეობაა, ანუ საზოგადოებრივი კერძო საკუთრება.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მიწების საკუთრებაში გადაცემა უნდა მოხდეს იმ პირობით, რომ კოოპერატივის (ასევე ითქმის ფერმერულ მეურნეობებზე) წევრებს უფლება ჰქონდეთ, თავისი წილი მიწა საკუთრებაში გადასცენ მემკვიდრეობით ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს ან მიჰყიდონ ადგილობრივ მკვიდრთ, გამონაკლის შემთხვევაში, სხვებსაც (საქართველოს მოქალაქეებს), მაგრამ კვლავ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის.**

ამ კოოპერატივებს უფლება უნდა ჰქონდეთ, აგრეთვე, მიწის ფართობები გასცენ იჯარით, გააფორმონ ხელშეკრულებები სხვა კოოპერატივებთან, საწარმოებთან, ინვესტორებთან, აგროტექსერვისულ და სარეალიზაციო ფირმებთან და ა. შ. ყველა შემთხვევაში, მათი საკუთრება მიწაზე შეუვალი უნდა იყოს.

**ამ გზით დაიწყება ახალი ეტაპი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა, რაც, ეჭვგარეშეა, წარმატებას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.**

ყველა ამ კატეგორიის მიწის მესაკუთრეებზე, მიწათმფლობელებსა და მიწათმოსარგებლეებზე უნდა შედგეს მიწათსარგებლობისა და მისდამი კონტროლის პროგრამა, რომლის მიზანი იქნება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის გამო.

საერთოდ კი, პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი: ზოგიერთი ფართობი, თუნდაც სავარგულად ვარგისი იყოს, მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს, ასეთი ფართობებია: **სასაზღვრო ზოლის მიწები; მიწის სარეზერვო ფონდი (სტიქიური მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობისა და ახალშექმნილი კომლების დასაკმაყოფილებლად, შიგა მიგრაციის გასატარებლად და სხვა მიზნით გამოსაყენებლად); სამხედრო დანიშნულების მიწები; ნაკრძალების სავარგული მიწები და სხვა სტრატეგიული ტერიტორიები.**

გარდა ამისა, არის ისეთი ფართობები (სავარგულად ვარგისი ან დამუშავების შემდეგ ასეთად ვარგისი), რომლებიც ასევე ხელუხლებელი უნდა იყოს და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში უნდა არსებობდეს. ამ მხრივ საქართველო ძალზე სპეციფიკური რეგიონია. აქ დამლაშებული, ბიცი და ბიცობი ნიადაგები 250 ათას ჰა-ზე მეტს იკავებს (ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში — უპირატესად, ალაზნის ველზე), ეროზირებულ მიწებს 300 ათას ჰა-ზე მეტი უკავია, რეკულტივირებული მიწებს კი — 15 ათასი ჰექტარი. ყურადღებას ითხოვს, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგები, რომლებიც მოკირიანებასა და მოთაბაშირებას საჭიროებს. ამ მიწების ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლებისთვის სახელმწიფო ხარჯავს და უნდა ხარჯავდეს კიდეც სახსრებს. ამისათვის საგანგებო სახელმწიფოებრივი პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს.



**მიწის კერძო საკუთრებაში ნაჩქარევმა გადაცემამ უკვე დაატყო ბევრი ხარვეზი სოფელს. საბაზრო ეკონომიკისათვის მოუმზადებელ, გამოუცდელ და ხელშემწყობი პირობების არმქონე, ბედის ანაბარა დარჩენილ ცალუღელა გლეხებს არათუ გაუჭირდათ, თავგზაც აებნათ და ველარ გარკვეულან, საით წავიდნენ, ამიტომაც რჩება აუთვისებელ-დაუმუშავებელი (წლების განმავლობაში) დიდი ფართობები**

აი, ძირითადად, ასე უნდა დარეგულირდეს და აიგოს საქართველოში მიწების ყიდვა-გაყიდვის, მფლობელობის, სარგებლობისა და მოვლა-პატრონობის საკითხები, რომლებიც უნდა შეესაბამოს საქართველოში მოქმედ სხვა კანონებს. ეს თავის კალაპოტში ჩააყენებს საბაზრო ურთიერთობებს და სოციალურ პრობლემებსაც.

ერის აზრი და გადაწყვეტილება უფრო მაღლა დგას და უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე პარლამენტის ვერდიქტს, რომელსაც იქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე, რომ მიწას მოუშუშებელი სატკივარი შეჰყროდა.

საზოგადოებრივი აზრის შექმნის შემდეგ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იძულებული იქნება, კარგად ჩაუფიქრდეს ამ ეროვნულ საკითხს, შეიტანოს აღნიშნულ კანონში საზოგადოების მიერ მიცემული შესწორებები ანდა სულაც ახალი რედაქციით, მეცნიერ-სპეციალისტთა მონაწილეობით მოამზადოს ეს კანონი.

**ომარ ქეშელაშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

## რატომ იგვიანებს „სასწრაფო“?

**თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრის დირექტორი თემურ ბარკალაია სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის დაგვიანების მიზეზებს განმარტავს.**

„ბრიგადების დაგვიანების მიზეზების ჩამონათვალი დიდია. ამაში შედის მძღოლების არასათანადო რეაგირება სასწრაფოს ხმოვან და მოციმციმე სიგნალზე, აგრეთვე, მოსახლეობის არამიზნობრივი ზარები. თბილისში არსებულ 13 ფილიალზე გადანაწილებულია 93 ბრიგადა, რომლებიც დღეში 2000-ზე მეტ გამოძახებაზე მიდიან. საკმაოდ გაზრდილია თბილისის მასშტაბი, შემოემატა ახალი ტერიტორიები და გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. სამწუხაროდ, აქამდე ამაზე რეაგირება არ მომხდარა. ჩვენი მხრიდან ტარდება კვლევა, მიმდინარეობს გადახედვა-ოპტიმიზაცია ფილიალების ახალ რეალობაზე მორგების თვალსაზრისით. აქ იგულისხმება საჭირო უბნებში დამატებითი ქვეფილიალების გახსნის აუცილებლობის შეფასება, რასაც თან ერთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ადამიანური რესურსის გაზრდა“, — განაცხადა თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრის დირექტორიმა გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტთან საუბრისას.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# სირია — ცივილიზაციების აკვანი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

სირიის არაბული რესპუბლიკა (ალ ჯუმუჰურიია ალ არაბია ას სურიია) — ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოა. სამხრეთ დასავლეთით ესაზღვრება ლიბანსა და ისრაელს, სამხრეთით — იორდანიას, აღმოსავლეთით — ირანს, ჩრდილოეთით — თურქეთს; დასავლეთით აქვს სანაპირო ხმელთაშუა ზღვაზე.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს უძველესი სახელმწიფო ასირიის სახელწოდებიდან. სირიის ტერიტორიაზე ცივილიზაცია ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში არსებობდა.

ქვეყნის ტერიტორიის ფართობი 185 180 კვ.კმ-ს შეადგენს (87-ე მსოფლიოში). მთათა სისტემა ანსარია ქვეყანას ორ ნაწილად ჰყოფს — ტენიან (დასავლეთი) და მშრალ (აღმოსავლეთი) ტერიტორიებად. სანაპირო ზოლზე 130 კმ-ზეა გადაჭიმული ნაყოფიერი ველები. მთათა სისტემის ჩრდილოეთით მდებარეობს უდაბნო ჰამადი, სამხრეთით — ჰომსი.

ქვეყანას აღმოსავლეთით კვეთს მდინარე **ევფრატი** (სიგრძე —2700 კმ.). 1973 წელს ამ მდინარის ზემო წელში ააშენეს დამბა, რომელმაც წყალსაცავი წარმოქმნა. მას მოგვიანებით ასადის ტბა უწოდეს. თურქეთის საზღვართან, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, მიედინება ახლო აღმოსავლეთის მეორე დიდი მდინარე **ტიგროსი** (1900 კმ).

**კლიმატი.** სანაპირო ზოლზე კლიმატი სუბტროპიკულია, შიგა რაიონებში — კონტინენტური. იანვრის საშუალო ტემპერატურა პლუს 4-დან 12 გრადუსამდე მერყეობს, ივლისის — პლუს 26-დან 33-მდე.

**ფლორა.** მთების ფერდობები დაფარულია ტყეებით (მუხა, ფიჭვი, კვიპაროსი, დაფნა), რომლებსაც ქვეყნის ტერიტორიის 3% უკავია. ხარობს მცენარეები: ალვა, წაბლი, ევკალიპტი, პალმირას ოაზისში — პალმები.

**ფაუნა.** სირიის ცხოველთა სამყარო არც ისე მდიდარია. ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობს: ავაზა, ტურა, ჰიენა, ანტილოპა, გარეული ვირი. ბევრია ქვეწარმავალი და მღრღნელი.

**დედაქალაქი: დამასკო**, რომელიც მსოფლიოში უძველეს დედაქალაქად არის აღიარებული (მოსახლეობა — 1,9 მლნ, გარეუბნებით — 2,5 მლნ). უდიდესი ქალაქები: **ალეპო**, იგივე ჰალები (2,0 მლნ); **ჰომსი** (900 ათასი), **ლატაკია** (400 ათასი).

სახელმწიფო ენა: არაბული.

**მოსახლეობა.** სირიაში 22,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს (53-ე მსოფლიოში) ძირითადად — არაბები (905). ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ ქურთები (8%), აგრეთვე, — სომხები, ასირიელები ჩერქეზები და იეზიდები.


ალეპო


დამასკო


არქიტექტურული კომპლექსი ქალაქ პალმირაში

## მმართველობის ფორმა და რელიგია

სირია საპარლამენტო რესპუბლიკაა. კონსტიტუციაში აღნიშნულია არაბული სოციალისტური აღორძინების პარტიის („ბაასი“) განსაკუთრებული როლი.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც 7 წლის ვადით ირჩევენ. ამჟამად სირიის პრეზიდენტია **ბაშარ ასადი**, პრემიერმინისტრი — **ვაელ ალ-ჰალკი.**

სირია დაყოფილია 14 მუჰაფაზად (ოლქად), რომლის მეთაურსაც მინისტრთა კაბინეტი ნიშნავს. თითოეულ მუჰაფაზში ირჩევენ ადგილობრივ პარლამენტს. მუჰაფაზა ალ ქუნეიტრა (სადაც მდებარეობს გოლანის სიმაღლეები) 1973 წელს ისრაელმა დაიპყრო და დღემდე ოკუპირებული აქვს. ამის გამო სირიასა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმებული არ არის.

**რელიგია.** სირიის მოსახლეობის 80 პროცენტი მუსლიმია, 10% — ქრისტიანი. მუსლიმთა 82% სუნიტია, დანარჩენები — ალავიტები და შიიტები. ქრისტიანთა ნახევარი სირიელი მართლმადიდებელია, 18% — კათოლიკე. არიან სომხეთის სამოციქულო და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც.

მოსახლეობის 3%-ს შეადგენენ დრუზები (ცხოვრობენ, ძირითადად, მუჰაფაზა ალ კუნეიტრაში — დაახლოებით 30 ათასი), რომლებსაც შიიტებს მიაკუთვნებენ. აღსანიშნავია, რომ სირია მსოფლიოში მესამე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ყველაზე მეტად დევნიან ქრისტიანებს.

## ეკონომიკა

2011 წლამდე სირიაში ეკონომიკური ვითარება სტაბილური იყო. ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელმა 107,4 მლრდ დოლარი შეადგინა (53-ე მსოფლიოში), მოსახლეობის ერთ სულზე — 4800 დოლარი. სავალუტო რეზერვებმა — 4 მლრდ, 2012 წელს კი საერთაშორისო სანქციების შედეგად სირიამ 4 მლრდ დოლარი იზარალა.

ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი წყარო ნავთობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტია. მოიპოვებენ ფოსფატებს, ქრომს, მარგანეცს, რკინას, მარმარილოს, თაბაშირს. განვითარებულია მსუბუქი (ტექსტილი) და კვების (ალკოჰოლური სასმელების წარმოება, მეთამბაქოეობა) დარგები. საექსპორტოდ გააქვთ ხორბალი, ზეთისხილი, შაქრის ჭარხალი, ძროხისა და ცხვრის, ფრინველის ხორცი, კვერცხი.

**ვალუტა: სირიული ფუნტი (0,005 დოლარი).**

**ინტერნეტდომენი: SY**

**სატელეფონო კოდი: +963**

**საათობრივი სარტყელი: UTC+2 (ზაფხულში - UTC+3).**

## კულტურა

ქრისტიანობის ისტორიაში სირიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბიბლიის თანახმად, მოციქულმა პავლემ ქრისტეს რწმენა დამასკოში მიიღო, შემდეგ კი ცხოვრობდა ანტიოქიაში (ახლა ანტაკია — თურქეთის კუთვნილება), სადაც ქრისტეს მოწაფეებს პირველად უწოდეს ქრისტიანები.

სირია ბევრი ცივილიზაციისა და კულტურის აკვანია. აქ შეიქმნა ფინიკიური დამწერლობა (ჩვ. წ. აღ. XIX საუკ.). სირიელმა მეცნიერებმა და ხელოვანებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ელინისტური, რომაული და ბიზანტიური კულტურების განვითარებაში. მათ შორის არიან მეცნიერი **ანტიოქ ასკალონელი**, მწერალი **ლუკიანე**, ისტორიკოსები — **ჰეროდიანი**, იოანე მალალა.

სირიის დედაქალაქი დამასკო ოდითგანვე განთქმულია „დამასკური ფოლადისგან“ იარაღის დამზადებით.

XIX საუკუნის სირიელმა მწერლებმა, რომელთა დიდი ნაწილი ეგვიპტეში გადასახლდა, უდიდესი როლი ითამაშეს არაბული კულტურის აღორძინებაში (ნაჰდა — ევროპული რენესანსის ანალოგი). მათ შორის იყვნენ **ადონისი, გადა ას-სამანი, ნიზარ ქაბინი და ზაქარია თამერი.**

ძველი დამასკო იუნესკოს მიერ მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

**ღირსშესანიშნაობები:** ეროვნული მუზეუმი, ომეიადების დიდი მეჩეთი, ხალიფას სასახლე, არქეოლოგიური მუზეუმი, ეგვიპტისა და სირიის უდიდესი მხედართმთავრის, სალეს ად-დინის ქანდაკება — დამასკოში; ჯვაროსანთა ციხესიმაგრე კრაკ დე შევალიე — ჰომსთან; წმინდა მარიამის სახელობის მონასტერი სოფელ საიდნაიაში (27 კმ დამასკოდან), არქიტექტურული კომპლექსი ტეტრაპილანი — ქალაქ პალმირაში.



### ცხვრის ხორცი ბრინჯით

**ინგრედიენტები:**

- ***ცხვრის ხორცი** — 150 გრ
- ***ბრინჯი** — 60 გრ
- ***ბულიონი** — 100 გრ
- ***შავი პილპილი** — 1 გრ
- ***ოხრახუში** — 10 გრ
- ***მწვანე ხახვი** — 10 გრ
- ***პიტნა** — 5 გრ
- ***მარილი** — გემოვნებით
- ***დაფნა** — 3 ფოთოლი.

**მომზადება:**

1. ცხვრის ხორცი კარგად გარეცხეთ და დაჭერით მსხვილ ნაჭრებად. ჩაყარეთ წყლიან ჯამში და მოაყარეთ მარილი, დაფნის ფოთლები და მანამდე ხარშეთ, ვიდრე ხორცი კარგად არ დარბილდება. დროთა განმავლობაში ბულიონს ქაფი მოაცალეთ;

2. გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი დაყარეთ ტაფაზე, მოალაგეთ ხორცის ნაჭრები და დაასხით ბულიონი, მოაყარეთ შავი წიწაკა და შედგით აირღუმელში, ვიდრე ხორცი კარგად არ შეიბრაწება;

3. კერძს სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, პიტნა და ოხრახუში.

## სამზარეულო

არაბული ქვეყნების: სირიის, ერაყის, საუდის არაბეთის, ლიბანის, ლიბიის სამზარეულოს, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად, ბევრი რამ აქვს საერთო — კერძებში გამოყენებული პროდუქტებით დაწყებული, მომზადების მეთოდებით დამთავრებული.

სირიელები კერძებში ფართოდ იყენებენ ცხვრის, ხბოს, თხისა და ფრინველის ხორცს; ბრინჯს, ბოსტნეულს, ხილს, ჩირს, ყველს, თევზეულსა და კვერცხს, შავ და წითელ პილპილს, დარიჩინს, მიხაკს, ხახვსა და ნიორს, კერძებს ამზადებენ ზეითუნის ზეთზე.

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძე


ციხესიმაგრე ალეპოში

**თუ გსურთ, პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწიოთ, ფეხი აუწყვეთ ცხოვრების ტემპს და თავგამოდებით იმუშავეთ, თუმცა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ წარიმართება თქვენი ურთიერთობა ბიზნესპარტნიორებთან, კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან. ამ პერიოდში წარმატების მეტი შანსი ექნებათ კირჩხიბისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულებს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**4 - 10 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ამ პერიოდში ვერძის ნიშნის წარმომადგენლებმა გადადებული საქმეები აუცილებლად უნდა დაასრულონ. ნუ ჩაერევით კონფლიქტში, რადგან შესაძლოა, ნეგატიური შედეგი მიიღოთ. ყურადღებას ნუ გაფანტავთ უსარგებლო დეტალებზე და შეეცადეთ, დასახული მიზნისკენ იაროთ.

თქვენ ახლა ძალიან ხართ დამოკიდებული ახლობლების, განსაკუთრებით — ოჯახის წევრების, რჩევებსა და დახმარებაზე. სწორედ მათი ძალისხმევით შეძლებთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეყვარებულმა ვერძებმა, შეიძლება, დაქორწინების გადაწყვეტილება მიიღონ და ამით საყვარელ ადამიანს უდიდესი ბედნიერება აჩუქონ.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი არც ისე მაღალია, ამიტომ მიიღეთ ვიტამინები და ცოტა დაისვენეთ.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 10 მარტი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ამ პერიოდში კუროები კონკურენტებთან ბრძოლაში ჩაებმებიან, რომლიდანაც გამარჯვებული იმ შემთხვევაში გამოვლენ, თუ ძალებს სწორად გაანაწილებენ.

ყურადღებას ნუ გაფანტავთ პატარ-პატარა წინაღობებზე და თქვენი მუშაობის ეფექტიანობა ამაღლდება.

საქმიანი პარტნიორების შეცდომებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება იმედგაცრუებას მოგიტანთ, ამიტომ სჯობს, ადამიანებს შეცდომებზე დროულად მიუთითოთ. სასიყვარულო ურთიერთობაში თქვენმა სიჯიუტემ შეიძლება ფორსმაჟორული ვითარება შექმნას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მიხვდებით, რომ, რაც მოხდა, საჭირო იყო.

თავი აარიდეთ ალკოჰოლს და ყურადღება მიაქციეთ შარდ-სასქესო სისტემას, რადგან დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

დაიწყეთ ფიქრი დაპირებების შესრულებაზე, რადგან ამ პერიოდში მათ შესრულებას, თითქოს პირი შეკრესო, ყველა მოგთხოვთ.

მოგეცემათ სამსახურში დაწინაურების შანსი, ბიზნესმენ ტყუპებს კი სარფიანი კონტრაქტის გასაფორმებლად დიდი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდებათ.

თქვენი ფინანსური მდგომარეობა პრემიებითა და მოულოდნელი შემოსავლების ხარჯზე გაუმჯობესდება. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან უმიზეზოდ კინკლაობასა და კამათს, რადგან შესაძლოა, მწვავე კონფლიქტში გადაიზარდოს, რომლის ჩაცხრობასაც საკმაო დრო დასჭირდება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი დაემუქრება.

**დადებითი დღე: 4 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 9 მარტი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

ეს პერიოდი გამორჩეული იქნება იმით, რომ ხშირად დადგებით არჩევანის წინაშე, მაგრამ ინტუიციის წყალობით, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ.

რაციონალურად გამოიყენეთ თქვენი ენერგია და საქმეები ისე დაგეგმეთ, რომ შედეგების პროგნოზირება შეძლოთ. ნუ შეგეშინდებათ რისკიანი მოქმედებების. გახსოვდეთ, რომ ახლა წარმატება თქვენს მხარესაა.

თქვენი პირადი ცხოვრება ახლა უკანა პლანზე გადაიწევს. კირჩხიბებისთვის ამჟამად მთავარი სამუშაოა. მაგრამ, თუ მხოლოდ საქმიანობას დაუთმობთ დროს, საყვარელი ადამიანი გაგინაწყენდებათ.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია, ამიტომ თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება.

**დადებითი დღე: 7 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 9 მარტი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

შესაძლოა, მცირე პრობლემები შეგექმნათ, მაგრამ მოზღვავებული ენერგიით არა მხოლოდ მათ გაუმკლავდებით, არამედ ძველ პრობლემებსაც წარმატებით მოაგვარებთ. გაგიჩნდებათ ახალი იდეები, რომელთა განხორციელებაც მომავალში წარმატებას მოგიტანთ. ეს უცხოელ პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობის გაღრმავების პერიოდია, შეეცადეთ, მათთან ყველა საკითხი სწრაფად და ეფექტიანად მოაგვაროთ.

თანამშრომლებს ნუ გააკრიტიკებთ და მათ მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტს ვერ აიცილებთ, რაც შეიძლება რეპუტაციის შელახვად დაგიჯდეთ.

გულისხმიერად მოეკიდეთ ოჯახის უმცროსი წევრების პრობლემებს, მათ მოგვარებას შეიძლება საკმაო თანხა დასჭირდეს. იაქტიურეთ, ოღონდ ორგანიზმს ნუ გადატვირთავთ და თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს.

**დადებითი დღე: 5 მარტი.**
**უარყოფით დღე: 8 მარტი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

(23 აგვისტო – 23 სექტემბერი)

ამ პერიოდში უამრავ ახალ საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ და არჩევანის წინაშე დადგებით. ემოციებს ნუ აჰყვებით და ცივი გონებით იმოქმედეთ — სწორედ ასე მიიღებთ საჭირო გადაწყვეტილებებს, რომლებზეც თქვენი მომავალი იქნება დამოკიდებული. წვრილმანების გამო თანამშრომლებსა და ოჯახის წევრებს ნუ გააკრიტიკებთ, რადგან შეიძლება, აბეზარ ადამიანად ჩაგთვალონ.

თუ ბიზნესში უცხოელებთან ერთად არ ხართ ჩართული, ფინანსურ მხარდაჭერას ახლობლებისგან ან მშობლებისგან მიიღებთ, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით ბავშვებს — ახლა მათ თქვენი მხარდაჭერა დასჭირდებათ.

თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია და შესაძლოა, ქრონიკულმა დაავადებებმა თავი შეგახსენოთ.

**დადებითი დღე: 7 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

(24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი)

ამ პერიოდში სასწორები გააქტიურდებიან და წარმატებას მიაღწევენ, როგორც ბიზნესსაქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში. სამსახურში თქვენ გარშემო შექმნილი ვითარება კარიერაში წინსვლის საშუალებას მოგცემთ, თუმცა მოშურნეებსაც გაგიჩენთ. ეკონომიურად დახარჯეთ ძალები და ფინანსები.

საყვარელ ადამიანთან შეიძლება ურთიერთობა გაგიმწვავდეთ ეჭვიანობის გამო. თუ დღის წესრიგში განშორების საკითხი დადგება, მოგიწევთ უძრავი ქონების დათმობა.

გააქტიურება საკმაო ენერგიის დახარჯვად დაგიჯდებათ, ამიტომ შეეცადეთ დრო დასვენებისთვისაც გამოძებნოთ. დიდია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 8 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 10 მარტი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ამ პერიოდში ფორტუნა თქვენს მხარესაა და შეეცადეთ, უამრავი შანსი, რომლებიც მოგეცემათ, ხელიდან არ გაუშვათ. შეიძლება, თქვენ გვერდით მუშაობა დაიწყონ ახალმა თანამშრომლებმაც, რომლებიც მომავალში მხარში ამოგიდგებიან. გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც.

პირად ცხოვრებაში კი, თუ წყენას არ დაივიწყებთ და საყვარელი ადამიანების მიმართ პრეტენზიების გამოთქმას თავს არ დაანებებთ, პრობლემები შეგექმნებათ. არ არის გამორიცხული, გაგირთულდეთ ურთიერთობა ნათესავებთანაც — თავი შეიძლება შეგახსენოთ ძველმა, უკვე დავიწყებულმა პრობლემამ.

ახლა აღსავსე ხართ ენერგიით, ამიტომ თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 4 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 7 მარტი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ამ პერიოდში მშვილდოსნების დიდი ნაწილი ავტორიტეტის გამყარებით იქნება დაკავებული, მაგრამ, თუ ემოციებს აყვებით ან სიტყვას ვერ მოზომავთ, მცდელობა ფუჭი აღმოჩნდება. ეს ეხება, როგორც სამსახურს, ისე ოჯახსაც.

ამ პერიოდში, შესაძლოა, დაიწყოთ ფიქრი შემოსავლების ახალი წყაროების მოძიებაზე, რადგან თქვენი ფინანსური მდგომარეობა კარგი არ არის. შემოსავლების მატება კი თქვენს მუხლჩაუხრელ შრომაზე იქნება დამოკიდებული.

მარტოხელა მშვილდოსნები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას დაიმსახურებენ და არ არის გამორიცხული, მგზნებარე რომანიც გააჩაღონ.

ამჟამად თქვენი ნერვული სისტემა დაძაბულია, ამიტომ შეეცადეთ, განმარტოვდეთ და მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 9 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 7 მარტი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

თხის რქებისთვის ეს აღმავლობის პერიოდია, თუმცა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ წარიმართება თქვენი ურთიერთობა თქვენ გარემემო მყოფ ადამიანებთან — ბიზნესპარტნიორებთან, კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან.

თუ შეამჩნევთ, რომ კონფლიქტი მწიფდება, შეეცადეთ, სასწრაფოდ ჩააცხროთ, რადგან შესაძლოა, ძვირფას ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდეთ.

ნუ დაიწყებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, რადგან შესაძლოა, ძალები არ გეყოთ და დაითრგუნოთ. ძალისხმევა მთავარი მიზნის მიღწევისკენ მიმართეთ.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს და შეეცადეთ, მათი მოთხოვნები გაითვალისწინოთ.

ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 4 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 9 მარტი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

ამ პერიოდში მერწყულებს თავიანთი ინტერესების დაცვა მოუწევთ ბიზნესში, სადაც კონკურენცია ჯერ არავის გაუუქმებია. აქტუალური იქნება ძველ ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება და თანამშრომლობა, თუმცა ყურადღება მიაქციეთ, რომ შეთანხმება ფინანსურ საკითხებზე მკაფიო იყოს, რადგან შესაძლოა, მომავალში პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

თუ გაქვთ შესაძლებლობა, მარტო შეიცვალოთ, აუცილებლად გამოიყენეთ — წადით მივლინებაში ან სამოგზაუროდ. ამით დაძლევთ აპათიას, რომელიც შეიძლება სამსახურის მიმართ გაგიჩნდეთ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით ხანში შესულთა მიმართ.

ამ პერიოდში მაღალია ინფექციური დაავადებებით დასნეულების ალბათობა.

**დადებითი დღე: 10 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

თევზების ნიშნით დაბადებულთათვის საუკეთესო პერიოდია. ისინი მიმდინარე საქმეებისა და ცხოვრების რეჟიმის მოწესრიგებას შეეცდებიან. პირადი ცხოვრებისთვის კი დრო ნაკლები დარჩებათ, ამიტომ იპოვეთ ოქროს შუალედი სამსახურებრივ საქმეებსა და პირად ცხოვრებას შორის.

ყველა საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, ნელ-ნელა, მეთოდურად აკეთეთ და სამომავლოდ არ გადადოთ ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლიათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ყველა წინაღობა მოგვარდება, თუ მის პრეტენზიებსაც გაითვალისწინებთ და მიმტევებელი იქნებით. ეგოიზმის გამოჩენა კი ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავს.

დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება თქვენს გადაღლას გამოიწვევს, ამიტომ შეეცადეთ, განმარტოვდეთ და დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 8 მარტი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მასონური მოძრაობა ოფიციალური ორგანიზაციის სახითაა დარეგისტრირებული, თუმცა, გარკვეული წყაროების მიხედვით, არსებობდნენ და ახლაც არსებობენ საიდუმლო მასონური ორგანიზაციები, ძირითადად, იმ ქვეყნებში, რომლებშიც მათი გავრცელებისთვის არასათანადო გარემო პირობებია. დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში ისინი რეგისტრირებული არიან, აქვთ საკუთარი რეზიდენციები და სასახლეები.**

# ზოგი რამ მასონების შესახებ




**მათ შესახებ ყველას სმენია რაღაც, მაგრამ ეს სწორედ იმიტომაცაა განსაკუთრებული თემა, რომ ზუსტი ინფორმაცია ძალიან ცოტაა. სამაგიეროდ, ძალიან ბევრია ტყუილი ნაწილობრივ უმეცრების და ამ უმეცრების მიერ გაჩენილი შიშის, ნაწილობრივ კი პოლიტიკური დაკვეთის გამო. მასონობა არ არის რელიგია ან პოლიტიკური პარტია, ეს არის თავისუფალი ადამიანების თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შექმნილი გაერთიანება, საზოგადოებრივი მოძრაობა და მისი, როგორც მთლიანი სტრუქტურის, დეკლარირებული უმთავრესი მიზანი მსოფლიოს გაუმჯობესებაა. ისინი მიიჩნევენ, რომ კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ და შემოქმედს ემხრობიან. ისინი ერთმანეთს ძმებს უწოდებენ და ყოველი ძმის ყოველდღიური ამოცანა სამყაროს თანაშექმნა, თანაშემოქმედებაა.**



მასონობა ან თავისუფალი მასონობა (ფრანგულად franc-maზonnerie; ინგლისურად Freemasonry) სიტყვასიტყვით **ქვის მთლელს** ნიშნავს. ეს ძმობასა და მსახურებაზე დამყარებული ორგანიზაციაა, მორალურ-ეთიკური მოძრაობაა, რომელიც ოფიციალურად XVIII საუკუნეში (1717 წლის 24 ივლისი, პირველი ოფიციალური დიდი ლოჟა დიდ ბრიტანეთში) დახურული ორგანიზაციის სახით გაჩნდა საკუთარი რიტუალებითა და სიმბოლოებით, რომლებიც ნაწილობრივ ქრისტიანობიდანაა გადმოღებული.

მასონური მოძრაობის ზუსტი წარმომავლობა და მათი თავდაპირველი სახე დღემდე დავის საგნად რჩება, ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ დროთა განმავლობაში მასონობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ყველა სავარაუდო საწყისს დაშორდა იდეოლოგიურად ან სულაც არ გააჩნდა ისინი. **პოემა „რეგიუს მანუსკრიპტი“ არის უძველესი მასონური ტექსტი, რომელიც თარიღდება 1390 წლით.** ძირითადად, მთელი მასონური ისტორია გაყოფილია ორ პერიოდად: 1717 წელს ინგლისის დიდი ლოჟის ჩამოყალიბებამდე და მის შემდეგ.

მტკიცდება მასონური ლოჟის არსებობა XVI საუკუნეშიც, **მაგალითად, კივლინინგის ლოჟა 1500-იანი წლების დასაწყისში, ამ ლოჟას 1599 წლიდან ერქვა ye warden of ye lug of Kilwynning.**

არის სანდო და ნათელი ცნობები XVII საუკუნის შუახანებში ინგლისში ლოჟების არსებობის თაობაზე. შეიძლება შეხვდეთ წყაროებს, რომლებშიც პირველ მასონურ ლოჟად მოხსენიებულია რომელიმე სხვა მასონური გაერთიანება, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ცალკეულ მკვლევართა სუბიექტური შეხედულებებით, რადგან ეს ორგანიზაციები ახლაც კი ბევრ საკითხს არ ამხელენ, ეს კი ართულებს მისი ახლანდელი თუ ადრინდელი სტრუქტურის კვლევას, შესაბამისად, იმ ორგანიზაციების გამოვლენას, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ აღნიშნულ სტრუქტურასთან.

1717 წლის 24 ივნისს ოთხი ლონდონური ლოჟა შეიკრიბა ლონდონში, ტავერნა Goose and Gridiron-ში და ჩამოაყალიბა ინგლისის დიდი ლოჟა. ეს გაერთიანება მალე გადაიქცა „მარეგულირებელ ორგანოდ“, რომელსაც შეუერთდა ინგლისური ლოჟების უმეტესობა. ამის მიუხედავად, ინგლისის დიდი ლოჟის მიერ განხორციელებულ ზოგიერთ ცვლილებას რამდენიმე ლოჟა აღშფოთებით შეხვდა და 1751 წლის 17 ივლისს ცალკე ჩამოაყალიბა „Antient Grand Lodge of England“. 1813 წლის 25 ნოემბერს ეს ორი მიმდინარეობა ისევ გაერთიანდა და გაჩნდა ინგლისის დიდი გაერთიანებული ლოჟა (UGLE). ირლანდიის დიდი ლოჟა 1725, ხოლო შოტლანდიის დიდი ლოჟა 1736 წელს დაარსდა. თავისუფალი მასონობა გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკის ბრიტანულ კოლონიებში ინგლისის ორივე მასონური მიმდინარეობის მიერ.

ამერიკის რევოლუციის შემდეგ აშშ-ის დიდი ლოჟები დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ უკვე თითოეულ შტატში. სურდათ, შეექმნათ ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ლოჟა, რომლის მეთაურიც იქნებოდა ჯორჯ ვაშინგტონი, როგორც პირველი დიდი ოსტატი (თავად ვირჯინიის ლოჟის წევრი გახლდათ), მაგრამ იდეას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, რადგან ზოგიერთი შტატის ლოჟამ არ მოინდომა თავისი თვითმმართველობის შეზღუდვა გაერთიანების ხარჯზე.

უძველესი იურისდიქცია კონტინენტურ ევროპაზე, „საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი“ (GOdF), 1728 წელს დაარსდა, მაგრამ ინგლისურენოვანი ლოჟების იმეტესობამ შეწყვიტა მასთან ფორმალური ურთიერთობა 1877 წლისთვის, როდესაც GOdF-მა მოუხსნა ერთი ღვთაებისადმი რწმენის მოთხოვნა თავის წევრებს და დაუშვა ათეისტების მიღებაც. „საფრანგეთის დიდი ეროვნული ლოჟა“ (GLNF) არის მხოლოდ ფრანგული დიდი ლოჟა, რომელსაც აქვს რეგულარული მეგობრული ურთიერთობა UGLE-სთან და მსოფლიოს არაერთ სხვა იურისდიქციასთან.

**დღეს თავისუფალი მასონობა სხვადასხვა ფორმით არსებობს მსოფლიოში. ორგანიზაცია დაახლოებით 6 მილიონ წევრს ითვლის, რომელთაგან 2 მილიონამდე აშშ-ში ცხოვრობს და 480 000 ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში**

**მე-19 საუკუნეში მასონობა საქართველოშიც შემოვიდა, თუმცა აქტიურად ვერ განვითარდა, ვინაიდან მასონური ლოჟების წევრების უმეტესობა მიემგზავრებოდა პეტერბურგში ან რუსეთის სხვა გუბერნიებში და იქ განაგრძობდა თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად მასონურ განვითარებასაც.** თუმცა თბილისში და შემდგომ პარიზში, ემეგრაციაში, რამდენიმე ლოჟა მაინც არსებობდა. ემიგრაციაში მინიმუმ ორი ლოჟა არსებობდა — „ოქროს საწმისი“ და „პრომეთე“. საქართველოში ლოჟები არსებობდა თბილისსა და ქუთაისში, დღეს საქართველოში მასონთა ოფიციალური და რეგულარული ლოჟა არ არსებობს.

დღეს მასონური სამყარო შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ, ესენია: GOdF და მისი მომხრე ლოჟები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მეორე — UGLE და მისი მიმდევრები.

მასონური ეთიკა და ფილოსოფია აგებულია მონოთეისტურ შეხედულებებზე. **დღეს თავისუფალი მასონობა სხვადასხვა ფორმით არსებობს მსოფლიოში. ორგანიზაცია დაახლოებით 6 მილიონ წევრს ითვლის, რომელთაგან 2 მილიონამდე აშშ-ში ცხოვრობს და 480 000 ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში.**

თავისუფალ მასონებს ერთმანეთთან აკავშირებთ ერთიანი მორალური და მეტაფიზიკური იდეალები. მათი ერთ-ერთი ფუძემდებლური იდეალი უზენაესი არსების რწმენაა. **თავისუფალი მასონები სიმბოლოებად იყენებენ ქვის მთლელების იარაღებსა და ხელსაწყოებს. მასონური იერარქია თავის წევრებს მოუწოდებს, იღვაწონ კაცობრიობის პროგრესისათვის.**

ძმობა ადმინისტრაციულად დაყოფილია დიდ ლოჟებად (ან ზოგჯერ ორიენტებად). თითოეულ დიდ ლოჟას საკუთარი იურისდიქცია გააჩნია და მოიცავს დაქვემდებარებულ ლოჟებს. დიდი ლოჟები ერთმანეთს აღიარებენ მასონური სასაზღვრო ნიშნებისა და რეგულარული მასონური იურისდიქციის რიტუალით. არსებობენ, ასევე, ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებული არიან მასონთა ძირითად პალატასთან, მაგრამ დამოუკიდებელი მმართველობა გააჩნიათ. ეს ლოჟები და ორგანიზაციები გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ამკვიდრებენ თავიანთ შეხედულებებსა და მიზნებს სხვადასხვა გზით.




მასონურ ორგანიზაციებთან, დიდი ხანია, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს კათოლიკურ ეკლესიას, რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის განცხადებით, მასონობა უდიდესი ცოდვაა კათოლიკესთვის. გერნოტ რიბენშტაინის, გერმანიის თავისუფალ მასონთა დიდი ლოჟის (მასონობის ქრისტიანული მიმდინარეობა) წევრის განცხადებით, „კათოლიკური ეკლესიის ასეთი პოზიცია გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვამბობთ: ყველა ადამიანი ღვთის შვილია, ყველა ღმერთის ძეა და ყველა ადამიანი ღვთის წიაღში დაბრუნდება და ზეცაში მოხვდება. კათოლიკური ეკლესია კი ამბობს, რომ ღმერთთან მიგიყვანს მხოლოდ წმინდა რომის კათოლიკური ეკლესია. ეს ძალაუფლებაზე ეკლესიის პრეტენზიაა — მხოლოდ მას აქვს უფლება ღმერთთან ადამიანის მიყვანისა და ამიტომ მიგვიჩნევს ის ჩვენ კონკურენტად. ჩვენ არ ვართ ეკლესიის კონკურენტები! ყოველ ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს თავისი რწმენა. ყოველი ადამიანი, ფერადკანიანი თუ ინდიელი, მდიდარი თუ ღარიბი, პროფესორი თუ დამხმარე მუშა, დიდი თუ პატარა — ყველა ღვთის შვილია და ეს კათოლიკურ ეკლესიას არ მოსწონს და ამიტომაც არ მოსწონს თავისუფალი მასონობა“.

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობა მასონების ლეგენდარულ წინაპრებთან — ტამპლიერებთან ჯერ კიდევ მასონური მოძრაობის ჩამოყალიბებამდე დაიწყო, ძირითად ბრძოლას მათ წინააღმდეგ აწარმოებდა იეზუიტთა ორდენი. 1738 წელს რომის პაპმა კლიმენტი მეთორმეტემ გამოსცა ინტერდიქტი მასონების წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავდა მასონების ეკლესიიდან ავტომატურად გარიცხვას.

ფრანგული მასონური ლოჟები გამოირჩეოდნენ თავიანთი ანტირელიგიური მიმართულებით. მათ ჰქონდათ გადამწყვეტი გავლენა საფრანგეთის რევოლუციის იდეაზე. გადატრიალების შემდეგ კი მმართველ ორგანოებში მასონთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. რევოლუციის პერიოდში გატარდა მასობრივი ანტისაეკლესიო რეფორმა („დექრისტიანიზაცია“). ასევე, მასობრივი რეპრესიები სამღვდელოების წინააღმდეგ, თუმცა თანამედროვე ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ რეპრესიებში მასონებს მნიშვნელოვანი როლი აღარ უთამაშიათ.

ლეონ XIII-მ ენციკლოპედიაში Humanum Genus (1884 წლის 20 აპრილი) გააკრიტიკა მასონობა. კანონიკური სამართლის კოდექსში 1917 წელს იყო განცხადება, რომ მასონურ მოძრაობაში გაერთიანება ავტომატურად ნიშნავდა ეკლესიიდან გარიცხვას. 1983-ში მიიღეს ახალი კოდექსი, რომელშიც მასონური ორგანიზაციები ნახსენები არ იყო, ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ კათოლიკური ეკლესიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შესუსტდა, მაგრამ რწმენის დოქტრინის კონგრეგაციაში იმავე 1983 წელს გამოქვეყნდა განცხადება იმის შესახებ, რომ მასონობა კვლავინდებურად დაუშვებელი იყო კათოლიკესთვის.

პროტესტანტულ ეკლესიას ამ მოძრაობასთან შედარებით მშვიდი დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სადაც ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად ბრიტანეთის მონარქი ითვლება, როგორც წესი, გაერთიანებული დიდი ინგლისური ლოჟის დიდ მაგისტრად ინიშნება სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. ანგლიკანური ეკლესიის ბევრი ეპისკოპოსი მასონი იყო. რთული სისტემაა შვედეთში, სადაც მეფე მეთაურობს ეკლესიას და ამავე დროს მეურვეობს შვედეთის მასონურ მოძრაობას, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანულ ლოჟად ითვლება.

მასონთა უმეტეს მიმ- ▶




# კონსპიროლოგთა მიხედვით, მასონთა მიზანია, განადგურდეს „სიმრავლე“, მოისპოს მრავალფეროვანი სიმდიდრე ადამიანებში, კულტურა და ტრადიცია განახლებული „ერთის“ აღსადგენად.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დინარეობებში გაერთიანება რელიგიური და ეთნიკური ნიშნით აკრძალული არაა, დაშვებულია ქალთა გაწევრიანებაც. არსებობს მასონებში გაწევრიანებული მთელი სექტებიც კი, მაგალითად, 1842 წელს მორმონები, ჯოზეფ სმიტის მეთაურობით, გაერთიანდნენ მასონებში და გაითავისეს მათი არაერთი ტრადიცია და წეს-ჩვეულება.

არაერთი სხვადასხვა ეროვნების მკვლევარის მიერ გამოცემულ წიგნში ნათქვამია, რომ მასონთა გავრცელება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური გავლენა მიმართულია მსოფლიო ძალაუფლების მოპოვებისკენ.

ზოგიერთი მუსლიმი ანტიმასონი ამტკიცებს, რომ მასონები ახორციელებენ ებრაელთა მიზნებს მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო მათ ერთ-ერთ მისწრაფებას წარმოადგენს იერუსალიმში სოლომონის ტაძრის აღდგენა დღევანდელი ალ-აქსას მეჩეთის ადგილას (სოლომონის ტაძრის დანგრევის შემდეგ მის ადგილზე მუსლიმებმა შემდეგ სწორედ ეს მეჩეთი ააგეს).

**ბევრი ქვეყანა, რომელთა მოსახლეობაშიც მუსლიმანთა რაოდენობა მაღალია, კრძალავს მასონურ დაწესებულებებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში.**

**ამჟამად მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მასონური მოძრაობა ოფიციალური ორგანიზაციის სახითაა დარეგისტრირებული, თუმცა, გარკვეული წყაროების მიხედვით, არსებობდნენ და ახლაც არსებობენ საიდუმლო მასონური ორგანიზაციები, ძირითადად, იმ ქვეყნებში, რომლებშიც მათი გავრცელებისთვის არასათანადო გარემო პირობებია. დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში ისინი რეგისტრირებული არიან, აქვთ საკუთარი რეზიდენციები და სასახლეები.**

მასონობის კანდიდატის მიმართ საძმოს წევრებს მთელი რიგი მოთხოვნები აქვთ. ორდენში გაწევრიანებისთვის მოწმდება კანდიდატის შესატყვისობა საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის გენერალურ რეგლამენტთან. აუცილებლად უნდა იქნას დაცული რამდენიმე პირობა: კანდიდატი უნდა იყოს სრულწლოვანი; ჰქონდეს შეუბღალავი რეპუტაცია და ზნეობა; საჭირო გონება და ცოდნა, რათა გაიგოს მასონური სწავლება; არ უნდა იყოს იმგვარი ასოციაციის ან დაჯგუფების ყოფილი ან მოქმედი წევრი, რომელიც მოუწოდებს რასული დისკრიმინაციისკენ, ძალადობისკენ რომელიმე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისადმი, არც რომელიმე ეროვნებისა და რელიგიისადმი, არ უნდა ავრცელებდეს იდეებსა და თეორიებს, რომელიც ეფუძნება ან აქეზებს დისკრიმინაციას, სიძულვილსა და ძალადობას; არ უნდა იყოს სექტანტური ხასიათის დაჯგუფების ან ასოციაციის წევრი, ან იმგვარი ორგანიზაციისა, რომლის შეხედულება და საქმიანობა შეუსაბამოა საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის ღირებულებებთან, ანუ არ უნდა ისახავდეს მიზნად განადგურებას, დესტაბილიზაციას და ადამიანის დამონებას; არ უნდა იყოს ნასამართლევი, არ უნდა ჰქონდეს ვალები, აუცილებლად უნდა იყოს ღირსეული ჯენტლმენი, სწამდეს ღმერთის, გააჩნდეს გარკვეული შემოსავალი და მხოლოდ საკუთარი სურვილით იღებდეს გაწევრების გადაწყვეტილებას.

ტექნიკურად საჭიროა, მას რეკომენდაცია გაუწიოს საძმოს ერთმა წევრმა მაინც, თუ იგი არავის იცნობს, მაშინ შეუძლია, მიმართოს ლოჟის მდივანს ოფიციალური წერილით, მას გაესაუბრება რამდენიმე ძმა და შემდგომ, შესაძლოა, ლოჟის სხვა წევრებიც.

**მას შემდგომ, რაც კანდიდატი გაივლის გასაუბრებას, საკითხი კენჭისყრაზე დადგება, თუ ერთი ლოჟის წევრი მაინც ჩააგდებს ფარული კენჭისყრის დროს შავ ქვას ტომარაში, კანდიდატი ლოჟის წევრი ველარ გახდება.**

კენჭისყრის შემდგომ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, კანდიდატს უკავშირდება მენტორი და უკვე მასთან ერთად აგვარებს გარკვეულ ტექნიკურ ნიუანსებს.

მასონებს აქვთ ახალი წევრების მიღების სპეციალური რიტუალი, რომელიც გასაიდუმლოებულია. ამ გასაიდუმლოებულობის გამო აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანთა ფანტაზიას სრული თავისუფლება აქვს და შეუზღუდავად ქმნის აბსოლუტურად უსაფუძვლო ლეგენდებს მსხვერპლთშეწირვებიდან დაწყებული სატანის თაყვანისცემამდე დამთავრებული. სინამდვილეში მასონთა რიტუალების შესახებ საკმაოდ დიდი ინფორმაციაა გამოქვეყნებული არა მხოლოდ წიგნებში, უკვე ინტერნეტშიც. ინგლისურ ენაზე მასონების შესახებ 60 000-ზე მეტი შრომაა გამოქვეყნებული და, შესაბამისად, საიდუმლოს, დიდი ხანია, ფარდა აეხადა. ახალი წევრის მიღების რიტუალი არის თეატრალიზებული, მრავალსაფეხურიანი სანახაობა, რომელიც დატვირთულია შინაარსითა და სიმბოლიკით. თუ მის შესახებ ყველა ღიად ისაუბრებდა, რიტუალი დაკარგავდა აზრსა და სილამაზეს, სწორედ ამის გამო დებდნენ ფიცს მასონები, რომ არ გაამჟღავნებდნენ საიდუმლოს. მაგრამ ეს საიდუმლო, დიდი ხანია, გამჟღავნდა და, თუ ვინმე მოინდომებს მთელი მისტერიისა და რიტუალის გაშიფრვას, იოლად მოიძიებს ინფორმაციას.

**მასონების სახელს უკავშირდება შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც არსებობს კავშირი მასონთა საიდუმლო საზოგადოებებსა და მათ გავლენას შორის ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაზე (სახელმწიფო გადატრიალებები, რევოლუციები, გავლენიანი და ცნობილი ხალხის მკვლელობები და ა. შ.).** მასონური შეთქმულების რწმენა დაფუძნებულია იმაზე, რომ ისტორიაში არაერთი სახელმწიფო ხელმძღვანელი, გავლენიანი და ცნობილი პიროვნება აღიარებდა ამას ან აშკარავდებოდა, როგორც მასონურ ლოჟებში მოღვაწე. ითვლება, რომ მათი საშუალებით მასონები გავლენას ახდენდნენ სახელმწიფოთა განვითარებაზე და ისტორიული მოვლენების მსვლელობაზე. ყველაზე ხშირად მასონური შეთქმულების თეორია გამოიყენება საზოგადოების კონსერვატიული, ტრადიციის დამცველი და რადიკალური ნაციონალისტური მოძრაობების წარმომადგენელთა მიერ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალათა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ რეალურ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა, თეორიის სრული ჭეშმარიტების საკითხი დღემდე სადაო რჩება, რადგან არ გააჩნია საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები.



მასონების სახელს უკავშირდება შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც არსებობს კავშირი მასონთა საიდუმლო საზოგადოებებსა და მათ გავლენას შორის ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაზე (სახელმწიფო გადატრიალებები, რევოლუციები, გავლენიანი და ცნობილი ხალხის მკვლელობები და ა.შ.)




**ერთ-ერთი მტკიცებულება მასონური შეთქმულების თეორიის მხარდამჭერთათვის არის აშშ დოლარის უკანა მხარეს მარცხნივ გამოსახული მასონური სიმბოლო — ცამეტსაფეხურიანი პირამიდა, რომელიც მიუთითებს თავისუფალ მასონებზე, როგორც ახალი სოლომონის ეკლესიის ქვის მთლიელ მშენებლებზე.** პირამიდა ბოლოვდება სამყაროს დიდი არქიტექტორის „ყოვლისმხედველი თვალით“ და ორი ფრაზით ლათინურ ენაზე — Annuit coeptis (დალოცოს (ღმერთმა) ჩვენი ძალისხმევა) და Novus ordo seclorum (ახალი საუკუნის წესრიგი).

მასონობასთან დაკავშირებული სიმბოლო — გაყოფილი პირამიდა შედგენილია ცამეტი აგურის რიგისგან, სადაც ყოველი აგური აღნიშნავს ცალკეულ ხალხებს ან სახელმწიფოებს, მთლიანობაში კი სიმბოლურად გამოხატავს კაცობრიობის არასრულობას ყოვლისშემძლე მწვერვალის გარეშე. ყოვლისშემძლე მწვერვალის სიმბოლო — სამკუთხედში მოთავსებული სამყაროს დიდი არქიტექტორის თვალი — გადახურულია ლათინური წარწერით: Annuit Coeptis, რომელიც არაორაზროვნად აღნიშნავს, რომ „რჩეულს“ მინიჭებული აქვს სამყაროს მართვის პრივილეგია. ამაზე მიანიშნებს ასევე წარწერა ქვემოთ „დიდი ბეჭედი“ (ინგლ. The Great Seal), რომელიც გამოხატავს სიმდიდრისა და ქონების დასაკუთრებას და შრომის ენერგიისა და სამსახურის დაქვემდებარებას „ბეჭდის“ მფლობელისთვის. პირამიდის აღწერილ მნიშვნელობას ამტკიცებს ასევე წარწერა: Novus Ordo Seclorum (ახალი საუკუნის წესრიგი). ამას გარდა, თუ პირამიდას წარმოვიდგენთ სამკუთხედად და გადავახატავთ კიდევ ერთს, ისე, რომ გამოვიდეს დავითის ვარსკვლავი, მაშინ ვარსკვლავის ექვსი წვეტი მიანიშნებს ასოებზე: A, S, N, O, M; რომელთაგანაც შედგება სიტყვა MASON.

**კუპიურის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია არწივი. მას მკერდზე აქვს ფარი ცამეტი ზოლით, მარჯვენა ფეხით უჭირავს აკაციის ტოტი ცამეტი ფოთლით და ცამეტი კვირტით, მარცხენა ფეხით კი — ცამეტი ისარი.** კონსპიროლოგების აზრით, აკაცია, რომელიც წარმოადგენს წმინდა ხეს მასონებისთვის, სიმბოლურად გამოხატავს გასაღებს მისი ლეგენდარული დამაარსებლის, ხირამის, საფლავის გასახსნელად, მასონთა ტრადიციისა და ორგანიზაციის ძალას, საიდუმლო ცოდნის ფლობას და მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობას ან უკვდავებას. ისრები არწივის მარცხენა ფეხში აღნიშნავს ცოდნასა და ძალას, მიმართულს იმისათვის, რათა დაამშვიდოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოკლას კიდეც მტრები, ამიტომ ყოველ ისარს აქვს განსხვავებული სიგრძე და ემუქრება დამონებული კაცობრიობის პირამიდის შემადგენელი ცამეტი იარუსიდან ერთ-ერთს.

სამყაროს წარმოშობის მასონური დოქტრინის თანახმად, რომელიც გარკვეულწილად გადმოღებულია ძველი მატერიალისტური სწავლებებიდან, თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ „ერთი“, რომელიც დაიშალა და მას შემდეგ განაწილებულია „მრავალ“ განსხვავებულ არსებაში, საგანსა და მოვლენაში, ფორმებსა და სახელებში, სახეობებსა და კატეგორიებში. **კონსპიროლოგთა მიხედვით, მასონთა მიზანია, განადგურდეს „სიმრავლე“, მოისპოს მრავალფეროვანი სიმდიდრე ადამიანებში, კულტურა და ტრადიცია განახლებული „ერთის“ აღსადგენად.** ამიტომაც არწივს უჭირავს ზონარი ცამეტი ასოთი შესრულებული ლათინური წარწერით: E Pluribus Unum („სიმრავლიდან — ერთი“). თუმცა, თუ ამ ფრაზას გადავთარგმნით, როგორც: „მრავალფეროვნებაშია ერთიანობა“, მაშინ ის უფრო გასაგები ხდება, როგორც მოწოდება გაერთიანებისკენ ახალი ამერიკული საზოგადოების ასაშენებლად.

ცამეტის ვიწრო გაგებით, ეს ენერგიის განვითარების და ადამიანის ცვლილების დონეთა რიცხვია. უფრო ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს სამყაროს არასრულობის სიმბოლოს. არწივის თავზე ბრწყინავს დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ცამეტი მასონური ხუთქიმიანი ვარსკვლავისგან და სიმბოლურად გამოხატავს შემორიგებას „წინააღმდეგობების“, შემორიგებას „ცისა“ და „მიწის“. აქ ის განასახიერებს სიმდიდრის, ადამიანური განსხვავებულობის და შესაბამისი ფასეულობების განადგურების იდეალს, თუმცა ამ რიცხვის გამოყენება აშშ-ის დროშაშიც და გერბშიც ოფიციალურად უკავშირდება შტატების თავდაპირველ რაოდენობას, დროშაში თავიდან ვარსკვლავებიც და ზოლებიც ცამეტი იყო, მაგრამ შტატების რაოდენობის 50-მდე გაზრდასთან ერთად ვარსკვლავების რაოდენობაც 50 გახდა, ხოლო ზოლები თავდაპირველი სახით დარჩა.



თეორიის მომხრეთა მიხედვით, მასონთა ზოგადი მიზანია ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მსოფლიოში ერთი მიმოქცევის საშუალებითა და ხალხებს შორის განსხვავების წაშლით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**71 წლის მასაჩუსეტსელმა სასულიერო პირმა ჯონ მიტჩელ ო'ნილმა რელიგიურ შეხედულებებში, ფაქტობრივად, გადატრიალება მოხდინა. მამა ო'ნილი ამტკიცებს, რომ გამოცხადება ჰქონდა. მისი თქმით, იგი ღმერთის წინაშე წარდგა და ის ქალია.**



# დატოვეთ ინფორმაცია მთვარეზე

**ამიერიდან კაცობრიობას შეუძლია, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია მთვარეზე დატოვოს. ასეთ შესაძლებლობას რამდენიმე ხნის წინათ დიდ ბრიტანეთში დაწყებული პროგრამა Lunar Mission One იძლევა.**

პროგრამის ძირითადი მიზანი მთვარის ზედაპირის შესწავლა და მასზე იმ სპეციალური კაფსულის დატოვებაა, რომელიც დნმ-ის ნიმუშებს, ფოტოსურათებსა და დედამიწის მოსახლეობის თმის წნულებს შეიცავს. პროექტის ხელმძღვანელის — დევიდ აირონის თქმით, პროექტში მონაწილეობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ამისთვის მხოლოდ რამდენიმე ფუნტი სტერლინგის გადახდაა საჭირო. შეგროვილი თანხა მთვარეზე სპეციალური ზონდის გასაგზავნად გამოიყენება.

მეცნიერები დაახლოებით 500 მილიონი ფუნტი სტერლინგის შეგროვებას გეგმავენ. მათი თქმით, სწორედ ეს თანხაა საჭირო პირველ ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. წინასწარი ინფორმაციით, ზონდის მთვარეზე გასაშვებად 4 წელია საჭირო.

ადამიანი, რომელიც 200 ფუნტს გადაიხდის, შეძლებს, თმის გარდა, საკუთარი ფოტო, პატარა ტექსტი და ვიდეო გააგზავნოს. პროექტის ავტორების თქმით, ეს პროექტი კაცობრიობას მისცემს შანსს, მთვარეზე ადამიანის მოდგმის ისტორიის შესახებ ინფორმაცია დატოვოს. გარდა ამისა, მეცნიერების აზრით, თუკი ოდესმე კაცობრიობა გადაშენდება, მათ შესახებ ინფორმაცია დიდხანს დარჩება მთვარის ზედაპირზე.



# მარსელთა სია მზადაა

**მსოფლიოს მასშტაბით, 200 ათასზე მეტმა ადამიანმა ისურვა წითელ პლანეტაზე საცხოვრებლად სიცოცხლის ბოლომდე გადასვლა.** მათგან ჟიურიმ ჯერჯერობით 100 აპლიკანტი შეარჩია — 50 ქალი და 50 მამაკაცი. საბოლოო სია კი წლის ბოლოს გახდება ცნობილი. შერჩეული პირველი 4 კანდიდატი 225 მილიონ კილომეტრში მდებარე პლანეტაზე 2024 წლისთვის გაემგზავრება. ისინი დედამიწაზე აღარასდროს დაბრუნდებიან. მათ მომდევნო ყოველ 2 წელიწადში სხვა ჯგუფები დაემატება. ასე კი მარსზე ადამიანების მუდმივი დასახლება შეიქმნება. მისია ჰოლანდიური პროექტის — Mars One-ის ფარგლებში ხორციელდება.

Mars One მარსზე ადამიანების მუდმივი დასახლების შექმნას ისახავს მიზნად. არსებული ტექნოლოგიებით, წითელ პლანეტაზე ადამიანების ცხოვრება შესაძლებელია. პროექტის ხელმძღვანელები დარწმუნებულები არიან, რომ მარსზე პირველი დელეგაციის გაგზავნის შემდეგ, ადამიანების კიდევ უფრო დიდი ნაწილი მოისურვებს ამ პლანეტაზე გადასახლებას.

წინასწარი გათვლებით, პირველი 4 ადამიანის გამგზავრება დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი დაჯდება. მისიის ფარგლებში იგეგმება ე. წ. რეალითი შოუს გადაღებაც, სადაც ასახული იქნება მონაწილეების გამგზავრება და ცხოვრება მარსზე. „ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ სიკვდილის შემდეგ დატოვო შენი მემკვიდრეობა. უამრავი ადამიანი აკეთებს ამას ბავშვების გაჩენით, ოჯახის შექმნით. ჩემი მემკვიდრეობა კი მარსზე გამგზავრება იქნება“, — ამბობს მისიაში მონაწილეობის ერთ-ერთი მსურველი.

# ყველაზე სასურველი პრინცები

**მართალია, პრინცები ცოტანი არიან, თუმცა ისინი მაინც არსებობენ. და, რაც მთავარია, მათ შორის უცოლოებიც არიან.**



## პრინცი ჰარი

**სიმაღლე 188 სანტიმეტრი, წითური თმა და ცისფერი თვალები.**

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, მართალია, გარეგნულად ნაკლებად მოგვაგონებს არისტოკრატს და უფრო მეტად ჩვეულებრივ ირლანდიელ ბიჭუნას ჰგავს, სამაგიეროდ, ჰარი უბადლო სხეულის პატრონია.

30 წლის პრინცმა უკვე მოასწრო სამხედრო აკადემიისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულება. პრინც ჰარის ხშირად სდებენ ბრალს იმაში, რომ მის საქციელს არ შეიძლება სამაგალითო უწოდო, მისი უფროსი ძმისგან განსხვავებით. მაგრამ ასეთ მომხიბვლელ ბიჭს შეიძლება ონავრობაც აპატიო — უბრალოდ, ცოცხალი, უშუალო ხასიათი აქვს.



## კარლ ფილიპი

პრინცი კარლ ფილიპი შვედეთის სამეფო ოჯახის ერთადერთი პრინცია. თუმცა, გენდერული თანასწორობის კანონის თანახმად, ტახტის მემკვიდრე მისი უფროსი და არის. მიუხედავად ამისა, პრინცს უამრავი უპირატესობა აქვს. იგი 35 წლისაა, მან უნივერსიტეტი გრაფიკული დიზაინის განხრით დაამთავრა, იღებს ფილმებს და ბევრს მოგზაურობს. ამჟამად პრინცი მოდელ სოფია ჰელკვისტზეა დანიშნული. სოფია ჰელკვისტი 25 წლის ფოტომოდელია და იოგის მწვრთნელი. მან შოუბიზნესში გზა რეალითი შოუებითა და მამაკაცების ჟურნალებისთვის გადაღებული შიშველი ფოტოებით გაიკვალა.



## პრინცი ანდრეა კაზირაგი

**მონაკოს პრინცესა კაროლინასა და მისი ქმრის, აწ გარდაცვლილი სტეფანო კაზირაგის სამი შვილიდან უფროსი ქერა თმას თავის ბებიას — ჰოლივუდის ვარსკვლავ გრეის კელის უნდა უმადლოდეს.** მისი ჰობი „სვოჩის“ საათების, ლუის სიოლას სმოკინგების შეგროვებაა. უყვარს თხილამურები და ცხენზე ჯირითი, ეუფლება სხვადასხვა ენას, შესანიშნავი მანერები აქვს და ყოველთვის გემოვნებით აცვია.

1999 წელს ჟურნალმა People Magazine-მ 30 წლის ანდრეა მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ადამიანების სიაში შეიყვანა.



## ამდან ბინ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაქტუმი

**ამდან ბინ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაკტუმი დუბაის პრინცია და არაბეთის გაერთიანებული ემირატების ტახტის ერთ-ერთი მთავარი მემკვიდრე.**

ამჟამად მისი ქონება 18 მილიარდ დოლარს აღემატება. პრინცმა პირველადი განათლება კერძო სკოლაში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა ბრიტანეთის სამხედრო სასწავლებელსა და ლონდონის ეკონომიკურ კოლეჯში განაგრძო.

ამჟამად 32 წლის შეიხი დუბაის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილისა და სპორტული პრეზიდენტის პოსტებს იკავებს. მამის მსგავსად, ჰამდანი წერს ლექსებს, რომელთა ძირითადი მოტივები ოჯახი, სამშობლო და რომანტიკული ურთიერთობებია.

# კათოლიკე მღვდელი ამტკიცებს, რომ ღმერთი ქალია



**71 წლის მასაჩუსეტსელმა სასულიერო პირმა ჯონ მიტჩელ ო'ნილმა რელიგიურ შეხედულებებში, ფაქტობრივად, გადატრიალება მოხდინა. მამა ო'ნილი ამტკიცებს, რომ გამოცხადება ჰქონდა. მისი თქმით, იგი ღმერთის წინაშე წარდგა და ის ქალია.**

ო'ნილს ეს გამოცხადება საავადმყოფოში ჰქონდა, სადაც სასწრაფო დახმარებამ მიიყვანა. მოძღვარს 48 წუთის განმავლობაში კლინიკური სიკვდილი ჰქონდა და, როგორც თავად აღწერს, სწორედ ამ დროს წარსდგა ზეციერის წინაშე. ხანდაზმული მოძღვარი ამტკიცებს, რომ კარგად ახსოვს, რაც მოხდა: ჯერ ყოვლისმომცველი სინათლით იყო გარშემორტყმული, შემდეგ ზეცად აიჭრა და ღმერთს შეხვდა, ღმერთს, რომელმაც დედობრივი სიყვარულით მიიღო.

„ღმერთი წმიდა მამა კი არა, წმიდა დედაა, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებს,“ — აცხადებს ონილი, რომელიც, ექიმების თქმით, გონზე მოსვლის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა. არადა, ვარაუდობდნენ, რომ პაციენტი ტვინის გარკვეულ დაზიანებას მიიღებდა.

ონილი ღვთისმსახურების გაგრძელებას და ქადაგებას აპირებს, რომ სინამდვილეში წმიდა სამება არის „დედა, ძე და სულიწმიდაა“, თუმცა მისცემს თუ არა ამის უფლებას ადგილობრივი კათოლიკური ეკლესია, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

„ღმერთი დიდი და ყოვლის შემძლეა, თუნდაც ქალი იყოს,“ — ამბობს ო'ნილი.

ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც განაჩენი, ცხოველების გარდა, მცენარეებსაც გამოუტანეს. მაგალითად, ჰენრი მეოთხეს მმართველობის დროს გაიმართა სასამართლო პროცესი ნესვის წინააღმდეგ. ნაყოფი მუცლის ტკივილის გამოწვევაში დაადანაშაულეს ისეთი მნიშვნელოვანი პირისთვის, როგორიც მისი უდიდებულესობა იყო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სასამართლო პროცესები ცხოველების წინააღმდეგ

**შუა საუკუნეებში ცხოველების წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესები სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.**



1545 წელს შვეიცარიაში სასამართლო პროცესი ხოჭოების წინააღმდეგ გაიმართა. შედგენილ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ხოჭოები მათთვის გამოყოფილ ადგილებში უნდა ცხოვრობდნენ. ადამიანებს, რომლებიც მათ მახლობლად ცხოვრობდნენ, ეკრძალებოდათ მწერებისთვის რაიმე ზიანის მიყენება.

ესპანეთის ქალაქ ჩერამანში ჩრჩილს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. შემთხვევა 1540 წელს მოხდა, როდესაც ჩრჩილმა საკმაოდ ძვირადღირებული გობელენი გაანადგურა. მწერს თავი მოჰკვეთეს.

1545 წელს საფრანგეთის ქალაქ სან-ჟან-დე-მოლენში კალიებს ყურძნის მოსავლის განადგურებაში დასდეს ბრალი. სასამართლოს ადვოკატებიც კი ესწრებოდნენ, ერთი მხარე ქალაქის მაცხოვრებლების უფლებებს იცავდა, ხოლო მეორე — კალიების. სასამართლო განაჩენის გამოტანამდე კალიები გაქრნენ, ხოლო პროცესი გაურკვეველი ვადით, მათ ხელახალ გამოჩენამდე გადაიდო.

1120 წელს საფრანგეთში გაასამართლეს თაგვები, რომლებმაც ბურღულეულის მარაგი გაანადგურეს.

1313 წელს საფრანგეთში ხარმა დიდი ზიანი მიაყენა მამაკაცს, სასამართლოს არ შეეძლო, მომხდარი რეაგირების გარეშე დაეტოვებინა და ხარს ჩამოხრჩობის გზით სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

მეთოთხმეტე საუკუნეში შვეიცარიის მოქალაქეებმა სასამართლოში თეთრ მატლებს უჩივლეს. სასამართლო პროცესი ბრალდებულების გარეშე გაიმართა. იმის გამო, რომ სასამართლომ არაჰუმანურად მიიჩნია თეთრი მატლების განადგურება, მათ ტყეში სპეციალური ადგილი გამოუყვეს, სადაც ისინი ვერავის მიაყენებდნენ ზიანს.

გარდა ამისა, ისტორიაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც განაჩენი, ცხოველების გარდა, მცენარეებსაც გამოუტანეს. მაგალითად, ჰენრი მეოთხეს მმართველობის დროს გაიმართა სასამართლო პროცესი ნესვის წინააღმდეგ. ნაყოფი მუცლის ტკივილის გამოწვევაში დაადანაშაულეს ისეთი მნიშვნელოვანი პირისთვის, როგორიც მისი უდიდებულესობა იყო.

# სასწაულებრივი განკურნებები

**მედიცინა ზოგჯერ პირდაპირი მნიშვნელობით სასწაულებს ახდენს. არსებობენ ნამდვილი იღბლიანები, რომლებსაც ექიმების დახმარებით, წარმოუდგენელი შემთხვევების შემდეგ სიცოცხლე შეუნარჩუნდათ.**



**23 წლის ტაქსის მძღოლი სუპრატიმ დატა 2008 წელს საშინელ ავტოკატასტროფაში მოყვა.** მას მკერდში გაეყარა რკინის ძელი, რომელიც მეორე მხარეს გამოვიდა. 6-საათიანი ოპერაციის განმავლობაში ექიმები მის გადასარჩენად იბრძოდნენ. მისი ორგანოები სერიოზულად იყო დაზიანებული. საბედნიეროდ, ოპერაცია წარმატებით დასრულდა. პაციენტი არა მხოლოდ გადარჩა, არამედ შეძლო, სამუშაოს დაბრუნებოდა.

2008 წლის დეკემბერში 46 წლის კონი კალპს ქირურგებმა სახის 80% აღუდგინეს. 2004 წელს კონის ქმარმა სახეში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. მან დაკარგა თვალები, ცხვირის დიდი ნაწილი და ზედა ყბა. 2008 წელს მას ახალგარდაცვლილი ქალის სახის კანი გადაუნერგეს. ოპერაცია 22 საათს გაგრძელდა.

1988 წელს პოლონელი იან გრეჟებსკი სამსახურში იმყოფებოდა და ერთ ბაქანს მეორეს აბამდა. გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, იანი დაეცა და თავი ძლიერ დაარტყა. ამან გამოიწვია ტრავმა, რომლის შემდეგაც სიმსივნე აღმოუჩინეს. იანი კომაში ჩავარდა. 19 წლის შემდეგ, როცა კომიდან გამოვიდა, მამაკაცი ამტკიცებდა, რომ ესმოდა და ხედავდა ყველაფერს, რაც მის გარშემო წლების განმავლობაში ხდებოდა.

2007 წელს ფანჯრების მრეცხავი ალსიედეს მორენო 47-ე სართულიდან გადმოვარდა. სამწუხაროდ, მისი ძმა, რომელიც მასთან ერთად გადმოვარდა, ვერ გადარჩა. მამაკაცმა 16 ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ნახევარ წელიწადში უკვე სიარული შეძლო.

14 წლის ჯანი სიმონსს სუსტი გული ჰქონდა და გადანერგვა სჭირდებოდა. შაუბედუროდ, დონორის გული არ „მოერგო“. ამის გამო გოგონას გულის გარეშე ოთხი თვის გატარება მოუხდა. გულის მაგივრად სისხლს ორი ხელოვნური სატუმბი ექაჩებოდა. ამის მიუხედავად, გოგონა გადარჩა და 118 დღის შემდეგ მას წარმატებით გადაუნერგეს გული.

# მძინართა სოფელი

**ყაზახეთის სოფელი კალაჩი, ბოლო ორი წელია, აუხსნელმა ფენომენმა მოიცვა. ამ ხნის განმავლობაში ანომალიური ძილით, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა, 100-ზე მეტმა ადამიანმა დაიძინა.**



სოფელი სხვადასხვა სპეციალისტმა გამოიკვლია — ვირუსოლოგებმა, რადიოლოგებმა, ტოქსიკოლოგებმა, თუმცა ვერ გაარკვიეს, რა იწვევს იქ „ძილის ეპიდემიას“. ვარაუდი ბევრია: მიწისქვეშა გაზები, გაჟონვა ურანის საბადოებიდან და ა. შ.

„ყველაზე უჩვეულო ამ ისტორიაში ის არის, რომ ეს ადამიანები დაავადებულნი არ არიან. მედიცინაში მსგავსი ფაქტი ჯერ არ ყოფილა, რაც ბადებს ეჭვს, ხომ არ არის ეს ყველაფერი მასობრივი ტრანსის ან ისტერიის ნაყოფი“, — აცხადებს სომნოლოგი მიხეილ პოლუექტოვი.

ექიმების აზრით, ფსიქოლოგიური აშლილობის მიზეზი, შესაძლოა, დეპრესია იყოს, რომელიც გამუდმებით აწუხებს ამ სოფლის მცხოვრებთ. ამჟამად, ყველა მაღარო დაკეტილია, სამსახური არ არის, ადამიანები ტოვებენ სოფელს.

პროფესორ ლეონიდ რიხვანოვის აზრით, მაღაროების დატბორვის შედეგად, ზედაპირზე ამოვიდა გაზი — რადონი, რომელიც განაპირობებს მოსახლეობის ასეთ ძილიანობას. „ჰაერში არსებული რადონის შემოწმება არც თუ ისე მარტივია. სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანებმა ამ ინერტული გაზის გავლენა საკუთარ თავზე უკვე იგრძნეს,“ — დარწმუნებულია ექსპერტი, თუმცა, ზუსტი ანალიზების გარეშე, ეს მოსაზრება მხოლოდ ერთ-ერთ ვერსიად რჩება.

# უცნაური ხეები

**არსებობს უცნაური ხეები, რომელთა გაზრდა და ფორმირება საკმაოდ უჩვეულოდ მოხდა, ისინი არ გვანან სხვებს და ვიზუალით ყველგან და ყოველთვის გამოარჩევთ სხვებისგან.**





**ადამიანის ხე.** ის აფრიკაში დგას. როგორც ადგილობრივები ამბობენ, თურმე მის ძირში დამარხულია დამნაშავე, რომელიც ცოცხლად დამარხეს და სანამ არ მოკვდებოდა, ისმოდა მისი კივილის ხმა.

**დრაკონის თვალი.** ამ ხის წარმომავლობა უცნობია, შეიძლება გეგონოთ, რომ ეს თვალის ფერი მწვანედ ხელოვნურადაა გაფერადებული, მაგრამ ეს ასე არ არის, ყველაფერი ბუნებრივია, კერძოდ, მწვანე ფერი ხეზე ამოსული ხავსია, რომელიც არაჩვეულებრივი ილუზიას ქმნის.

**მლოცველი ხე.** დაჩოქილი მლოცველის ფორმის ხე საკმაოდ ამაღელვებლად გამოიყურება, მასში თითქოს ჩანს ადამიანი, რომელიც მიწას კოცნის და ლოცულობს.

**ქალის სილუეტის ხე.** ის საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურება, მისი ლამაზი ფორმის გამო. თუ დავაკვრიდებით, ის ახალგაზრდა ქალის სიულეტს ქმნის.





# ვიცემერის პოსტს დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს



**ვიცემერის — ალექსანდრე მარგიშვილის ადგილს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დაიკავებს. დედაქალაქის მერი დავით ნარმანია დიმიტრი ქუმსიშვილს ვიცემერის თანამდებობაზე 4 მარტს წარადგენს.**

დიმიტრი ქუმსიშვილი ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ 2012 წლის 30 ოქტომბრიდან მუშაობს. 2012 წლის ნოემბრამდე კი ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა შპს „რეშენალ სოლუშენში“; 2012 წლის ნოემბრამდე იყო დირექტორი დაწყებითი ბიზნესისა და ინოვაციების საინვესტიციო ფონდში; 2011-2012 წლებში — ბიზნეს-განვითარების დირექტორი ჰოლდინგ „პალიტრა მედიაში“; 1999-2011 წლებში — გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე — სს „ბანკი ქართუში“.



# საქართველოში შვილზე უარს ყოველწლიურად 50-მდე დედა ამბობს

**სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელის — მარიამ წერეთლის განცხადებით, წელიწადში დაახლოებით 20-დან 50-მდე დედა საკუთარ შვილზე ოფიციალურად უარს ამბობს. ამის შესახებ სტატიას გაზეთი „რეზონანსი“ აქვეყნებს.**

„როცა მშობელი ბავშვზე უარს ამბობს, მას გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება. ასეთი შემთხვევები საქართველოში წელიწადში დაახლოებით 50-მდეა. ბათუმში 8 თვის ბავშვის მიტოვების ფაქტი საქართველოში წელს ჯერჯერობით პირველი იყო“, — განაცხადა მარიამ წერეთელმა.

გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის მაია ქურციკიძის თქმით კი, ბავშვის მიტოვების ძირითადი მიზეზები დისფუნქციური ოჯახები და უკიდურესი სიღარიბე, ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობებია.

პრობლემის მოგვარებაში ჩართული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ, როდესაც ბავშვის მიტოვების საკითხი დგება, იქ, როგორც დედის, ასევე მამის პასუხისმგებლობის საკითხი თანაბარი უნდა იყოს, რაც ხშირად არ ხდება.



# აკადემიკოს პაატა კოღუაშვილს 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება მიანიჭეს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, აგრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება ეკონომიკის დარგში მიენიჭა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს — პაატა კოღუაშვილს.

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ულოცავს ბატონ პაატას ამ საპატიო წოდებას და უსურვებს, კვლავაც ასეთი თავდადებით განაგრძოს მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ!**


## მკურნალი საუკეთესო შედეგებით

ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრისა და მენჯ ბარძაყის ართროზს, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს და ყველა იმ დაავადებას, რომლებიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.

გიორგი გოგიჩაიშვილი, ტელეწამყვანი: მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, მიჭირდა მოძრაობა, ქალბატონ ნანას მალამოს წყალობით შვება პირველივე კვირაში ვიგრძენი, მეორე კურსის მერე კი ტკივილები საერთოდ გამიქრა.

ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი: ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით, რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია. ქალბატონი ნანას მალამომ სასწაული შედეგი მომცა უმოკლეს დროში. მადლობა მას ამისთვის.

**ტელ. 599-54-64-81, 593-000-826**


# პური გაძვირდა



**„იფქლის“ ორი სახეობის პური 10 თეთრით გაძვირდა.**

„არ იცვლება ჭვავის პურის ფასი. მხოლოდ რამდენიმე სახეობაზე — თეთრსა და რუხ „ბატონზე“ მოიმატებს ფასი. მიზეზი ისაა, რომ კონკურენტებთან შედარებით ძალიან დაბალ მარჟაზე ვმუშაობდით. ამ საქმეში როლი ითამაშა ნედლეულის (ფქვილი, მარილი და საფუარი) გაძვირებამ. კომპანია ბაზარზე ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას, რადგანაც „იფქლის“ პროდუქტებზე ფასი, მატების მიუხედავად, უფრო დაბალია, ვიდრე სხვა საწარმოების პროდუქტებზე ამავე ინდუსტრიაში“, — განაცხადეს კომპანიაში.



# «ნორმანდიული ოთხეული»: ეუთოს სამშვიდობო კონტინგენტი აღმოსავლეთი უკრაინის 10 წერტილში განთავსდება

**3 მარტს, გვიან ღამით, „ნორმანდიული ოთხეული“ სატელეფონო საუბრისას შეთანხმდა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ეუთოს სამშვიდობო კონტინგენტი 10 წერტილში განთავსდება. მოლაპარაკების მიხედვით, ეუთო-ს წარმომადგენლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი პირობებით.** „ნორმანდიული ოთხეული“ ასევე შეთანხმდა, რომ ეუთო ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესახებ ყოველდღიურ ანგარიშს აწარმოებს, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა მხარეს გაეგზავნება. სატელეფონო საუბრისას ასევე განიხილეს დონბასის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარებისა და ამ მისიაში საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ ჩართვის საკითხები.

# მკურნალობა მამაკაცებისთვის


პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**


# თბილისში, შესაძლოა, საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონი გაიხსნას



**როგორც ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ განაცხადა, პანთეონის ადგილად რამდენიმე ადგილი განიხილება და არის მოსაზრება, რომ ახალი პანთეონი მთაწმინდის პანთეონისგან მოშორებით, სხვა მხარეს გაიხსნას.**

განიხილება ნუცუბიძის პლატოს ზემო ნაწილი — ახალი გზის მიმდებარე ტერიტორია. კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი სამების ტაძრის უკანა მხარეს არსებული ტერიტორიაა.

თამაზ ტყემალაძის ცნობით, შესაძლოა, ახალ პანთეონში პირველი, ბელარუსიდან საქართველოში ჩამოსვენების შემდეგ, ქართველი პოეტი მირზა გელოვანი დაკრძალონ.

„ინტერპრესნიუსი“ საკითხთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიას დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ახალი პანთეონის გახსნის საკითხი იდეის დონეზეა და კონკრეტულ ადგილებზე საუბარი ნაადრევია.

# საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომელი დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის დააკავეს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულმა სამსახურმა საბურთალოს გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის უფროსი სპეციალისტი მიხეილ ქვირია დააკავა.**

გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ ქვირია შს სამინისტროს ანტიკორუფციულმა სამსახურმა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ბრალდებით დააკავა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894